რუსული სცენარი სისრულეშია მოყვანილი A5

1924 წელი - დღევანდელი გადასახედიდან A8

ჩემი კრიალოსანი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 31 აგვისტო, 2004 წელი. №206 (755) | ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

### ვინ გაისტუმრებს სახელმწიფო ქონების ვალებს?

ექსპერტები შიშობენ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან "დიდი ფულის" მოლოდინი, შესაძლოა, ნაადრევი აღმოჩნდეს. მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ქონების დიდ ნაწილს სერიოზული საბიუჯეტო დავალიანება დაუგროვდა.

A4

უცხოეთი

### ერაყი, ნავთობი და საერთაშორისო ეკონომიკა



ერაყის ყველაზე დიდი სიმდიდრე - ნავთობი კვლავ უქმად წვას განაგრძობს.

A5

საზოგადოება

### რეგისტრაციის გავლის წესი პენსიონერთათვის



ბოლო დღეებში პენსიის გასაცემ პუნქტებთან პენსიონერების განსაკუთრებული სიმრავლეა.

A6

უცხოეთი

### აფხაზები ქართველ მძევალს ორი წლის წინ მოკლულ ძმას ახსენებდნენ



ერთი თვის წინ, ზუგდიდის რაიონიდან უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიზნესმენი შალვა ფონია გუშინ საკუთარ სოფელს და ოჯახს დაუბრუნდა.

A7

# ზეიმი ჩვენს ქუჩაზე



B4

ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე - ოლიმპიადის ტრიუმფატორები თავისუფლების მოედანზე.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## აშშ-ს "სენატის სინდისი" რუსეთის უსინდისობის საპირწონე

*ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი საქართველოს მეგობარი ქვეყნების რიცხვში შედიან. თუმცა, როგორც ჩანს, ვაშინგტონსა და მოსკოვში მეგობრობა სხვადასხვაგვარად ესმით: რუსეთი დღენიადაგ ცდილობს, საქართველოს ახალ-ახალი პრობლემები შეუქმნას, ამერიკა კი ჩვენს ქვეყანას ამ პრობლემების გადაჭრაში ეხმარება.*

გიორგი ასანიშვილი

თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ამერიკელი სენატორი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი ხმამაღლა აცხადებს, რომ შეერთებული შტატები პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. **"ჩვენ საერთო ღირებულებები გვაქვს. ეს არის თავისუფლებისაკენ სწრაფვა. როგორი დაკავებულიც არ უნდა იყოს შეერთებული შტატები, საქართველოს ის არასოდეს დაივიწყებს,"** - აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ მოწყობილ ბრიფინგზე ლუგარმა, რომელიც თავის სამშობლოში "სენატის სინდისად" არის მონათლული.

ამერიკელი პოლიტიკოსის ვიზიტის "ხილულ" მხარეს იმ შეთანხმების ხელმოწერა წარმოადგენს, რომელიც ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელების პრევენციას ითვალისწინებს (აღნიშნულ დოკუმენტს ალექსეევკის საავიაციო ბაზის ტერიტორიაზე გუშინ მოეწერა ხელი). თუმცა, როგორც ჩანს, გაცილებით მეტი დატვირთვის მატარებელია დახურულ კარს მიღმა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის ლიდერებთან გამართული მისი (ლუგარის) შეხვედრები, რომელთა მთავარ თემასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი წარმოადგენს. ქართული მხარე ამ შეხვედრებით ძალზე კმაყოფილია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჟირინოვსკიმ საქმე იშოვა

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პიკეტს, მისი ლიდერის თქმით, ერთი მიზანი ჰქონდა: მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, რომ რუსეთი ევროპული სახელმწიფოა და რომ მათი საპროტესტო აქცია ქართველ დიპლომატებს მუშაობაში ხელს არ შეუშლის. **"განსხვავებით საქართველოსაგან,** - დასძინა ჟირინოვსკიმ, - **სადაც ჩვენს დიპლომატებს მუშაობას არ აცლიან. ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველო აზიური სახელმწიფოა და იქ უკულტურო ხალხი ცხოვრობს."**

პიკეტზე ჟირინოვსკიმ საკუთარი აქტივისტები მიიყვანა. ერთი მათგანი, იური კამინსკი, საიდუმლოდ გამოტყდა - თბილისში ჯარში ვმსახურობდი და იქაურობაზე ვგიჟდებიო. ქართულის ცოდნა კი იმით დაამტკიცა, რომ გამოთქმით წაიკითხა ვაჟა-ფშაველას "არწივი". "ყვავ-ყორნებისგან" დაკორტნილი არწივის წარმომავლობაზე კი თავად ჟირინოვსკი ანათლებდა ქუჩაში სეირის საყურებლად შეკრებილ გამვლელებს: **"სააკაშვილი ქართველი ხალხი არ არის, იგი ასე ამერიკის კარნახით იქცევა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

მთავარი თემა

## ზამთრის შიში

### რამდენადაა მზად საქართველოს ენერგოსექტორი მძიმე სეზონისთვის

*გრანტებისა და კრედიტების უძირო ორმო; სფერო, საიდანაც გაიქცა ყველაზე მსხვილი უცხოელი ინვესტორი; დარგი, რომელიც ქვეყანას უნდა ანათებდეს, მაგრამ თავადაა ჩაძირული გაურკვევლობის და ინტრიგების წყვდიადში. როგორ შეხვდება საქართველოს ენერგოსისტემა მოახლოებულ ზამთარს?*
*ენერგეტიკის სამინისტროში არხეინად ირწმუნებიან, რომ ზამთარში ქვეყანას, მინიმუმ, დენი მაინც ექნება. თუმცა, ენერგოსექტორის სხვა სუბიექტებს ამის იმედი არა აქვთ. მეტიც: მაშინ, როცა იმ "ათვლის წერტილამდე", საიდანაც ენერგეტიკოსებისთვის ზამთარი იწყება, სულ რაღაც ერთი თვე რჩება, ისინი აპოკალიფსურ სურათებს ხატავენ. "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკალაიუნასი სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ თუ საქართველოს ხელისუფლებასთან ვალების ურთიერთჩათვლების პრობლემა არ მოგვარდა, მაშინ "რაო მტკვარი" ზამთარში მეცხრე ბლოკს არ ჩართავს, "რაო თელასი" კი რუსეთიდან ელექტროენერგიას არ შემოიტანს. "თბილგაზის" დირექტორატს კი "გაზპრომის" ვალების "საკუთარი ძალებით" გასტუმრების იმედი არა აქვს.*

მაია ურუშაძე

თუ მეცხრე ბლოკი არ ჩაირთვება და არც "თელასი" შემოიტანს რუსეთიდან დენს, საქართველოს საშინელი ზამთარი ელის.

ენერგეტიკის მესვეურებმა მომავალი ზამთრისთვის სწორი გათვლები ვერ გააკეთეს. მაშინ, როცა ენერგეტიკის სამინისტრო თბილისის ელექტრომომარაგების მისი ექსკლუზიური დისტრიბუტორის - "რაო თელასის" უშუალო მოვალეობად მიიჩნევს, თავად ეს კომპანია **"თავს ვალდებულად არ თვლის, დენი უფასოდ შემოიტანოს ქვეყანაში, სადაც მისი ბიზნესისთვის გარემო აშკარად გაუარესდა."** ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ დღეს "თელასში". მას შემდეგ, რაც "თელასს" ენერგეტიკის სამინისტროსთან ურთიერთვალების ჩათვლის თაობაზე საუბარი გაუჭირდა, მას საქართველოში საინვესტიციო კლიმატი აღარ მოსწონს.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის მინისტრმა ჰიდროელექტროსადგურები მოაწესრიგა, ჩანს, მას "თელასმა" სერიოზული პრობლემები მაინც შეუქმნა. "თელასის" მხრიდან რუსეთიდან იმპორტზე უარის თქმა და, ისიც, ზამთრის პირას, ქვეყნის უშუქოდ დატოვების ტოლფასია.

ამ ვითარებაში ენერგეტიკის სამინისტრო იძულებული გახდება, რუსეთიდან დენის იმპორტზე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დაითანხმოს, რომელსაც "რაოსგან" დენის საყიდი ფული დღეს აშკარად არა აქვს. ასე რომ, მალე საქართველოს ენერგოსადისტრიბუციო ბაზრის გიგანტს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის საიმპორტო თანხების თხოვნა მოუწევს. ეს კი ნიშნავს, რომ რეგიონების გამრიცხველიანების პროცესი, მინიმუმ, მომავალ გაზაფხულამდე შეფერხდება.

გარდა ამისა, თუ მეცხრე ბლოკი ოქტომბრის დასაწყისშივე არ ჩაირთო, თბილისის გასანათებლად ენერგეტიკის მესვეურებს ენგურჰესზე წყლის ფორსირებულად ხარჯვა მოუწევთ, რაც საახალწლოდ წყლის რესურსის გარეშე დარჩენას ნიშნავს.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ჯერ ისევ მოუგვარებელია გაზის მოწოდების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ გაზის საერთაშორისო კორპორაცია ალტერნატიული გაზსადენის მშენებლობაზე საუბრობს, ირანიდან გაზის შემოტანის რეალური პერსპექტივა დღეს არ არსებობს. თუ გაზი არ იქნება, ელექტროენერგეტიკულ სექტორს მართლაც რომ მძიმე დატვირთვა ელის და, შედეგად, სახეზე იქნება სასტიკი ენერგოდეფიციტი, რომლის დაძლევაც საქართველოს ენერგეტიკას გაუჭირდება.

ერთი სიტყვით, დღეს საქართველოს ენერგეტიკის მესვეურების იმედიანი განცხადებების მიუხედავად, ენერგეტიკაში საზამთროდ შემაშფოთებელი სურათი იხატება და, უკვე ტრადიციულად, მომავალი ზამთრის სითბო-სინათლე კვლავ მხოლოდ "რაო თელასსა" და "გაზპრომზეა" დამოკიდებული.

## 75 მილიონი - 300 მილიონის ნაცვლად

### დაკრედიტებული დარგი დღეს უარყოფით სალდოზე მუშაობს

*საქართველოს ენერგეტიკა კვლავ კრიზისშია. მიუხედავად დონორების მიერ დარგის რეაბილიტაციის მიზნით დახარჯული მილიონებისა, ენერგოსისტემა კვლავ დეფიციტურია და ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ძალუძს. შედეგად, ელექტროენერგეტიკული სექტორი დენის იმპორტზეა ორიენტირებული. ენერგობიზნესს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტი უჭირავს. ამის გამო, იმპორტზე ორიენტირებული ენერგეტიკა საქართველოს ეკონომიკის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს.*

ნიკა მარიამიძე

თუ ქვეყანაში წლიურად დაახლოებით 6,5 - 7 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია იყიდება (იმპორტულისა და ქვეყნის შიდა გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებულის ჩათვლით), უხეში გათვლებით, წლიურად 600 მილიონი ლარი, ანუ დაახლოებით 300 მილიონი დოლარი უნდა შემოდიოდეს.

რეალურად კი, საქართველოს ენერგობაზარზე მოქმედი დისტრიბუტორები (რომელთა რიცხვსაც ახლა ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები" გამოაკლდნენ და ამ ბაზარზე მარტო "თელასი", "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", "აჭარის ენერგოკომპანია" და "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" დარჩნენ) ამ თანხის ნახევარსაც ვერ აგროვებენ. მათ მიერ საბითუმო ბაზრისთვის წლიურად გადახდილი თანხა იშვიათად თუ აღწევს 75 მილიონ დოლარს.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

31/81/9

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 33 |
| ქუთაისი | 35 | 35 |
| ბათუმი | 32 | 32 |
| სოხუმი | 31 | 31 |
| ფოთი | 33 | 32 |
| თელავი | 33 | 32 |
| ზუგდიდი | 33 | 33 |
| გორი | 30 | 30 |
| ახმეტა | 32 | 32 |
| ჭიათურა | 33 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7850 |
| ევრო | 2.1457 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1944 |
| რუბლი | 0.0610 |

A2 ამბები | A3 თვალსაზრისი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ისტორია

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ხმამაღლა ფიქრი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## საქართველოში მალე ბიოლოგიური ნივთიერებების ლაბორატორია ამოქმედდება

ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე (თბილისი) თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნება ბიოლოგიური ნივთიერებების ლაბორატორია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები 30 მლნ დოლარით დააფინანსებს. ლაბორატორიის შექმნისა და დაფინანსების შესახებ ერთობლივ შეთანხმებას ხელი მოაწერეს აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ რიჩარდ ლუგარმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. ლაბორატორია მასობრივი და ბიოლოგიური იარაღის განადგურებას, ბიოლოგიური ნივთიერებების უსაფრთხოდ დაცვას ითვალისწინებს.

ხელმოწერის საზეიმო ცერემონიას აშშ ელჩი რიჩარდ მაილსი, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ, მათ შორის - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი და სხვა ოფიციალური პირები.

ლაბორატორია, რომლის ანალოგი სამხრეთ კავკასიის რეგიონში არ არის, რვა თვეში ამოქმედდება. რიჩარდ ლუგარი, რომელიც თბილისს ოფიციალური ვიზიტით 29 აგვისტოს ეწვია, საერთაშორისო არენაზე აქტიურად მონაწილეობს ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღის შემცირების პროცესებში.

*მედია-ნიუსი*

## თურქეთის ლაზების განცხადება რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობის შესახებ

ბოლო დღეებში რუსეთსა და საქართველოს შორის უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა სამხრეთ ოსეთის გამო. როგორც მთელი ცივილიზებული მსოფლიო, ჩვენც, თურქეთსა და ევროპაში მცხოვრები ლაზები შეშფოთებულნი ვართ შექმნილი სიტუაციით.

ქართველი ხალხი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დიდი ძალების წინააღმდეგ მარტო იბრძოდა და არაერთხელ მდგარა განადგურების წინაშე. დღეს ასეთ ძალას რუსეთი წარმოადგენს.

საქართველოს არ აქვს პრობლემები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან. ყველაფრის თავი და თავი რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებული იმპერიალისტური პოლიტიკაა. რუსეთი თავისი ზრახვების განხორციელების მიზნით ურთიერთობას ამყარებს აფხაზეთთან, რომელსაც მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ ცნობს და აფხაზებს აძლევს რუსულ პასპორტებს. ამ ეტაპზე კი ოსეთის გამოყენებით ახორციელებს თავის ჰეგემონისტურ პოლიტიკას.

აფხაზეთი ისტორიულად კოლხების სამშობლოა. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა საკუთარ სახლ-კარს უნდა დაუბრუნდეს და ამ ტკივილს უმოკლეს ხანში ბოლო უნდა მოეღოს.

რუსეთი ღიად ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო კანონებს. გაჩუმება და ხმის არ ამოღება ნიშნავს იმას, რომ ჯერ კიდევ ძალაშია ველურობის კანონები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სურვილს სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია. საქართველოს სახელმწიფოს ამ მშვიდობიან შეთავაზებას რუსეთი უარით პასუხობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი სისხლისღვრით ცდილობს თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებას.

საჭიროა რუსეთმა შეწყვიტოს კავკასიაში წარმოებული ჰეგემონისტური პოლიტიკა და გაერო-მ უფრო აქტიური როლი ითამაშოს კავკასიაში დიდი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით.

ჩვენ თურქეთის ლაზები მხარს ვუჭერთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოძმე ქართველ ხალხს და გვსურს მშვიდობა. მაგრამ თუ რუსეთმა განაგრძო თავისი აგრესიული პოლიტიკა, ჩვენ მაყურებლის როლში არ დავრჩებით. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ - ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყველა იმ მოქმედების, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

***თურქეთის ლაზების სახელით, ლაზური ენისა და კულტურის დაცვის კავშირის - "ლაზებურა"-ს პრეზიდენტი მუსტაფა ქიგაროღლუ***

## კონკურსი

### საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას ამა წლის 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 2004 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

საკონკურსო ნამუშევრებისა და დოკუმენტაციის მიღების უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 30 სექტემბერი.

საკონკურსოდ მიიღება უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, 2002 წლის 1 სექტემბრიდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე სრული სახით გამოქვეყნებული (ნაჩვენები, დადგმული, აგებული, გამოფენილი) ნაწარმოებები.

დაწესებულია 7 პრემია შემდეგ ნომინაციებში:

1. მხატვრული ლიტარატურის, 2. მუსიკის, 3. სახვითი ხელოვნების, 4. თეატრალური ხელოვნების, 5. კინოხელოვნების, 6. მხატვრული პუბლიცისტიკის, 7. ტელე-რადიო პუბლიცისტიკის, 8. არქიტექტურის დარგებში.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს შემოქმედებით კავშირებსა და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებს - გამომცემლობებს, რედაქციებს, თეატრებს, აგრეთვე კულტურის სამინისტროს, დროულად იზრუნონ საკონკურსო მასალების შერჩევასა და წარმოდგენაზე.

ცნობა საჭირო დოკუმენტაციის შესახებ

1. წარდგინება ანუ აღწერა-დახასიათება ნაწარმოებისა, რომლის გამოც წარმოადგენთ მის ავტორს სახელმწიფო პრემიაზე. დოკუმენტს ხელს აწერს წარმომდგენი;
2. პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები საკონკურსო ნაწარმოების შესახებ;
3. კანდიდატის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია;
4. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
5. ლიტერატურული ნაწარმოები 15 ეგზემპლარად, დანარჩენ დარგებში საჭირო ფოტომასალა და სხვა მასალები ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;
6. კანდიდატის ორ-ორი ფოტოსურათი (3X4 სმ. და 6X9 სმ.)

ავტორთა კოლექტივების წარდგინებისას წესდებით დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს ოთხი კანდიდატისა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებზე: 99-06-36, 99-64-82

# აშშ-ს "სენატის სინდისი" რუსეთის უსინდისობის საპირწონე

პირველი გვერდიდან

**"ამერიკელი მეგობრების მხრიდან სრული მხარდაჭერა გვაქვს,"** - შენიშნავს სენატორთან საუბრის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სპიკერი და იქვე დასძენს: **"ჩემთან საუბრის დროს რიჩარდ ლუგარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან სტრატეგიულ თანამშრომლობას და მჭიდრო ურთიერთობებს".**

თავად ამერიკელი სტუმარი კი ქართულ მხარეს სთავაზობს, ერთად იფიქრონ ვრცელფორმატიანი საერთაშორისო კონფერენციის გამართვაზე, რომელშიც საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს გარდა, რიგი ევროპული სახელმწიფოებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამ კონფერენციის ჩატარება სექტემბრის შუა რიცხვებისთვის იგეგმება და მასზე საუბარი იქნება საქართველოში არსებული კონფლიქტების (აფხაზეთის და სამაჩაბლოს) მოგვარების გზებზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება რიჩარდ ლუგარს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია.



იური ლობოდინის ფოტო

*რიჩარდ ლუგარის და ნინო ბურჯანაძის ერთობლივი ბრიფინგი.*

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ამერიკელების ძალისხმევას ფონად გასდევს ვლადიმირ პუტინის ამასწინდელი შეხვედრა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბასთან, რომლის დროსაც რუსეთის პრეზიდენტმა სეპარატისტთა ერთ-ერთ ლიდერს კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერა აღუთქვა.

სოჭში გამართულმა შეხვედრამ ქართულ მხარეს ბევრი კითხვის ნიშანი გაუჩინა. **"აფხაზეთის არჩევნებს ცივილიზებული მსოფლიო არ აღიარებს და დღემდე რუსეთიც ასე იქცეოდა, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ დონეზე მაინც. ამიტომ, ვლადიმირ პუტინის მიერ გადადგმული ნაბიჯით გაოცებული ვარ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მოსკოვმა პოზიცია შეიცვალა და აღიარებს აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც, სხვათა შორის, მოსახლეობის ორი მესამედის მონაწილეობის გარეშე ჩატარდება?"** - თავის მიერ დასმულ კითხვაზე ნინო ბურჯანაძეს დღეისათვის პასუხი არ გააჩნია. სპიკერი იმედოვნებს, რომ ამ ყველაფერს მაშინ მოეფინება ნათელი, როდესაც რუსეთის ხელისუფლება სოჭში გამართული შეხვედრის შესახებ ოფიციალურ კომენტარს გააკეთებს.

# ჟირინოვსკიმ საქმე იშოვა

პირველი გვერდიდან

**ლარი ფული არ არის, იქ დოლარებია ყველაფერი. იგი და მისი ჰოლანდიელი მეუღლე თბილისს მალე დატოვებენ. ჩვენ კი ვიმეგობრებთ."**

ჟირინოვსკიმ ქართველი დიპლომატებიც გააფრთხილა: **"რაც უფრო მეტი იქნება პროვოკაციური განცხადებები და აქციები რუსეთის წინააღმდეგ, მით უფრო დიდხანს იდგებიან საქართველოში ჩვენი ჯარები."** მეორე, უფრო "საშიში" განცხადება კი შემდეგნაირად ჟღერდა: **"ნებისმიერ მომენტში ვლადიმირ პუტინს შეუძლია გასცეს ბრძანება საქართველოში წესრიგის დამყარებაზე."** როგორ მოახერხებს ამას რუსეთის პრეზიდენტი და რა ძალებით, ამაზე ჟირინოვსკის არაფერი უთქვამს, თუმცა, მისი აპარატის უფროსს იაროსლავ ნილოვს მაინც წამოსცდა: **"აი, როცა გაზისა და შუქის გარეშე დაგტოვებთ, როცა მშივრები და ტიტვლები მუხლებზე ხოხვით მოფორთხდებით მოსკოვში და რუსეთის მოქალაქეობას მიიღებთ ყველა, მაშინ აღარ მიგიღებთ. მოლდოველები რუს ღორებს გვეძახდნენ, ახლა ჩვენს საკონსულოსთან რუსეთის მოქალაქის პასპორტის მისაღებ გრძელ რიგებში დგანან."**

აქციის ბოლოს ლდპრ-ის ლიდერი გადასწვდა მოსკოვში მოღვაწე ზურაბ წერეთელს. მოიხსენია კახა ბენდუქიძე და ლონდონში მცხოვრები ბორის ბერეზოვსკი. "ჩვენი ოლიგარქის ფულები ლონდონიდან, ხოლო პატარკაციშვილის კაპიტალი თბილისიდან რუსეთში ტერორისტულ აქტებს ახდენს. შევარდნაძემ კი ოცი ათასი ქართველი ახალგაზრდა აფხაზეთის ომში მიწაში ჩააწვინა, ახლა კი კრწანისის რეზიდენციაში ზის და შამპანურს სვამს," - ასეთ ფრთიან ფრაზებს ისროდა ჟირინოსკი.

ამის შემდეგ ჟირინოვსკიმ, პარტიის ახალგაზრდა აქტივისტებთან ერთად, საქართველოს საელჩოს ფონზე სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

უცხოელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ სად მდებარეობს საქართველო და სამხრეთ ოსეთი, ჩვიდმეტიოდე წლის ჟირინოვსკელმა, რომელსაც ხელში ლდპრ-ის დროშა ეკავა, მხრები აიჩეჩა - მე ეს სულაც არ მაინტერესებსო.

# აბაშიძის ქონების კონფისკაციის სარჩელის განხილვა იწყება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში დღეს ხანგრძლივი სასამართლო პროცესი დაიწყება. მართლმსაჯულება აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის, მისი ოჯახის წევრებისა და აბაშიძეების ნათესავების ქონების კონფისკაციის სარჩელის განხილვას დაიწყებს.

სარჩელი სასამართლოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა დაახლოებით ერთი კვირის წინ შეიტანა. დღეს გამწესრიგებელი სხდომა გაიმართება და გადაწყდება, იმ ოცდაათკაციანი სიიდან, რომელიც აჭარის პროკურორმა ჩამოწერა, ვისი ქონების კანონიერად შეძენა-არშეძენაზე მსჯელობით დაიწყებს სასამართლო საქმის განხილვას.

იმ ოცდაათკაციან სიაში, რომელთა ქონების კონფისკაციის საკითხიც პროცესზე უნდა გადაწყდეს, აჭარის ყოფილი ლიდერისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, აბაშიძეების ნათესავები და ახლობლები არიან.

"აჭარის ყოფილი ლიდერის და მისი ახლობლების სახელფასო შემოსავლები მთელი ამ წლების განმავლობაში 130 ათას ლარს არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, კანონიერი გზით ისინი იმ ქონებას, რაც 100 მილიონად შეფასდა, ვერანაირად ვერ შეიძენდნენ", - ასეთი გახლავთ პროკურატურის არგუმენტი.

თუ სასამართლოს ძალით დადგინდება, რომ ასლან აბაშიძის ოჯახისა და ახლობლების ქონება, რომლის ჩამორთმევასაც პროკურატურა ითხოვს, მართლაც უკანონოდ არის შეძენილი და დაუსაბუთებელია, ის მთლიანად სახელმწიფოს გადაეცემა.

*24 საათი*

# კაზინო "მაკაოს" დირექტორი დააკავეს

*რამდენიმე დღის წინ თბილისის ფინანსური პოლიციის მიერ ორ კაზინოში ფინანსური მაქინაციების გამოვლენას გუშინ ერთ-ერთი ამ დაწესებულების დირექტორის დაკავება მოჰყვა.*

სულ ცოტა ხნის წინ ფინანსურ პოლიციაში სპეციალურად სათამაშო ბიზნესის შესასწავლად შექმნილმა ოპერატიულმა ჯგუფმა ამ სფეროში ბევრი დარღვევა აღმოაჩინა. კერძოდ, კაზინოების რაოდენობის და გადასახადების ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ბიზნესიდან ბიუჯეტში გეგმიური თანხის მხოლოდ 12-18 პროცენტი შედის.

ეს ზოგადი მონაცემი, ცხადია, დაკონკრეტებას ითხოვდა და ფინანსური პოლიციის ყურადღების ცენტრში თავდაპირველად ორი კაზინო: ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე "მაკაო" და კოსტავას ქუჩაზე მდებარე "ლოტოსი" მოხვდა. ორივე კაზინოში ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი მოულოდნელად, სწორედ იმ დროს შევიდა, როდესაც იქ აქტიური მუშაობა მიდიოდა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, "მაკაო" მიმდინარე წლის ივნისიდან ფუნქციონირებს, მაგრამ მის ხელმძღვანელობას დღემდე ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. არადა, ისევ ფინანსური პოლიციის დასკვნით, მხოლოდ ფიქსირებული გადასახადის სახით, დასახელებულ სამორინეს, სადაც ექვსი სათამაშო მაგიდაა (ერთი მაგიდიდან ყოველთვიური გადასახადი 7 ათასი ლარია), ბიუჯეტში თვეში 42 ათასი ლარი უნდა ჩაერიცხა.

რაც შეეხება სამორინე "ლოტოსს", ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მისი ხელმძღვანელობა გადასახადს თვეგამოშვებით იხდიდა. "ლოტოსი"-დან, რომელიც ხუთ მაგიდას ამუშავებდა, ბიუჯეტში თვეში 35 ათასი ლარი უნდა შესულიყო.

სანამ ფინანსური პოლიცია კაზინოს სტუმრებს და კრუპიეებს კითხავდა და კომპიუტერებსა და დოკუმენტაციას ლუქავდა, დაწესებულებების ხელმძღვანელებმა მიმალვა მოახერხეს. თუმცა, გუშინ უკვე მოხერხდა "მაკაოს" დირექტორის დავით დოდაშვილის დაკავება. მას ბრალს დიდი ოდენობით გადასახადის დაფარვაში დასდებენ.

*24 საათი*

# რუსეთს აფხაზეთი საქართველოსთვის ნერვების ასაშლელად სჭირდება

"აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საქართველოსთან ურთიერთობაში სამწუხარო ნაბიჯი გადადგა," - აცხადებს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი. მისივე თქმით, აფხაზეთში ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობას არავინ ცნობს, მათ შორის - რუსეთიც, და აქედან გამომდინარე, აღნიშნული შეხვედრა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სურვილს, გააღიზიანონ საქართველო. "რუსეთი აფხაზეთში არჩევნებს ლეგიტიმურად ვერ ცნობს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემთხვევაში, რუსეთმა თავისი თავი საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის, გაეროს და ეუთოს მიღმა უნდა დააყენოს. ამას კი რუსეთი ვერ ჩაიდენს. მოსკოვი, თავდაპირველად, მოზომილი იყო. ის ნაბიჯი კი, რომელიც პუტინმა გადადგა, პოლიტიკური წაცდენაა და, რაც ყველაზე მთავარია, რუსეთს აფხაზეთი სჭირდება არა აფხაზეთისთვის, არამედ საქართველოს ნერვების ასაშლელად; ამიტომ ყოველ ასეთ წაცდენებზე ნერვები არ უნდა ავიშალოთ", - აღნიშნა კოტე გაბაშვილმა.

*მედია-ნიუსი*

## ოსმა ბოევიკებმა ქართველებს სასაფლაოზე ცეცხლი გაუხსნეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სროლის ხმა კვლავ ისმოდა. ოსმა სეპარატისტებმა სოფელ ერედვის მოსახლეობას ცეცხლი ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, სასაფლაოზე ყოფნისას მთიდან გაუხსნეს. მომხდარის გამო მოსახლეობა შეშფოთებულია. ისინი შიშობენ, რომ შესაძლოა ოსმა სეპარატისტებმა მათი საქონელი გაიტაცონ და დახოცონ, რის გამოც სოფლების მცხოვრებლები საქონლის საძოვრებზე გაყვანას ერიდებიან. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, გლეხები თავიანთ ბაღ-ვენახებში, ჯერჯერობით, მშვიდად მუშაობენ.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში სდებს ბრალს და მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას გენერალური პროკურორისგან მოითხოვს.

როგორც "ლეიბორისტთა" ლიდერმა გუშინ, პარტიის ოფისში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, პარტიის წარმომადგენელთა მიერ ორი თვის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ პრეზიდენტმა თავის პოსტზე სულ 150 სამუშაო დღე გაატარა და აქედან, 80 დღის განმავლობაში მივლინებებში იმყოფებოდა. "ლეიბორისტთა" სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი სულ 22 ქვეყანაში ჩავიდა და თვითმფრინავით ჰაერში მგზავრობისას 200 საათი, 10 დღე გაატარა, რაც ნათელაშვილის თქმით, "გამოცდილ კოსმონავტსაც კი შეშურდება". პარტიის ლიდერი ამ მონაცემებს "ამაზრზენ ფაქტებს" უწოდებს და დასძენს, რომ პრეზიდენტმა მის ოჯახთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად ვოიაჟების შედეგად 150 დღის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მლნ დოლარი დახარჯა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთში 3 ოქტომბრისათვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ცსკ-ს მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობას გალის რაიონის აფხაზურ ადმინისტრაციაში ოფიციალურად რეგისტრირებული 10 ათასზე მეტი დაბრუნებული ქართველი დევნილი მიიღებს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცსკ-ს თავმჯდომარის სერგეი სმირის ინფორმაციით, პრეზიდენტობის კანდიდატთა დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მას ჯერ უჭირს არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის დასახელება. მისი თქმით, ცსკო არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის დასახელებას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, როცა საუბნო კომისიებიდან მონაცემებს საბოლოოდ დააჯამებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" (აღორძინება) თავმჯდომარე ლეონიდ ლაკერბაია აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მიხაილ თარბას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ლაკერბაია მას ცილისწამებაში ადანაშაულებს. 27 აგვისტოს აფხაზეთის ტელევიზიით გამოსვლისას მიხაილ თარბამ განაცხადა, თითქოს ლაკერბაია ხელისუფლების დამხობას აპირებდა. "ოფიციალურად უნდა განვაცხადო, რომ ხელისუფლების ჩამოგდება არასდროს განმიზრახავს და არც სამართლებრივი მოქმედების საზღვრები დამირღვევია", - განაცხადა ლაკერბაიამ. მისივე თქმით, თარბამ, ფაქტობრივად, სტარტი მისცა წინასაარჩევნო კამპანიის ბინძურ ტექნოლოგიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა ბათუმის მერიის გადაწყვეტილება, რომელიც ქალაქის ცენტრალური ბაზრის დახურვასა და მოვაჭრეების ბონის სავაჭრო ცენტრში გადაყვანას ითვალისწინებს, საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. პარლამენტარი მიიჩნევს, რომ მერიამ გადაწყვეტილება ჩუმად მიიღო.

როგორც კობა დავითაშვილმა აღნიშნა, სარჩელით იგი მოითხოვს, გაუქმდეს მერიის აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან, მისი მიღებისას საჯაროობის პრინციპი დაირღვა , ანუ გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად მიიღეს, რაც ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 24 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში საინიციატივო ჯგუფების მიერ წარსადგენი განცხადებების შეტანის ვადა 30 აგვისტოს ამოიწურა. საუბარია ოთხ საარჩევნო ოლქზე (რაიონზე), სადაც 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატების შემცვლელები უნდა აირჩიონ. დიდუბის საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ყოფილ მერს ვანო ზოდელავას წარადგენს. კრწანისის საარჩევნო ოლქში, სავარაუდოდ, გურამ შარაძის კანდიდატურას წარადგენენ; გორის რაიონის მაჟორიტარობა "ერთობის" ლიდერს ჯუმბერ პატიაშვილს სურს. გავრცელებული ინფორმაციით, ზესტაფონის საარჩევნო ოლქში კენჭს იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი იყრის. სხვა კანდიდატების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# 75 მილიონი - 300 მილიონის ნაცვლად

პირველი გვერდიდან

მართალია, დარგს უცხოელი დონორები მოზრდილი ფინანსური ინექციებით ეხმარებიან, მაგრამ როგორც ენერგეტიკის ექსპერტები აცხადებენ, უცხოური დახმარებები ისეთი კაპიტალტევადი დარგისთვის, როგორიც ენერგეტიკაა, "ზღვაში წვეთია". საქმე ისაა, რომ როცა საქართველოში წლიურად 300 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგია იხარჯება, თუ დისტრიბუტორები ამ თანხის ამოღებას მოახერხებენ, დარგს არავითარი პრობლემა აღარ ექნება.

სწორედ ამიტომ, დარგის უმთავრეს პრობლემად სექტორში აღრიცხვიანობის მოწესრიგება რჩება. მიუხედავად ამ პრობლემის მიმართ დონორებისა და კრედიტორების ყურადღებისა, საკითხი დღემდე




გადაუჭრელია. მეტიც: 2003 წლის მონაცემებით, საბითუმო ბაზარმა უარყოფით სალდოზე იმუშავა. იმისათვის, რომ ენერგეტიკაში შემოსული თანხები დარგის რეაბილიტაციას ეყოს, დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 80 პროცენტს მაინც უნდა აღწევდეს. სწორედ ამიტომ, დღემდე დარგში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება უცხოური დახმარებების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ქვემოთ გთავაზობთ დიაგრამას, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა ოდენობის თანხები "ერგება" დარგს, რა ოდენობის შემოდის მომხმარებელთაგან და რა ნიშას ავსებს ამ თანხებში დარგისთვის გამოყოფილი უცხოური კრედიტები და დახმარებები, რომლებიც, ლოგიკის თანახმად, მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოებს უნდა ხმარდებოდეს.

# ისე მზად, როგორც არასდროს

## ენერგეტიკის მინისტრი ირწმუნება, რომ ენერგოსისტემა ამ ზამთარს კარგად მომზადებული შეხვდება

მაია ურუშაძე

ენერგეტიკის სამინისტროში მომავალი ზამთრისთვის მზადების პროცესს უმაღლეს შეფასებას აძლევენ. **"ამ ზამთარს ისეთი მომზადებულები ვხვდებით, როგორც უკვე დიდი ხანია, არ შევხვედრივართ,"** - აცხადებს მინისტრი ნიკა გილაური. მისი ინფორმაციით, წელს დენის გამომუშავება მოიმატებს, ხარჯი კი დაიკლებს და ზამთარს უშფოთველად გადავიტანთ. ელექტროსადგურების ტექნიკური მდგომარეობა ენერგოსისტემას საშუალებას მისცემს, ზამთრის ე.წ. "პიკურ დატვირთვებს" (დილისა და საღამოს პიკის საათებში ელექტროენერგიის მოხმარების უეცარი ზრდა) "ვაჟკაცურად" შეეგებოს. ასეთი განცხადებების საშუალებას მინისტრს "ევრორემონტიდან" ახლად გამოსული ენგურჰესი აძლევს, რომელიც "ისეა გამართული, როგორც არასდროს".

მართლაც, ქვეყნის მთავარ ჰიდროელექტროსადგურზე უკვე სრულ მზადყოფნაშია 4 აგრეგატი, მეხუთე კი 19 იანვრისთვის უნდა გარემონტდეს. **"შესაძლოა, ეს მანქანა უკვე 20 დეკემბრისთვის გვქონდეს მზად,"** - იმედოვნებს გილაური. მისი თქმით, ენგურჰესზე მეხუთე აგრეგატს მხოლოდ სარეზერვო დატვირთვა ექნება, რადგან სადგურზე სულ ოთხი ტრანსფორმატორია. **"მაგრამ, ვითარება ისეთი აღარ იქნება, როგორც ადრე, როცა რომელიმე მანქანა გამუდმებით ზიანდებოდა და ქვეყანა ორი-სამი მანქანის იმედად რჩებოდა,"** - ამაყობს გილაური.

გარდა ამისა, წელს პირველად ჩადგა მწყობრში ვარდნილჰესის 60-მეგავატიანი აგრეგატი. რემონტდება მეორეც, ასე რომ, ოქტომბრისთვის სამინისტროში ენგურის ჰიდროკასკადის ვარდნილჰესებიდან, ჯამში, 120 მეგავატი სიმძლავრის პოტენციალს ანგარიშობენ. ვარდნილჰესები ენგურჰესის მიერ დანახარჯ წყალზე მუშაობენ, რაც ნიშნავს, რომ ამ სადგურებს წყლის პრობლემა არ ექნებათ.

სამაგიეროდ, წყლის მარაგი შეზღუდულია თავად ენგურჰესზე. ენ-


ვახო ბესელიას ფოტო

გურის წყალსაცავი დღეს, შეიძლება ითქვას, გადავსებულია. მაგრამ, თუ სადგურს, ტრადიციულად, ბაზისურ რეჟიმში მოუწია მუშაობა (ანუ თუ "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკი დროულად არ ჩაირთო და მთელი საქართველოს ელექტრომომარაგების ძირითადი ტვირთი ენგურჰესზე გადავიდა), ის ახალ წლამდე დაიცლება და მომავალი წლის დასაწყისში ქვეყანა მხოლოდ დენის იმპორტზე იქნება დამოკიდებული. **"თუ თელასმა მეცხრე ბლოკი, გრაფიკის თანახმად, 1 ოქტომბერს ჩართო, ენგურზე წყალი დაიზოგება. იმისათვის, რომ წყლის ეს რესურსი მთელ ზამთარს გვეყოს, 1 ნოემბერს ენგურის წყალსაცავი 505-მეტრიან ნიშნულზე უნდა შევახვედროთ,"** - აცხადებს მინისტრი და იმედოვნებს, რომ "თელასი" დარგს ზამთარში დამატებით პრობლემებს არ შეუქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის სამინისტროში ქვეყნის ელექტროსადგურების მდგომარეობაზე "წელგამართულები" საუბრობენ, იქვე დასძენენ, რომ ქვეყნის შიდა გენერაცია ზამთარში დენზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ იქნება და 1 ოქტომბრიდან, ბაზისური სიმძლავრის შესავსებად, რუსეთიდან და სომხეთიდან დენის იმპორტის აუცილებლობა მაინც იქნება. **"თბილისის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის რუსეთიდან მინიმუმ 50 მეგავატის შემოტანა დაგვჭირდება, სომხეთიდან კი - 120-მეგავატის,"** - ანგარიშობს ენერგეტიკის მინისტრი, თუმცა იქვე დასძენს, რომ იმპორტზე სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა - "თელასმა" და "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" უნდა იზრუნონ.

გარდა ამისა, მინისტრის ინფორმაციით, იგეგმება დასავლეთ საქართველოში მდებარე "იმერეთის ჰესებად" ცნობილი რამდენიმე ჰესის რეაბილიტაცია: ამჟამად ძევრულაჰესზე წარმოებს სარეაბილიტაციო სამუშაოები და ჰესის სიმძლავრე 20 მეგავატით მოიმატებს, მწყობრში ჩადგება ვარციხეჰესი, 9 მეგავატი დაემატება შაორჰესის სიმძლავრეს, რემონტდება გუმათჰესი. იგეგმება მცირე ჰესების რეაბილიტაციაც. მალე მწყობრში ჩადგება "ყაზბეგიჰესი" დაბა ყაზბეგთან და "სანალია" აჭარაში. დღის წესრიგშია დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე "კეხვიჰესის" რეაბილიტაციაც.

დენის იმპორტისათვის დამატებით 5 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფის თაობაზე ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროს და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მმართველ "პი-ეი კონსალტინგს" მოლაპარაკებები აქვთ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID).

რაც შეეხება იმპორტირებული დენის შემოტანის საშუალებებს, ამ მხრივ, დღეს ვითარება მთლად სახარბიელო არ არის - რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელ მთავარ მაგისტრალ "კავკასიონზე" ერთ-ერთი ძნელად მისადგომი ანძა კვლავ წაქცეულია. მაგრამ, როგორც "საქრუსენერგოში" აცხადებენ, 1 მლნ დოლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები აქ ინტენსიურად მიმდინარეობს, მათ რუსული კომპანია ასრულებს და, სულ რაღაც, ორ კვირაში 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი იმპორტის მისაღებად სრულ წესრიგში იქნება.

სომხეთიდან დენის შემოსატანად უკვე მზადაა "ალავერდიც". ამ ხაზის საიმედოობის გაზრდისთვის ზამთრის დადგომამდე დამატებით 10 მილიონი ევრო უნდა დაიხარჯოს და სომხეთიდან თბილისამდე დენის მოსატანად საჭირო წერტილები - მარნეულის, გარდაბნის, ლისის ქვესადგურები და თავად ხაზის ცალკეული მონაკვეთები კაპიტალურად უნდა გარემონტდეს.

გარდა ამისა, ენერგეტიკის მინისტრი სვანეთში, რაჭასა და სამეგრელოში ელექტროქსელების რეაბილიტაციისთვის 3 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს. **"ამ ხაზებზე კუთხოვანებია მოპარული. ძლიერი ქარის შემთხვევაში, შეიძლება, ანძები წაიქცეს და ათობით სოფელი დენის გარეშე დარჩეს. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ ქსელების რეაბილიტაცია. გარდა ამისა, პატარა ლიახვის ხეობაში ავაშენეთ ოთხკილომეტრიანი ხაზი და ახლა დიდი ლიახვის ხეობის ელექტრომომარაგება ცხინვალზე აღარ არის დამოკიდებული - ეს ხეობა პირდაპირ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" მარაგდება,"** - აცხადებს მინისტრი და "ჩუმად აშენებული ხაზის" პრეზენტაციას დღეისთვის გეგმავს.

დაბოლოს: ზამთრისთვის მზადების სამუშაოებს შორის ენერგეტიკის სამინისტროში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე გამრიცხველიანების პროცესზეც საუბრობენ. **"გამრიცხველიანებულია რუსთავის 80 და ქუთაისის 45 პროცენტი. სამტრედიაში დავიწყეთ ექსპერიმენტი - ერთ მცირე დასახლებას ერთ კომუნალურ მრიცხველს ვუმონტაჟებთ. ექსპერიმენტმა გაამართლა და სამტრედიის რაიონში ახლა დენის საფასურის ამოღება 60 პროცენტამდე გაიზარდა. იმატა გამრიცხველიანებული რუსთავის ამოღების მაჩვენებლებმა. ამასთან, გამრიცხველიანებულ რეგიონებში 25-30 პროცენტით შემცირდა დენის მოხმარება. საქმე ისაა, რომ გამრიცხველიანებული მოსახლეობა და საწარმოები დენს ზოგავენ და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, წელს ნაკლები სიმძლავრეები დაგვჭირდეს, ვიდრე შარშან,"** - იმედოვნებს მინისტრი.

რაც შეეხება რემონტებისთვის, გამრიცხველიანებისა და იმპორტისათვის საჭირო ფინანსებს, მათ მოძიებას მინისტრი დონორებისგან და, ნაწილობრივ, ბიუჯეტიდან გეგმავს.

# ზამთარში გაზმომარაგების გარანტია არ გვაქვს

*აშკარაა - როცა ფულს არ იხდი, ერთ მშვენიერ დღეს გაზის ონკანს გადაგიკეტავენ და ხმასაც ვერ ამოიღებ. ასე რომ, "თბილგაზისთვის" გაზმომარაგების შეზღუდვა მოულოდნელი არ ყოფილა. მეტიც: ახლა სამთავრობო ეშელონებში უკვე აღარ მალავენ, რომ თუ ზამთრისთვის თადარიგი წინასწარ არ დაიჭირეს, შესაძლოა ამ ზამთარს საშინელ ენერგოკრიზისში აღმოვჩნდეთ.*

მაია ურუშაძე

"გაზში გვიჭირს," - აცხადებს ენერგეტიკის მინისტრი. მართლაც, დღეს საქართველოს გაზმომარაგება ისევ მხოლოდ "გაზპრომის" კეთილგანწყობასა და "თბილგაზის" მმართველი "ახალი მენეჯმენტის" მიერ მერიის კარზე მოგროვებულ მილიონებზეა დამოკიდებული.

ზაფხულში "თბილგაზში" ხელმძღვანელობა შეცვალეს და ახლა ახალი დირექტორი ამ ორგანიზაციაში რესტრუქტურიზაციას გვპირდება. მაგრამ, საქმეს ეს არ შველის. მთავარი ისაა, გამოიძებნება თუ არა თანხები გაზის ექსკლუზიური მომწოდებლის - "გაზექსპორტის" ვალების გასასტუმრებლად. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე კი აცხადებს, რომ მის კომპანიას ამ ვალების "თავისით გასტუმრება არ შეუძლია".

თანაც, რუსეთში გაზის ტარიფის მატების ტენდენცია შეინიშნება. გაზზე ფასმა იმატა რუსეთის შიდა ბაზარზე და ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ტარიფის ზრდა, შესძლოა, დსთ-ს ქვეყნებსაც შეეხოს. ყოველ შემთხვევაში, გაზის კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა აცხადებს, რომ ქართულ მხარეს ტარიფთან დაკავშირებული მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე რუსული მხარისგან არავითარი შეტყობინება არ მიუღია. ამასთან, "გაზპრომთან" ქართული მხარის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ერთწლიანია, წინა ხელშეკრულების ვადა კი სექტემბერში იწურება. აქედან გამომდინარე, თუ სექტემბერში გაზის ტარიფზე "გაზპრომმა" სიურპრიზები არ მოგვიწყო, ერთი წლის განმავლობაში შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ. ამ სიურპრიზებს კი გაზის კორპორაციაში, რატომღაც, წელს არ ელიან. მით უმეტეს, რომ დღეს რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე - სომხეთი გაზს ძალიან იაფად იღებს და, ამასთან, საქართველოზე გავლით.

მოკლედ, გაურკვეველია, მოგვაწვდის თუ არა გაზს "გაზექსპორტი". ის კი არა, შესაძლოა, მისი გაზი "რაო მტკვარსაც" არ დასჭირდეს - ენერგეტიკის მესვეურებზე განაწყენებული "თელასის" გენერალური დირექტორი მეცხრე ბლოკის ჩართვას საერთოდ არ აპირებს. ამ შემთხვევაში, საქართველოში გაზს საკუთარი საწარმოებისთვის მარტო "იტერა" შემოიტანს და, ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "გაზპრომმა" თავისი მილებით სარგებლობა არ დაუშალა.

ერთი სიტყვით, გაზის ონკანი კვლავ გაზპრომის" ხელშია. ეს რომ ასე არ იყოს, გაზის კორპორაციამ აზერბაიჯანთან მაკავშირებელი 700 მმ-იანი მილსადენის 32-კმ-იანი მონაკვეთის აღდგენაზე დაიწყო ზრუნვა. რეაბილიტაციის პროცესი ორ თვეს გასტანს და მილიონ ლარამდე დაჯდება. ამ მილსადენით დღე-ღამეში 3-4 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიღება იქნება შესაძლებელი. ეს გაზის ის ოდენობაა, რომელიც თბილისის გაზმომარაგებასაც ეყოფა და მეცხრე ბლოკის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს.

**"ამ მილსადენის საშუალებით გაზს 1970-1978 წლებში ირანიდან ვიღებდით. ირანს თავისი გაზის გაყიდვა ახლაც სურს, თუმცა ფასი - ჯერ კიდევ მოლაპარაკების საგანია. აზერბაიჯანი ტრანზიტზე თანახმაა, მაგრამ ტრანზიტის ფასიც შესათანხმებელი იქნება. ამ მოლაპარაკებებს აზრი მაშინ ექნება, როცა თავად აზერბაიჯანის საზღვრიდან საგურამომდე მომავალი მილსადენი მწყობრში იქნება. თუ ირანთან მოლაპარაკება შედგა, გაზის მოწოდების ალტერნატიული წყარო გაგვიჩნდება,"** - ამბობს ინგოროყვა.

რაც შეეხება საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის კუთვნილ გაზს (10 პროცენტი რუსეთიდან სომხეთისკენ ტრანზიტით გატარებული გაზისა), 1 აგვისტოდან კორპორაციამ გაზის რეალიზაცია შეწყვიტა - ამიერიდან ის გაზს თავად კი აღარ გაყიდის, არამედ თავის ლიცენზიანტებს - "იტერას", "თბილგაზს", "საქცემენტს" და ა.შ. მიჰყიდის ხოლმე და შემოსული თანხებით რუსეთისადმი დაგროვილი გაზის ვალების გასტუმრებას შეუდგება. მაგრამ, ამ ბოლო დროს კორპორაციას გასაყიდი არაფერი რჩება - ტრანზიტიდან დარჩენილი გაზი სულ "დანაკარგებში" მიდის, ანუ "დახვრეტილ მილებში იპარება"...

ამიტომაც დღეს კორპორაცია თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად, ამ "დანაკარგების" შემცირებასთან ერთად, მაგისტრალური გაზსადენების სარეაბილიტაციოდ თანხების გამოძებნას მიიჩნევს. სხვათა შორის, ამ გაზსადენების რეაბილიტაციით დაინტერესებულთა შორის პირველ ადგილზე სწორედ "გაზპრომია", რომელსაც საქართველოს გაზის სისტემის ხელში ჩაგდება ისევ ძველებურად სურს და, რაც მთავარია, ძალიან იაფად. თუმცა, მილსადენები საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში აღარაა. ამასთან, რუსული ენერგოგიგანტი დღეს არც იმას აკონკრეტებს, რა თანხას გაიმეტებს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის. თუმცა, "გაზპრომთან" სავაჭრო ქართულ მხარესაც აქვს: წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციით ევრობანკი და მსოფლიო ბანკიც დაინტერესდნენ და არ არის გამორიცხული, მათ მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციის თანადაფინანსება განახორციელონ.

როგორც გაზის კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა განმარტავს, ჩვენი გაზის მაგისტრალების რეაბილიტაციით დაინტერესებულია ფრანგული "სოფრეგაზიც". **"მან შეისწავლა გაზსადენების მდგომარეობა და გადაუდებელი, სასწრაფოდ ჩასატარებელი სარეაბილიტაციო პროგრამა 40 მილიონ დოლარად შეაფასა. ჯერ ეს 40 მილიონი არ გამოგვიძებნია, მაგრამ დონორებთან გვაქვს შესაბამისი საუბრები. გარდა ამისა, ამ მიზნით თანხებს საქართველოს ბიუჯეტიდანაც ველით,"** - განაცხადა ინგოროყვამ "24 საათთან" საუბრისას.

მისი ინფორმაციით, ახლა ყაზბეგში რუსეთიდან შემომავალი გაზსადენის ე.წ. "ყუროს მონაკვეთის" რეაბილიტაცია იწყება. **"ეს მონაკვეთი მეწყერსაშიშ ზონაშია და ამიტომ აქ აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, უბრალოდ, აუცილებელია,"** - აცხადებს ინგოროყვა. მისივე თქმით, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ხაშურის მონაკვეთის რეაბილიტაციაც იგეგმება.

გარდა ამისა, კორპორაციას მთელი რიგი ღონისძიებები აქვს გასატარებელი შაჰდენიზის გაზის მისაღებადაც. საქმე ისაა, რომ მილსადენიდან, რომლის ამოქმედებაც უკვე 2005 წლისათვის იგეგმება, საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურა აირს პირდაპირ ვერ მიიღებს, რადგან შაჰდენიზის მილსადენში გაზი 80 ატმოსფეროს დაწნევით გავა, ჩვენს სისტემას კი გაზის მიღება მხოლოდ 15-20 ატმოსფეროს დაწნევით შეუძლია. ამიტომ, შაჰდენიზის გაზსადენის ოპერატორი "ბი-პი" თავად ააშენებს ქვესადგურს, სადაც გაზის წნევის დაგდება მოხდება. ქვესადგურის მშენებლობას თავად შაჰდენიზის კონსორციუმი დააფინანსებს.

მართალია, შაჰდენიზის მილსადენთან ჩვენი სისტემის მკვეთი წერტილი ჯერ დამტკიცებული არ არის, მაგრამ კორპორაციის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ "ბი-პი" მის წინადადებას დათანხმდება და შაჰდენიზიდან შემომავალ გაზს ჩვენს სისტემას სამხრეთ საქართველოში, 1000 მმ-იანი და 800 მმ-იანი გაზსადენების კვეთის წერტილში მიუერთებს.

# ბიზნესმენები ენერგეტიკის შესახებ

**ზურაბ მარგველიშვილი, სს "თბილღვინოს" აღმასრულებელი დირექტორი:**

მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ენერგეტიკა დღემდე ვერ გამოვიდა კრიზისიდან, პირველ რიგში, არის თავმოუბმელობა, არაკეთილსინდისიერება და არაკვალიფიციური კადრები ამ სფეროში. პირადად ჩემი კომპანიის პრობლემას მუდმივად წარმოადგენს ის, რომ ტარიფი არანორმალურად მაღალია, რაც არ არის ევროპის არც ერთ ქვეყანაში და არც ამერიკაში. ამავე დროს, არანორმალურად დაბალია მომსახურების ხარისხი, საკმაოდ ხშირად გვაქვს უშუქობის პრობლემა. ვფიქრობ, ის ათეულობით მილიონი, რაც წლების განმავლობაში დონორების მხრიდან საქართველოში ენერგოსექტორის მუშაობის გასაუმჯობესებლად გამოიყოფოდა, პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი იქნებოდა. მართალია, ზუსტი ვადების დასახელება გამიძნელდება, მაგრამ მივიჩნევ, რომ მონდომების, ასევე, სექტორის მუშაკების და დარგისთვის გამოყოფილი თანხების მკაცრი კონტროლის შემთხვევაში, მაქსიმუმ ერთ წელიწადში იქნება შესაძლებელი, რომ საქართველოში ენერგოკრიზისი აღარ იყოს.

**ბადრი ჯაფარიძე, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ვიცე-პრეზიდენტი, "თი-ბი-სი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:**

ენერგოკრიზისის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი: თავის დროზე, საქართველოს ენერგეტიკა არ იყო აშენებული როგორც დამოუკიდებელი სისტემა და იყო დიდი საბჭოთა სისტემის პატარა ნაწილი. მეორე: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მენეჯმენტი, რომელიც ენერგოსექტორში დარჩა, სისტემაში კორუფციის დანერგვაზე იყო ორიენტირებული. მესამე: საწარმოები და მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდისთვიდ მზად არ აღმოჩნდნენ. ის, რომ საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად გადამხდელუნარიანია, მართალია, მაგრამ ნაკლებად გადამხდელმა მომხმარებელმა ელექტროენერგიაც ნაკლებად უნდა მოიხმაროს. რაც შეეხება ინვესტიციებს - იმ თანხებით, რაც დონორებისგან წლების განმავლობაში მოდიოდა, საქართველოში ენერგოპრობლემები სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოგვარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული კომპანიის მაგალითის შემდეგ ცუდი პრეცედენტი შეიქმნა და ჩვენმა ენერგეტიკამ საერთოდ დაკარგა საინვესტიციო მიმზიდველობა, ამჟამად ყველა პრობლემა მოგვარებადია. უბრალოდ, ენერგოსექტორში პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტად უნდა იქცეს, შეიქმნას გენერაციის ახალი წყაროები და შეწყდეს სპეკულაცია თემაზე, რომ დახარჯულ ელექტროენერგიაში ფულს ვერ გადავიხდით.

**გიორგი კოტრიკაძე, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა და რეალიზატორთა უფლებების დაცვის ასოციაცია "ნია"-ს გამგეობის თავმჯდომარე:**

ვფიქრობ, კრედიტები, რომელიც გამოყოფილი იყო იმისათვის, რომ ენერგეტიკის საკითხი დარეგულირებულიყო, შესაბამისად არ იქნა მოხმარებული და გარკვეულ კერძო ინტერესებს შეეწირა. უნდა შემდგარიყო სპეციალური გეგმა და ამ თანხების გამოყენება მის მიხედვით უნდა მომხდარიყო. ასე რომ გაკეთებულიყო, აქამდე საქართველო ენერგოკრიზისიდან გამოვიდოდა და ეს მოსახლეობასაც და ბიზნესსაც, გარკვეული თვალსაზრისით, პრობლემას მოუხსნიდა. მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მიმაჩნია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხები თუ სწორი მიმართულებით წავა, პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრება.

*ჩაიწერა ნინო გომართელმა*

# საზოგადოება - ენერგეტიკის შესახებ

**გია ბუღაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორი:**

როცა ენერგეტიკას კორუფცია ხრავდა, ბუნებრივია, ეს ძალზე საპასუხისმგებლო სფერო ყველაზე მეტად დაბინძურდა, დღეს არსებული კრიზისიც სწორედ ამის შედეგია. წლების განმავლობაში სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ რაც არ უნდა პატიოსანი ადამიანი ჩაგესვა, აუცილებლად დაბინძურდებოდა. ახლაც, ეს სისტემა ბოლომდე მოშლილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ თუნდაც ენერგეტიკის მინისტრის მხრიდან არის გამოსწორების აქტიური მცდელობა. მე დარწმუნებული ვარ, ამ პრობლემის სწრაფად დაძლევა მოხდება, და არა მგონია, ამას ერთ წელზე მეტი დასჭირდეს.

**ბიძინა მაყაშვილი:**

ის, რომ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ენერგოკრიზისის წინაშე დგას, გამოწვეულია იმით, რომ პირველ ყოვლისა, ენერგეტიკა, როგორც თითქმის ყველა სხვა სფერო, დიდი ხნის მანძილზე უაღრესად კორუმპირებული იყო. ამასთან, არ არსებობდა მართვის ერთიანი სისტემა, უცხოელი დონორების მიერ გამოყოფილი კრედიტების ათვისება არ ხდებოდა მიზნობრივად და თანხა ისევ კორუფციული სისტემის მუშაკების ჯიბეებში ილექებოდა. სიმართლე გითხრათ, დღესაც იგივე ვითარებაა და მე სურვილსაც ვერ ვხედავ, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდეს. თუმცა, მიმაჩნია, რომ პროფესიონალი კადრების და მონდომების შემთხვევაში, კრიზისი ერთ წელიწადში მოგვარდება.

**ზალიკო სამადაშვილი:**

მიმაჩნია, რომ ენერგეტიკას პატრონი არ ჰყავს. ათასი ორგანო და სტრუქტურაა შექმნილი და მრჩება შთაბეჭდილება - ისინი შექმნილია იმისათვის, რომ ენერგოკრიზისი ერთმანეთს გადააბრალონ. დღეს ამ დარგში სიტუაციის გამოსწორება დამოკიდებულია იმ ადამიანებზე და მათ გონებრივ შესაძლებლობაზე, ვინც ამ სექტორს ჩაიბარებს.

*ჩაიწერა ნინო გომართელმა*

# საბითუმო ბაზარი, შესაძლოა, გაუქმდეს

*ელექტროენერგეტიკულ სექტორში ძვრები კვლავ მოსალოდნელია. დარგის მთავარი მოლარის - საბითუმო ბაზრის მომავალი, ჯერჯერობით, გაურკვეველია. კულუარებში დაწყებულია საუბარი ბაზრის "სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის" შეერთების თაობაზე. თავად ბაზარს კი, ჯერჯერობით, ისევ ესპანური "იბერდროლა" მართავს.*

ნიკა მარიამიძე

საბითუმო ბაზარს ელექტროენერგეტიკის სექტორში ერთგვარი "ცენტრალური კომპიუტერის" ფუნქცია აკისრია - ელექტროენერგიისა და ფინანსების ყველა ნაკადი სწორედ მისი გავლით აღწევს ელექტროსადგურებიდან მომხმარებლებამდე და პირიქით: საბანკო ანგარიშებიდან - ენერგოობიექტებამდე. შედეგად, ყველაზე სრული ინფორმაცია ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიისა და დენის საზღაურად გადახდილი თანხების შესახებ საბითუმო ბაზარში იყრის თავს.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგეტიკის მთელი თანხები საბითუმო ბაზრის ანგარიშებს გაივლის, ბაზარს მოგება არ რჩება - ის ასოციაციაა და ბაზრის წევრების მიერ გადახდილი ფიქსირებული შენატანებით არსებობს. ამის გამო, ბაზრის კუთვნილი მარჟა არც ელექტროენერგიის ტარიფში აისახება. ერთი სიტყვით, ბაზარი - ესაა ფილტრი, რომელიც ენერგოსექტორში ფინანსების შეუფერხებელ მოძრაობას ემსახურება და დარგში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ევალება.

ამასთან, ქვეყანაში ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის არსებობა ევროგაერთიანებაში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობაა და მისი გაუქმებით საქართველო ამ სტრუქტურაში ინტეგრაციისათვის დამატებით ბარიერს შეიქმნის. ყოველ შემთხვევაში, თავად საბითუმო ბაზარში ასე მიიჩნევენ.

თუმცა, როგორც ჩანს, მისი მუშაობით ენერგოსექტორის მესვეურები კმაყოფილები არ არიან. ენერგეტიკოსთა დიდი ნაწილი საბითუმო ბაზარს ელექტროენერგიის მწარმოებელ და მომხმარებელ კომპანიებს შორის არსებულ ურთიერთობებში ზედმეტ რგოლად მიიჩნევს და მის გაუქმებას დიდი ხანია, ითხოვს. ჩანს, უკმაყოფილება იმდენად დიდია, რომ ბაზარს მალე გაუქმება ელის. თუმცა, რა ფორმით მოხდება ეს, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ ხმაურდება.

## "მაგატე" ქართველ მებაჟეებს ასწავლის

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) ინიციატივით, გუშინ ქართველი მებაჟეებისთვის 4-დღიანი სასწავლო კურსი დაიწყო. სემინარში საბაჟოს 20-მდე სხვადასხვა რანგის მოსამსახურე მონაწილეობს. საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ცნობით, სემინარის მთავარი თემაა საზღვარზე რადიაქტიური ნივთიერების აღმოჩენა, უკანონო ტრანზიტის გამოვლენა და აღკვეთა.

სემინარში მონაწილეობას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ღებულობენ.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბენაშვილმა გუშინ სემინარზე გახსნისას განაცხადა, რომ საქართველოს თითქმის დაუცველი სასაზღვრო პერიმეტრი და მოუწყობელი საბაჟო ინფრასტრუქტურა მიმზიდველად გამოიყურება იმ დამნაშავე ჯგუფებისთვის, რომლებმაც ტერორიზმის ან სეპარატიზმის მიზნით რადიაქტიური ნივთიერების ან მასობრივი განადგურების იარაღის ტრანზიტად, შესაძლოა, საქართველო გამოიყენონ. "ეს კი მთელ სამხრეთ კავკასიას სერიოზულ საფრთხეს უქმნის", - განაცხადა ბენაშვილმა.

მისივე თქმით, საბაჟო დეპარტამენტი მწირი დაფინანსების გამო, საბაჟო-გამშვები პუნქტების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვას ვერ ახერხებს, რის გამოც "მაგატესთან" ურთიერთობა ბოლო ხანს გააქტიურდა. ამ თანამშრომლობის შედეგია ფოთის პორტის სარკინიგზო გასასვლელში რადიაციული კონტროლის სისტემის მონტაჟის სამუშაოების დაწყება, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს რამდენიმე კვირაში უნდა დასრულდეს. მოსამზადებელი სამუშაოები ქართულმა მხარემ უკვე შეასრულა.

საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ პროექტის მასშტაბები გაიზრდება და რადიაციული კონტროლის სისტემები დამონტაჟდება ბათუმის საზღვაო ნავსადგურში, საქართველო-თურქეთის საზღვარზე გახსნილ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე. მანამდე კი, "მაგატე" საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა ტრეინინგის კურსებს დააფინანსებს, რათა ამ უწყებას შესაბამისი კვალიფიციური კადრები ჰყავდეს.

ცნობისათვის, "მაგატე" საბაჟო დეპარტამენტთან 2000 წლიდან თანამშრომლობს. სპეციალური პროგრამების ფარგლებში ამ ორგანიზაციის მიერ საბაჟოს, სხვადასხვა დროს, რადიაციის დამდგენი 100-მდე პეიჯერი გადაეცა და რამდენიმე სასწავლო კურსი ჩატარდა.

*24 საათი*

### მოკლედ

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის 30 აგვისტოს ვაჭრობაში მონაწილეობა ხუთმა კომერციულმა და ეროვნულმა ბანკმა მიიღო. დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 3.025.000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული რესურსი მთლიანად ეროვნულმა ბანკმა შეიძინა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით 1 აშშ დოლარი - 1.8000 ლარი; 1 ევრო - 2,1457 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0,0610 ლარი. 31 აგვისტოდან ძალაშია ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარი - 1.7850 ლარი. ამავე პერიოდისათვის შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 აშშ დოლარს 1.7800 ლარად ყიდულობდნენ და 1.7900-ად ყიდდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში არსებული 302 ბაზრიდან და ბაზრობიდან 30,1 პროცენტი თბილისშია განლაგებული. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ბაზრებზე და ბაზრობებზე სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლით მოვაჭრე ფიზიკურ პირთა რაოდენობა საშუალოდ დღეში 65,7 ათას კაცს შეადგენს, რომელთაგან 74,9 პროცენტი დახლზე მოვაჭრეა, 15,3 პროცენტი ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობს, ხოლო 9,8 პროცენტი -"არაორგანიზებულ" ბაზრობებზე. გამოკვლევის შედეგებით, საქართველოს ბაზრებსა და ბაზრობებზე არსებული სავაჭრო ადგილები 95 პროცენტით არის დატვირთული. მიმდინარე წლის ივნისის თვეში ბაზრებსა და ბაზრობებზე საცალო მოვაჭრეთა მიერ რეალიზებულია 199,1 მილიონი ლარის სამომხმარებლო საქონელი. საქართველოს ბაზრებსა და ბაზრობებზე რეალიზებული საქონლის 28,4 პროცენტი სასურსათო და უალკოჰოლო საქონელია. არასასურსათო საქონლის 23,8 პროცენტი ტანსაცმელზე მოდის. **ინტერ-პრესი**

ალდაგი

სიახლე „ალდაგისგან“

მათ, ვინც საზღვარგარეთ გამგზავრებას

და დაუვიწყარი ზაფხულის გატარებას აპირებს,

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“

სთავაზობს ახალ მომსახურებას.

ახლა უკვე შეგიძლიათ „ალდაგის“

სამოგზაურო დაზღვევის პოლისით

ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის გარდა,

თქვენი ბარგიც დააზღვიოთ

და დაივიწყოთ

ყოველგვარი უსიამოვნება

დაინტერესდით, დარეკეთ:

929

ალდაგი

დაზღვევა გონიერი ადამიანებისთვის!

# ვინ გაისტუმრებს სახელმწიფო ქონების ვალებს?

ეთერ მამულაშვილი

*ექსპერტები შიშობენ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან "დიდი ფულის" მოლოდინი, შესაძლოა, ნაადრევი აღმოჩნდეს. მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ქონების დიდ ნაწილს სერიოზული საბიუჯეტო დავალიანება დაუგროვდა.*

ამ დროისთვის უცნობია სახელმწიფო ქონების კრედიტორული დავლიანების ზუსტი მოცულობა, თუმცა მისი დიდი ნაწილი რომ საგადასახადო დავალიანებებზე მოდის, ეს იმთავითვე იყო ცნობილი. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შემდეგ კრედიტორული (მათ შორის - საგადასახადო) დავალიანების ტვირთი, ავტომატურად, ახალ მესაკუთრეზე გადადის. **"ჩვენ ამ ობიექტებს იმ ვალდებულებებთან ერთად ვყიდით, რაც მათ მოცემული მომენტისთვის გააჩნიათ,"** - აცხადებენ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.



*"ხშირ შემთხვევაში, დავალიანების მქონე საწარმოების ლიკვიდაცია ბევრად მომგებიანია თავად ამ საწარმოსთვის და, ზოგადად, სახელმწიფოსთვისაც" - აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე.*

იური ლობოდინის ფოტო

ვალდებულებებში კი, პირველ რიგში, ის ვალი იგულისხმება, რომელიც საწარმოებს წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიმართ დაუგროვდათ. ეს კი გასაყიდ ობიექტებს ინვესტორთა თვალში, გარკვეულწილად, ხიბლს უკარგავს. ამა თუ იმ საწარმოს მიმზიდველობა კიდევ უფრო კლებულობს, როცა საუბარი უიმედო ვალს ეხება. სახელმწიფო საწარმოთა დაახლოებით 46 პროცენტს ეგრეთ წოდებული უიმედო ვალი გააჩნია, რომლის გადახდის პერსპექტივა არ არსებობს. როგორც წესი, ასეთი ობიექტების ფინანსური და ქონებრივი აქტივები ნულის ტოლია, ან იმდენად მცირეა, რომ ის სასამართლო ხარჯებსაც ვერ აუვა. ასეთ შემთხვევაში, მყიდველთა ინტერესი კიდევ უფრო ნელდება და შანსი, რომ ეს საწარმოები "კარგ ფასად" გაიყიდება, კიდევ უფრო მცირდება.

**"ასეთი ობიექტების გაყიდვით სახელმწიფო კაპიკებს მიიღებს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ, - **"უმჯობესი იქნება, თუ ჯერ ამ საწარმოების ლიკვიდაციას მოვახდენთ და შემდეგ მათ დარჩენილ ქონებას - ჯართად, და მათზე დამაგრებულ მიწას გავყიდით. ხშირ შემთხვევაში, ლიკვიდაცია ბევრად მომგებიანია თავად ამ საწარმოსთვის და, ზოგადად, სახელმწიფოსთვისაც".** რომან გოცირიძე ირწმუნება, რომ წარსულში ამის არაერთი მაგალითი ყოფილა, როცა საწარმოს გაყიდვით ბიუჯეტმა ბევრად ნაკლები თანხა მიიღო, ვიდრე მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში შეეძლო მიეღო.

ამის ფონზე დღეს ძალიან რთულია დაზუსტებით იმის თქმა, რომ ეკონომიკური განვითარების მინისტრი ამ ობიექტების სარფიანად გაყიდვას მოახერხებს, თუმცა ბენდუქიძე ხელისუფლებაში გამოჩენის დღიდან ირწმუნება, რომ პრივატიზაციიდან სახელმწიფო დიდ ფულს მიიღებს.

ექსპერტები შიშობენ, რომ საგადასახადო დავალიანება, რომელიც ამა თუ იმ საწარმოს, უკვე კარგა ხანია, მძიმე ტვირთად აწევს, ობიექტის გასაყიდ ფასზე აუცილებლად იმოქმედებს და ცალკეულ შემთხვევებში მის საბაზრო ღირებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. იგივე ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სერიოზული საგადასახადო დავალიანების პირობებში, არ არის გამორიცხული, რომ ბიზნესმენებმა გასაყიდი ობიექტის მიმართ ინტერესი დაკარგონ და ამ საწარმოებზე გამოცხადებული აუქციონიც ჩაიშალოს (აუქციონის ჩაშლის შემთხვევაში, კანონის თანახმად, გასაყიდი ობიექტის ღირებულება პირველ ეტაპზე 50 პროცენტით მცირდება).

იმ საწარმოებსაც კი, რომლებიც ბენდუქიძის მიერ წარმოდგენილ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის პირველ ათეულში მოხვდნენ, დღემდე ბიუჯეტის რამდენიმე მილიონი ლარი მართებთ. მაგალითად, "ჭიათურმანგანუმს" სახელმწიფოს მიმართ დაახლოებით 40-მილიონიანი დავალიანება დაუგროვდა. აღსანიშნავია, რომ აქედან მხოლოდ 13 მილიონია ძირითადი ვალი, დანარჩენი კი - მასზე დარიცხული ჯარიმა-საურავებია. 106 მილიონ ლარს აღემატება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ გადაუხდელი გადასახადები, 14 მილიონზე ოდნავ მეტი დაუგროვდა სს "თბილნავთობპროდუქტებს", სს "აზოტს" ბიუჯეტის 16 მილიონზე მეტი მართებს, თითქმის 100 ათასიანი დავალიანება გააჩნია "საქრათველოს ტელეკომს"...

დღეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გასაყიდი ქონების კრედიტორულ დავალიანებებს დეტალურად სწავლობენ. განსაკუთრებულ აქცენტს ისინი სახელმწიფოს მიმართ არსებულ დავალიანებაზე ამახვილებენ. **"ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ აბსოლუტურად ყველა საწარმოს დირექტორს მოვთხოვეთ, რომ შეექმნათ სპეციალური საპრივატიზაციო კომისია და დროულად აღერიცხათ ის აქტივები და პასივები, რაც მოცემული მომენტისთვის მათ საწარმოს გააჩნია. ეს ინფორმაცია იმისათვისაც გვჭირდება, რომ დაინტერესებული მყიდველი მისთვის სასურველი ობიექტის შესახებ დეტალურად ინფორმირებული იყოს,"** - ამბობს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის უფროსი ილია გოცირიძე.

სხვათა შორის, თავის დროზე, მსგავსი ინფორმაციის არარსებობის თუ მისი შეგნებულად დამალვის გამო, ინვესტორებს სერიოზული პრობლემები გაუჩნდათ, რასაც ლამის საერთაშორისო დონის სკანდალი მოჰყვა. საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომელი ამირან თავართქილაძე იმ რამდენიმე შემთხვევას იხსენებს, როცა სახელმწიფო ქონება ისე გაიყიდა, რომ მისი კრედიტორული დავალიანების შესახებ მყიდველმა არაფერი იცოდა. სახელმწიფო ვალის შესახებ მან მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, როცა ის ამ ქონების სრულუფლებიანი მემკვიდრე გახდა. **"ამას მოჰყვა სხვადასხვა დონის ინსტანციებში ხანგრძლივი სასამართლო დავები და მტყუან-მართლის გარჩევა,"** - დღეს ამირან თავართქილაძე კონკრეტული მაგალითების დასახელებისგან თავს იკავებს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ხშირ შემთხვევაში, მაშინ ამ ინფორმაციის დამალვა შეგნებულად ხდებოდა, რათა სახელმწიფო ქონებას მიმზიდველობა არ დაეკარგა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ამტკიცებენ, რომ წარსულის ამ მაგალითების გამეორება დღეს გამორიცხულია და თუ "შემთხვევით სადმე შეცდომა გაიპარა", პასუხისმგებლობის ტვირთი მთლიანად საწარმოს ხელმძღვანელებზე გადავა. მეტიც, მყიდველი დაგვიანებით "აღმოჩენილი" ვალებისგან გათავისუფლდება.

იმისათვის, რომ ვალებით დახუნძლულ სახელმწიფო საწარმოებს სარფიანი მუშტრები გამოუჩნდეს, ექსპერტები ხელისუფლებას რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობენ. ერთ-ერთი - საგადასახადო დავალიანებათა გადავადება-რესტუქტურიზაციაა. **"ვფიქრობ, რომ ეს უფრო სამართლიანი და ეფექტური იქნება, ვიდრე ის, რომ არსებული ვალები საწარმოებს ერთი ხელის მოსმით ჩამოეწეროს. ეს სხვა მეწარმეების სერიოზულ გულისწყრომას გამოიწვევს,"** - გვითხრა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თენგიზ შერგელაშვილმა.

# გამაყრუებელი "სიმენსი"

*"სიმენს"-ის მომხმარებლებს შემაშფოთებელი სიახლე ელით - როგორც გაირკვა, ამ ფირმის მობილური ტელეფონის ბოლო, 65-ე სერიის აპარატს მფლობელის დაყრუება შეუძლია. სმენის დაქვეითებას 65-ე მოდელის "სიმენსი" მაშინ "ახერხებს", როცა მის მფლობელს აკუმულატორი უშუალოდ საუბრისას უჯდება. გასულ კვირას გერმანულმა კომპანიამ ამ ტიპის ტელეფონების მფლობელები საგანგებოდ გააფრთხილა, რომ აპარატებში, უბრალოდ, აუცილებელია ელემენტის დაჯდომის სიგნალის გათიშვა და პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლა. ამ ისტორიამ, შესაძლოა, "სიმენს მობილ"-ს გაყიდვებში ხელი შეუშალოს.*

დიანა ჩაჩუა

"სიმენსის" ახალი სერიის მობილურები მსოფლიო ბაზარზე გაზაფხულზე გამოჩნდა და ექსპერტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. **"სიმენსი" დაუბრუნდა იდეას, რომ დარტყმაგამძლე და წყალგაუმტარი ტელეფონები გამოუშვას, რაც ბაზრის მიერ ნამდვილად დადებითად აღიქმება, განსაკუთრებით კი იმ ადამიანების მიერ, რომლებიც აქტიური ცხოვრების სტილს ეწევიან,"** - აცხადებდა გაზაფხულზე ჟურნალ "მობილური პორტალის" რედაქტორი ალექსეი რევინი.

თუმცა, ახლახან, ახალი პროდუქტის ლაბორატორიული შემოწმებისას, "სიმენსის" სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ აპარატში ხმის პროგრამული უზრუნველყოფის წარუმატებელი დაყენების გამო, მობილურის აკუმულატორის დაცლის მაუწყებელი სიგნალი ძალიან ხმამაღალი აღმოჩნდა.

**"მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური ეფექტის ალბათობა ძალიან მცირეა, ჩვენ გვინდა, მისი შედეგები შევაჩეროთ,"** - განაცხადა რუსეთის "მობილური კავშირგაბმულობის და ინფორმაციის გადაცემის" დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა სერგეი იაკოვლევმა. მისი სიტყვებით, ამიერიდან ყველა ამ სერიის მობილური ტელეფონი განახლებული პროგრამული უზრუნველყოფით გამოვა, ხოლო იმ დილერებს და მომხმარებლებს, რომლებსაც ძველი აპარატები გააჩნიათ, მათი განახლება მომსახურების ცენტრებში შეეძლებათ. ამასთან, მომხმარებლებს ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ინტერნეტიდან გადმოტვირთვის საშუალებაც ექნებათ.

ერთი რამ აშკარაა, "სიმენსის" მობილურ ტელეფონთან დაკავშირებული აჟიოტაჟი კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე და იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს. ამ ვარაუდებს იზიარებენ თვით კომპანიაში. კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, აღმოჩენილი დეფექტი უარყოფითად აისახება გაყიდვებზე, თუმცა ზარალის შესახებ კონკრეტული ციფრის დასახელება უჭირს. Sal. Oppenheim-ის ანალიტიკოსის ფრენკ როტაჟას ინფორმაციით, ამ პრობლემის გადაწყვეტა კომპანიას, დაახლოებით, 24 მილიონი დოლარი დაუჯდება, ხოლო აპარატების გაყიდვები, შესაძლოა, 50 მილიონი დოლარით შეიკვეცოს.

# საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა არ არსებობს

საქართველოში სტუმრად მყოფი, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ექსპერტი დირკ კუპაი დღეს მოქმედი ბანკების წარმომადგენლებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სფეროში საკუთარ გამოცდილებებს გაუზიარებს. როგორც ეროვნულ ბანკში განაცხადეს, განვითარებულ ქვეყნებში არსებობს სისტემა, რომელიც ბანკებში არსებული, გარკვეული ოდენობის დეპოზიტების დაზღვევას ითვალისწინებს. განვითარებულ ქვეყნებში ამ სისტემისთვის დაზღვევის სპეციალური ფონდები არსებობს. "საქართველოში კი დეპოზიტების დაზღვევის ამგვარი სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა სისტემის დანერგვაზე მუშაობა მიმდინარეობს," -აღნიშნავენ ეროვნულ ბანკში. კომერციული და ეროვნული ბანკების წარმომადგენლებთან ექსპერტი შეხვედრას საქართველოს ეროვნულ ბანკში გამართავს. დირკ კუპაი საქართველოში გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო დაწესებულების (KFW) მოწვევით ჩამოვიდა. მან ამ კუთხით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს რიგ ქვეყნებში მიიღო.

*ინტერ-პრესი*

IOM International Organization for Migration

**მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისია საქართველოში აცხადებს განფასებათა განაცხადების მიღებას ლიცენზირებული მომწოდებლისგან შემდეგი მასალების მოწოდებაზე:**

| N | მასალის დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. | ქვიშა | კუბ.მ | 229 |
| 2. | ცემენტი 400M | ტ | 86 |
| 3. | მოთუთიებული თუნუქის 0.55 მ ფურცლები | კვ.მ | 3270 |
| 4. | ლინოკრომი | კვ.მ | 9822 |
| 5. | პემზა | კუბ.მ | 74 |
| 6. | დახერხილი ხის მასალა | კუბ.მ | 42 |
| 7. | მინა 4 მმ | კვ.მ | 835 |
| 8. | ბიტუმი N4 | კგ | 4450 |
| 9. | აგური წითელი | ც. | 1110 |
| 10. | პლასტიკატი შეკიდული ჭერისთვის | კვ.მ | 933 |
| 11. | ფილები კერამიკული "მეთლახი" | კვ.მ | 400 |
| 12. | თუნუქი შავი | კვ.მ | 176 |
| 13. | ელ. სადენი 1X16 მმ.კვ | გრძ.მ | 640 |
| 14. | ელ. სადენი 4 მმ.კვ | გრძ.მ | 1420 |

**განაცხადები შემოტანილ უნდა იქნას ოფისში შემდეგ მისამართზე:**

IOM-ის მისია საქართველოში
მისამართი: თბილისი, 0179, მთაწმინდა, გოგებაშვილის 41

**განაცხადების გამოგზავნა ასევე შეიძლება ფაქსით ან ელ-ფოსტით:**

ფაქსი: (995) 32 252 217
ელ-ფოსტა: **iomtbilisi@iom.ge**

განაცხადში მოყვანილი ფასები მოცემული უნდა იყოს აშშ დოლარებში. მითითებული უნდა იყოს მოწოდების დრო. განაცხადების მოტანის/გამოგზავნის ვადაა 2004 წ. 2 სექტემბერი, 13.00 სთ. (ცენტრალური ევროპის დროით).

**IOM** იტოვებს უფლებას მიიღოს ან უარყოს განაცხადი, და გააუქმოს - მთლიანად ან ნაწილობრივ, ან შეზღუდოს მიღების პროცესი და უარყოს ყველა განაცხადი ნებისმიერ დროს, მიზეზის წინასწარ განცხადების გარეშე, და დაზარალებული განაცხადის შემომტანისთვის ან შემომტანებისთვის ზარალის ანაზღაურების გარეშე.

**შეკითხვებისთვის მოგვმართეთ:**
**8 77 433160** მამუკა ომიაძე
**8 77 797060** ნოდარ ჭიჭინაძე

# რესპუბლიკელები ბრძოლის გადამწყვეტ ფაზაში შედიან

ლევან გელაშვილი

ორშაბათს ნიუ იორკში აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული ყრილობა გაიხსნა. ყრილობის დელეგატებმა ნოემბრის არჩევნებისათვის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები ოფიციალურად უნდა წარადგინონ და პარტიის პოლიტიკური პლატფორმა უნდა დაამტკიცონ. კანდიდატების ვინაობა წინასწარვე იყო ცნობილი - მოქმედი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ (დიკ) ჩეინი.

ყრილობის მთავარი მიზანი საარჩევნო მარათონის გადამწყვეტი ეტაპის წინ პარტიის რიგებში ერთიანობის დემონსტრირება გახლავთ. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის დამტკიცებაც, რომ ამერიკისათვის ამ მეტად რთულ პერიოდში სახელმწიფო მმართველობის სადავეებთან ჯორჯ ბუშის დატოვება ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება იქნება.

ამგვარი ერთიანობის ოთხდღიანი დემონსტრაცია 300 მილიონი დოლარი დაჯდება. ფორუმის პერიოდში მარტო უსაფრთხოების ზომებზე სახელმწიფო ხაზინიდან - 50 მილიონი, ხოლო ქალაქის ბიუჯეტიდან 28 მილიონი დოლარია გამოყოფილი. დაახლოებით 15 მილიონი საარჩევნო ფედერალურმა კომისიამ გამოყო, ხოლო დანარჩენი თანხა, ტრადიციისამებრ, ნიუ იორკის საორგანიზაციო კომიტეტმა მდიდარი და გულუხვი დონორების მეშვეობით მოაგროვა. დონორებს შორის ბევრი მსხვილი ამერიკული კომპანიაცაა.




ყრილობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, პლატფორმის ავტორებმა კამათის შეწყვეტა ისეთ საკითხებზე მოახერხეს, როგორიცაა იმიგრაციის შეზღუდვა, ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის ქორწინება, აბორტის უფლება და სხვა. იმავდროულად, დოკუმენტში შეტანილი საკითხები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ თავად პრეზიდენტის პოზიციასთან ახლოს დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობის დღეებში სიმშვიდე ნაკლებად მოსალოდნელია. ნიუ იორკში ჩამოდიან როგორც რესპუბლიკელთა მომხრეები, ისე მათი და პირადად ჯორჯ ბუშის მოწინააღმდეგეები. მოსალოდნელი არეულობებისა და ტერაქტების თავიდან აცილების მიზნით, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული.

კვირას მანჰეტენის ქუჩებში მრავალათასიანი დემონსტრაცია ჩატარდა. მანიფესტაცია ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებით იყო გაჯერებული. ტრანსპარანტებზე სხვადასხვა შინაარსის წარწერებს შეხვდებოდით: მაგალითად, "როგორ შეიძლება აიძულო ჯარისკაცი, სიცოცხლე ტყუილისათვის გაწიროს?" "დააბრუნეთ სახლში ჩვენი შვილები!" "ბუში იტყუება და ვინ ილუპება?" დემონსტრაციაზე ამერიკის დროშის ფერებში მოხატული მუყაოს კუბოებიც მრავლად ჩანდა, რაც ერაყში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების სიმბოლოს წარმოადგენდა. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა რაოდენობა 400 ათასამდე იყო. თუმცა, ანტი-რესპუბლიკელების გარდა, ნიუ იორკის ქუჩებში "დიდი ბებერი პარტიისა" და პრეზიდენტის მხარდამჭერებიც მრავლად იყვნენ, რომლებიც სკანდირებდნენ: "კიდევ ოთხი წელი!"

მანიფესტაციების ფონზე ნიუ იორკის ყურეში კუნძულ ელის-აილენდზე ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი რესპუბლიკელთა მომხრეებს მიმართავდა. მისი განცხადებით, "ბუში სწორედ ის ლიდერია, რომელიც ამერიკას ახლა და შემდგომი ოთხი წლის მანძილზე სჭირდება".

რესპუბლიკელთა ყრილობაზე ნიუ იორკის ყოფილი მერის, რუდოლფ ჯულიანის, სენატორ ჯონ მაკ-კეინის, კალიფორნიის გუბერნატორის არნოლდ შვარცენეგერის და ნიუ იორკის ცენტრისტი გუბერნატორის ჯორჯ პატაკის გამოსვლებია დაგეგმილი. ღონისძიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჯორჯიის შტატის დემოკრატი სენატორის, ზელ მილერის გამოსვლა შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება თავად ჯორჯ ბუშს, დელეგატების წინაშე სიტყვით ის ყრილობის დასკვნით დღეს, ხუთშაბათს გამოვა. სწორედ დახურვის წინ, პრეზიდენტი თავის კანდიდატურას ხელმეორედ დაასახელებს და ქვეყნის მომავალი განვითარების მისეულ ხედვას წარმოადგენს. როგორც მისმა თანაშემწეებმა წინასწარ განაცხადეს, ბუშის სიტყვა "უფრო უსაფრთხო მსოფლიოსა და უფრო ოპტიმისტური ამერიკის მშენებლობას" მიეძღვნება.

დღეისათვის, წინასწარი გამოკითხვებით, ჯორჯ ბუში მცირედით უსწრებს თავის დემოკრატ მეტოქეს, სენატორ ჯონ კერის. რამდენით გაიზრდება თუ შემცირდება ეს უპირატესობა, სავარაუდოდ, რესპუბლიკური პარტიის ყრილობის დასკვნითი ეტაპი გვიჩვენებს.

# ერაყი, ნავთობი და საერთაშორისო ეკონომიკა

## მეამბოხეები ერაყის ხელისუფლებას "ნავთობდოლარების" მიღების შესაძლებლობას არ აძლევენ

ნიკა თარაშვილი

*არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ერაყი მისი ნავთობსაბადოებითაა მნიშვნელოვანი. აშკარაა, სწორედ ამის გამო დაიწყო შარშან ერაყის კამპანია და სადამ ჰუსეინის ტირანიასთან ბრძოლა მხოლოდ საბაბი იყო. ერაყის ნავთობის შეუფერხებელ ექსპორტს დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს - ერაყიდან ნავთობის მიწოდების გარეშე, "შავ ოქროზე" ფასების რეგულირება ვერ ხერხდება. ასეთივე როლს იძენს იგი თავად ერაყისთვის - "ნავთობდოლარების" ნაკადის შეწყვეტა ერაყის ახალ ხელისუფლებას კრახს უქადის. ძალიან ცოტაა ისეთი, ვისაც შუამდინარეთიდან ნავთობის ექსპორტის შეზღუდვა და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე ამ შეუცვლელ ენერგომატარებელზე ფასების მატება ლოგიკურად ხელს უნდა აძლევდეს. თუმცა, ასეთები მაინც არიან და ამის დასტურად ისიც გამოდგება, თუ ჩვენს დიდ მეზობელს გავიხსენებთ. ნავთობზე ფასის მომატებას რუსეთის მედიაში ყოველთვის დაუფარავი სიხარულით ხვდებოდნენ.*



*ერაყის ყველაზე დიდი სიმდიდრე - ნავთობი კვლავ უქმად წვას განაგრძობს.*

ერაყის ხელისუფლება იძულებული ხდება, ქვეყნის სამხრეთ ტერმინალებიდან ნავთობის ექსპორტი შეაჩეროს. აღნიშნულის მიზეზი ნავთობსადენებზე გაუთავებელი საბოტაჟის აქტები გახდა. ანონიმური წყაროები იტყობინებიან, რომ "შავი ოქროს" გადაქაჩვა გუშინწინ შეწყდა, მას შემდეგ, რაც ბასრასთან ახლოს ზუბეირ-რუმაილა-2-ის ნავთობსადენი ააფეთქეს. ეს მთავარი ტერმინალია, რომლის საშუალებითაც საზღვარგარეთ ერაყული ნავთობის უდიდესი ნაწილის გატანა ხდება. "სამხრეთის ნათობკომპანიის" წარმომადგენლის განცხადებით, მიწოდების აღდგენას, მინიმუმ, ერთი კვირა დასჭირდება.

უკანასკნელ დროს, სპარსეთის ყურის ტერმინალების გავლით ერაყის ნავთობის ექსპორტის თითქმის 90 პროცენტი ხორციელდებოდა და ეს იყო სახელმწიფო ხაზინის შემოსავლების ძირითადი წყაროც. დღეში საშუალოდ ამ ტერმინალებიდან 1,85 მლნ ბარელი ნავთობი გაჰქონდათ. ნავთობის გადაქაჩვა, ძირითადად, ორი მარშრუტით ხორციელდება: სამხრეთის - ბასრისა და მის ახლოს მდებარე მომცრო ტერმინალ ჰორ ალ-ამაიას საშუალებით, და ჩრდილოეთის - კირკუკიდან თურქულ პორტ ჯეიჰანის მეშვეობით. სადამის რეჟიმის დამხობის შემდეგ, კირკუკ-ჯეიჰანის ნავთობსადენზე გახშირებული დივერსიების გამო, ეს მარშრუტი მეტწილად უმოქმედოდ იყო. მხოლოდ გასულ კვირაში ამ ნავთობსადენზე რამდენიმე ფართომასშტაბური დივერსია განხორციელდა.

შეგახსენებთ, 25-26 აგვისტოს ბასრასთან ერთდროულად 8 მილსადენის განშტოება ააფეთქეს. ეს განშტოებები დამხმარე ფუნქციას ასრულებდნენ რუმაილას საბადოდან ნავთობსაქაჩ სადგურამდე. თუმცა, გუშინდლამდე ექსპორტი მაინც გრძელდებოდა და ამის საშუალებას ბასრას ტერმინალში არსებული მარაგები იძლეოდა. გასულ უქმეებზე ტერორისტებმა თავდასხმა მოაწყვეს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში არსებულ ნავთობსადენებზე. კერძოდ, ამბოხებულებმა შეტევა ბაღდადის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან დამაკავშირებელ მილსადენზე მიიტანეს. ჯერ კიდევ გუშინ დილით, სამხრეთის ნავთობკომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ნავთობის მიწოდება სპარსეთის ყურის ტერმინალების გავლით დღეში 400-500 ათასი ბარელის დონეზე შენარჩუნდება, რაც თითქმის ოთხჯერ მცირეა ნორმასთან შედარებით. თუმცა მოგვიანებით ცხადდება რომ მიწოდება საერთოდ შეწყდება.

ამასობაში, ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრი აიად ალავი ამბოხებულებთან მოლაპარაკებას ცდილობს და მათ ფართომასშტაბიან ამნისტიას ჰპირდება. ნავთობსადენების აფეთქებას რაც შეეხება, "მათ ამის არანაირი საბაბი არ აქვთ", - წუხილს ვერ მალავს ალავი. ამბოხებულთაგან განსხვავებით, პრემიერ-მინისტრისთვის კოალიციის ჯარები ოკუპანტები კი არა, ერაყის მთავრობის მიერ მოწვეული ძალაა, რომელიც ერაყის აღმშენებლობის პროცესს იცავს. ალავი ამბობს, რომ მისთვის ძალიან ძნელია მიხვდეს, თუ რის მიღწევას ცდილობენ ამბოხებულები. "მათთვის , ძალადობის გარდა, მოთხოვნების დაფიქსირების სხვა საშუალება უცნობია, - ამბობს იგი, - ჩვენ ვცდილობთ პირისპირ დაველაპარაკოთ მათ და ავუხსნათ, რომ ჩვენ სადამივით სამუდამოდ ხელისუფლებაში ყოფნას არ ვაპირებთ. ჩვენი მანდატი მოკლევადიანია. ჩვენ ვცდილობთ ქვეყანა ფეხზე წამოვაყენოთ და აღმშენებლობა დავიწყოთ".

ალავის განზრახვა ნათელია, იგი ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად ნავთობის გამოყენებას ცდილობს. მეამბოხეები კი, გაუთავებელი აფეთქებებით, მის გეგმებს წინ უდგანან. ახლა ერაყის პრემიერი ცდილობს, "დიფერენცირებული" ამნისტიის საშუალებით, ამბოხებულთა სხვადასხვა ჯგუფები ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყოს და შედეგს ასე მიაღწიოს.

დიდი მკითხაობა არ სჭირდება იმას, რომ სპარსეთის ყურიდან ნავთობის ექსპორტის შეწყვეტა საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასზე აუცილებლად იმოქმედებს და იგი კიდევ ერთხელ აიწევს. ეს პროცესი, ნაწილობრივ უკვე გუშინ იყო შესამჩნევი: ბირჟებზე ნავთობის ფიუჩერსები ფასის მატებას ტენდენციას ადასტურებდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფიუჩერსების ზრდა საკმაოდ ნელა მიმდინარეობს, რაც საგანგაშო ინფორმაციის არაოფიციალური ხასიათით შეიძლება იყოს განპირობებული. ამავდროულად, ნავთობზე ფასის მყისეულ მატებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ უახლოეს მომავალში თურქულ პორტ ჯეიჰანიდან ერაყის ნავთობის ტრანსპორტირება აღდგება.

## მოკლედ

**ევროპა.** ცოფით დაავადების საფრთხის გამო ევროკავშირის ყველა სახელმწიფოში სანიტარული და ვეტერინარული განგაშია გამოცხადებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, გუშინ ბრიუსელში ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბეატ გმინდერმა გააკეთა განცხადება. ევროკავშირისთვის უპრეცედენტო ზომები მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც საფრანგეთში ჟირონდის დეპარტამენტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი რაოდენობით ადამიანების ცოფით დაავადების საფრთხის გამო შეშფოთება გამოხატა. შეშფოთება კი, თავის მხრივ, ბორდოს ერთ-ერთი მცხოვრების მიერ მაროკოდან, ყოველგვარი ვეტერინარული წესების დარღვევით, 11 ივლისს, ოთხი თვის ძაღლის შემოყვანის ფაქტმა გამოიწვია. ცოფის პირველი ნიშნები 18 აგვისტოს დაფიქსირდა. ძაღლმა მას შემდეგ კიდევ რამდენიმე ადამიანი დაკბინა. დაზარალებულთა შორის ბავშვებიც არიან. მფლობელს ძაღლი თან დაჰყავდა ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტებსა და ფესტივალებზე, სადაც ათასობით ადამიანი იყრიდა თავს. ბორდოსა და მის შემოგარენში ღონისძიებები ტარდება იმ პირთა გამოსავლენად, ვისაც დაავადების საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს. ხუთ ადგილობრივ მცხოვრებს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უკვე ჩაუტარდა. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ხალხმრავალ ადგილებში, ფრანგი მოსახლეობის გარდა, მრავლად იყვნენ ტურისტებიც. ცოფი უკიდურესად საშიშ დაავადებად ითვლება, რომელიც შესაძლოა სავალალო შედეგებით დამთავრდეს ინკუბაციის პერიოდშიც, რომელიც 40 დღე გრძელდება. დაავადების ვირუსი ჯერ ცენტრალურ ნერვულ სისტემას აზიანებს, რასაც შემდგომ სრული პარალიზება მოჰყვება. დაავადება ვრცელდება როგორც ნაკაწრებით ან ნაკბენით, ასევე ნერწყვით. განკურნება შესაძლებელია მხოლოდ უსწრაფესი ზომების მიღების შემთხვევაში. 1977 წლიდან საფრანგეთში ცოფით დაავადებულთა სულ 19 შემთხვევა დაფიქსირდა, თანაც, ყველა აღრიცხული პირი სხვა ქვეყანაში დაავადდა.

*ლე მონდი*

■ ■ ■

**ინდოეთი.** როგორც "როიტერსი" იუწყება, ინდოეთმა შორი რადიუსის მოქმედების რაკეტის "აგნი II"-ის გამოცდა წარმატებით განახორციელა. ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული რაკეტის ტესტირება ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხდა. "აგნი II" "მიწა-მიწა" კლასის რაკეტებს განეკუთვნება, მისი ფრენის სიშორე 2000 კილომეტრია და ბირთვული ქობინით აღჭურვა შეიძლება.

*როიტერსი*

■ ■ ■

**იაპონია.** დაახლოებით 740 საერთაშორისო ავიარეისი გადაიდო იაპონიის დასავლეთ რაიონებში გუშინ ძლიერი ქარიშხლის "ჩაბას" გამო. სერიოზულადაა დაზიანებული სარკინიგზო და საავტომობილო გზები. მიმდინარე წლის განმავლობაში რიგით მეთექვსმეტე ქარიშხალმა მსხვერპლად 4 ადამიანის სიცოცხლე უკვე შეიწირა, 55 ადამიანზე მეტი კი დაშავებულია. საგანგაშო ვითარება იყო შექმნილი მიაძაკის პრეფექტურაში (კუნძული კიუსიუ), სადაც დაახლოებით 20 ადამიანი სტიქიას თავს ვერ აღწევდა. კუნძულ სიკოკუს ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე საფრთხე შეექმნა ვიეტნამის კუთვნილ მშრალი ტვირთის ტანკერსაც, რომლის გემბანზეც ჯგუფის 20 წევრი იმყოფებოდა, ხოლო 10 მეტრი სიმაღლის ტალღების გამო, მაშველები მათთვის დახმარების გაწევას ვერ ახერხებდნენ. წყალდიდობის საფრთხის გამო, სტიქიური უბედურების ზონიდან დაახლოებით 40 000 ადამიანი ევაკუირებულ იქნა.

*იტარ-ტასი*

■ ■ ■

**ფილიპინები.** უძლიერესმა წვიმებმა ფილიპინების კუნძულებზე დიდი წყალდიდობა გამოიწვია. სტიქიურ უბედურებას უკვე 32 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ჩრდილოეთი და ცენტრალური პროვინციების დაახლოებით მილიონამდე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. დღეისათვის უამრავ ადამიანს საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციის მიერ მოწყობილ დროებით ბანაკებში უწევს ცხოვრება. მას შემდეგ, რაც გასულ კვირას 7 ათასი კუნძულისაგან შემდგარ არქიპელაგს ერთდროულად ორი უძლიერესი ტაიფუნი - "აერე" და "ჩაბა" დაატყდა თავს, სამაშველო ოპერაციებში შეიარაღებული ძალები, პოლიცია და მრავალათასიანი მაშველთა და მოხალისეთა ჯგუფები ჩაებნენ. თუმცა, "როიტერსი" იტყობინება, რომ ყველა დაზარალებულის დახმარებას ხელისუფლება მაინც ვერ ახერხებს. უსახლკაროდ, სურსათ-სანოვაგის გარეშე დარჩენილ ფილიპინელებს თავის გამოსაკვებად ხშირად ვირთხებზე ნადირობაც კი უწევთ. ქვეყნის პრეზიდენტმა გლორია აროიომ განკარგულება გასცა სამაშველო ოპერაციებში ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლის ჩართვის შესახებ. წითელი ჯვრის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჰუმანიტარული დახმარების, მათ შორის - მედიკამენტების, ტანისამოსისა და სურსათის დაზარალებულებამდე მიტანას, სულ მცირე, შვიდი დღე მაინც დასჭირდება.

*24 საათი*

■ ■ ■

**ავღანეთი.** გუშინ საინფორმაციო სააგენტოები ავღანეთის დედაქალაქში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაღუპულთა შესახებ განსხვავებულ ცნობებს ავრცელებდნენ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაღუპულთა რიცხვი 7-დან 9-მდე მერყეობს. მათ შორის როგორც ავღანელები, ასევე ამერიკისა და ნეპალის მოქალაქენიც არიან. აფეთქება ამერიკული უსაფრთხოების ფირმის "DynCorp"-ის ოფისთან მოხდა. აღსანიშნავია, რომ ეს ფირმა ავღანეთის მოქმედი პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. პოლიცია ვარაუდობს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული და მისი ამოქმედება დისტანციური მართვის საშუალებით მოხდა. გუშინვე, არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა"-ს ეთერში მომხდარზე პასუხისმგებლობა თალიბანის დაჯგუფებამ აიღო. ქაბულის აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე, ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ერთ-ერთ რელიგიურ სკოლაში აფეთქება მოხდა, რომელმაც 10 მოზარდის სიცოცხლე შეიწირა. აფეთქების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, ორივე აფეთქება 9 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. თალიბებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ არჩევნების ჩასაშლელად ყველა ღონეს იხმარენ.

*24 საათი*

# რუსული სცენარი სისრულეშია მოყვანილი

ჩეჩნეთში არჩევნები გეგმის მიხედვით წარიმართა და შედეგიც წინასწარ გათვლილი რაოდენობის შესაბამისი აღმოჩნდა. ცხადია, კრემლის ახალი მარიონეტი უპირობო გამარჯვებული აღმოჩნდა. ალუ ალხანოვისთვის მიცემულ ხმათა პროცენტულმა მაჩვენებელმა 72-ს მიაღწია, რაც დანარჩენ კანდიდატთა მიერ მოპოვებულ ხმებთან აბსოლუტური უპირატესობაა. ალხანოვის შემდეგ მოდის მოვსურ ჰამიდოვი - ხმათა 8.48 პროცენტით, აბდულა ბუგაევი - 4.62 პროცენტით, მუჰუმდ ჰასან ასაკოვი - 3.2 პროცენტით, უმარ აბუევი - 3.21 პროცენტით, ვახა ვისაევი - 4.14 პროცენტით და მაგომედ აიდამიროვი - ხმათა 0.27 პროცენტით. თუ არჩევნების საბოლოო ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე ასევე ოფიციალური განცხადებებისაგან თავს იკავებდა ჩეჩნეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი აბდულ კერიმ არსახანოვი, მისგან განსხვავებით საბოლოო შედეგებს არც დალოდებია მანამდე პრეზიდენტის მოვალეობის შესმრულებელი სერგეი აბრამოვი, რომელმაც ალხანოვის გამარჯვებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში მის მიმართ ქათინაურებიც არ დაიშურა და იგი დაახასიათა, როგორც "ღირსეული, პრინციპული და წესიერი ადამიანი, რომელიც ყველაზე რთულ მომენტშიც არ შედრკა და ჩეჩნეთსა და ჩეჩენი ხალხის ბედზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ალხანოვი არც იმ ამოცანების წინაშე დაიხევს უკან, რომელიც მას რუსეთის პრეზიდენტმა დაუსახა და, ცხადია, არც აჰმად კადიროვის არჩეულ კურსს გადაუხვევს".

ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია დაახლოებით ორ კვირაში შედგება. ინაუგურაციის შემდეგ კონსტიტუციის თანახმად, გადაყენებულ იქნება რესპუბლიკის მთავრობა. კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედებას აპირებას ასევე ჩეჩნეთის ხელისუფლების ვიცე-პრემიერი რამზან კადიროვი, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მინისტრთა კაბინეტთან ერთად ისიც გააკეთებს გადადგომის შესახებ განცხადებას.

ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლის ტაუს ჯაბრაილოვის განცხადებით, რესპუბლიკის ორპალატიანი პარლამენტის 61 დეპუტატის არჩევას ჩეჩნეთი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ სამთვიან ვადაში შეუდგება.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, მის უსაფრთხოებაზე ჩეჩნურ მილიციასთან ერთად რუსეთმაც იზრუნა. უცხოური საინფორმაციო წყაროების თანახმად, საარჩევნო ვითარება უფრო საომარ მდგომარეობას უახლოვდებოდა. გროზნოს პატრულირებდნენ რუსი ჯარისკაცები, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ქუჩები - უკაცრიელი, ხოლო საარჩევნო უბნები ცარიელი იყო. რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორეში არცთუ უსაფუძვლოდ ეპარება ეჭვი მრავალ დამოუკიდებელ ექსპერტსა და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს. ბიბისი-ს კორსპონდენტის განცხადებით, ხალხმრავლობა საარჩევნო ურნებთან კვირას არ დაფიქსირებულა, ხოლო ზოგიერთ უბანზე ამომრჩეველი საერთოდ არ გამოცხადებულა. ასევე ბიბისი-ს გამოკითხვის თანახმად, ამომრჩეველთა ერთი ნაწილი თუ ალხანოვის გაპრეზიდენტებას იმედით ხვდება, მეორე - სკეპტიკურ განწყობილებას ინარჩუნებს.

მრავალი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტის დაკავება რუსულ სივრცეში ყველაზე რთული დავალებაა, რაც ხშირ შემთხვევაში ჩეჩენი პრეზიდენტებისთვის ტრაგიკულად მთავრდება. მაგრამ, როგორც ჩანს, ალუ ალხანოვს ამოცანის სირთულე მაინცდამაინც არ აშინებს, რასაც მისი განცხადებაც მოწმობს, "ჩვენთვის, როგორც პატრიოტებისთვის უმაღლესი მიზანი რესპუბლიკა, ხალხი და საერთოდ ქვეყანაა. ამიტომ ჩვენი დაშინება ჩვენს მტრებს არ გამოუვათ. ჩემი სიკვდილის შემთხვევაშიც ჩეჩნეთში არასოდეს მოიძებნება ადგილი ვაჰაბიზმისთვის, გამოჩნდება ჩემი შემცვლელი და ჩემს საქმეს გააგრძელებს. მასხადოვსა და ვაჰაბიზმს ჩეჩნეთში მომავალი არ უწერია. მათ შეუძლიათ კვლავ გააგრძელონ აფეთქებები, მკვლელობები, მაგრამ ხალხის ნება აღსრულდა და ისინი უკვე მოისროლა ისტორიის სანაგვეზე. მასხადოვმა თვითონ აირჩია ასეთი გზა. მასხადოვის ლეგიტიმურობაზე მითიური საუბრები, უბრალოდ, უადგილოა".

თუმცა, ძნელია გაიზიარო ჩეჩნეთის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ახალგამომცხვარი პრეზიდენტის ურყევი რწმენა, მაშინ, როცა ამის საშუალებას არც დასავლელი ექსპერტებისა და არც ჩეჩენი ხალხის დამოკიდებულება არ იძლევა, პუტინის "ნორმალიზაციის" უცვლელ კურსზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

*24 საათი*

## გეკუთვნით უფასოდ

მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამები წლების განმავლობაში მოქმედებს, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მათ შესახებ დღემდე არაფერი იცის. "24 საათი" სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციას თბილისის მოქალაქეებისთვის კუთვნილი შეღავათების შესახებ. ამჯერად ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ, მოსახლეობის ამბულატორული სამედიცინო დახმარების პროგრამაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ამ პროგრამისთვის ქალაქის ბიუჯეტში 4 095 503 ლარია გათვალისიწინებული. იგი თბილისში მოქმედ 55, ანუ თითქმის ყველა პოლიკლინიკაში ხორციელდება და 3-დან 65 წლამდე და 65 წლის ზევით ასაკის მოქალაქეთა ამბულატორულ დახმარებას ითვალისწინებს. პროგრამით ფინანსდება შემდეგი კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები: სისხლის საერთო და მოკლე (ლეიკოციტები, ერითროციტების დალექვის სიჩქარე) ანალიზი, გლუკოზის განსაზღვრა სისხლში, სისხლის შრატში ქოლესტერინისა და კრეატინინის დონის განსაზღვრა, შარდის საერთო ანალიზი, შარდში ცილისა და გლუკოზის დონის განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის ინდექსის განსაზღვრა და ელექტროკარდიოგრაფია.

3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებისა და 65 წლის ზევით ასაკის ხანდაზმულებისთვის პროგრამა ყველა ზემოჩამოთვლილ ამბულატორულ დახმარებას ითვალიწინებს. მათ უფასოდ მოემსახურებიან პოლიკლინიკის ნევროპათოლოგები, ოფთალმოლოგები, ოტოლარინგოლოგები და კარდიორევმატოლოგები. 15-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეებისთვის კი უფასოა მხოლოდ ყველაზე გავრცელებული დაავადებების მკურნალობა - გულის იშემიური დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ბრონქული ასთმა, პარკინსონის დაავადება, ეპილეფსია და ის დაავადებები, რომლებიც სისხლის მაღალი წნევით ხასიათდება.

პოლიკლინიკის მედპერსონალის ბინაზე გამოძახება (წელიწადში ოთხჯერ) უფასოა შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებისთვის: სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის; მუდმივად გადაადგილების უნარს მოკლებული მოქალაქეებისთვისა და ონკოინკურაბელური პაციენტებისთვის.

ერთ საექიმო უბანზე, საშუალოდ, ბავშვთა პოლიკლინიკაში 1320 პაციენტის ვიზიტია ნავარაუდევი, მოზრდილთა პოლიკლინიკაში - 1524. პაციენტის პოლიკლინიკის ექიმთან ვიზიტის რაოდენობა კი განუსაზღვრელია.

თბილისის მოსახლეობის ამბულატორული პროგრამით სულ 1 047 548 ბენეფიციარი სარგებლობს (აქედან 176 991 3-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვია, 756 294 - 15-დან 65 წლამდე ასაკის მოზრდილი და ხანდაზმული და 144 263 - 65 წლის ზევით ხანდაზმული).

## ლისის ტბასაც ეშველება

ნანა ქადაგიშვილი

ნარკოტიკების მომხმარებელი თანამშრომელების გამოვლენის შემდეგ, თბილისის მთავრობის ტრადიციულ, ბოლო თათბირებზე ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის მოწესრიგება აქტუალურ თემად იქცა. გუშინდელ თათბირზე თბილისის ქუჩების სისუფთავეზე პასუხისმგებელი უწყებების გაფრთხილება-გაკრიტიკების შემდეგ ქალაქის მერი ტბების სანიტარიული მდგომარეობის მოწესრიგებაზე გადავიდა და შესაბამის სამსამხურებს მომავალ ზაფხულამდე ლისის ტბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა დაავალა.

უკვე დიდი ხანია, ლისის ტბამ ტბის ფუნქცია დაკარგა. მეტიც, სარგებლობას ვინ ჩივის, მოსახლეობისთვის საზიანოც კი გახდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი წლების მანძილზე გვაფრთხილებდა, რომ ლისის ტბა ინფექციების გავრცელების წყაროდ იქცა. ორი-სამი წლის წინათ აქ ქოლერის გამომწვევი ვიბრიონიც აღმოაჩინეს. ერთხანს ტბა თითქმის გაქრა კიდეც, მაგრამ 2002 წელს ხელახლა აავსეს. როგორც დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრი აცხადებს, ამან მდგომარეობა გააუმჯობესა. **"უკვე ორი წელია, ლისის ტბა ინფექციის გავრცელების საფრთხეს აღარ წარმოადგენს,"** - აცხადებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის უფროსი პაატა იმნაძე. თუმცა, სანიტარიული სამსახურები მას მთლად უსაფრთხოდ არ მიიჩნევენ. **"ლისის ტბის ქიმიური მაჩვენებლები ნორმებს არ შეესაბამება, ამიტომ წყალში ჩასვლა დაუშვებელია,"** - აცხადებენ სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში.

ქალაქის მერს სურს, ლისის ტბას ეს დამამცირებელი იარლიყი ჩამოსხნას და დასასვენებელ-გასართობ ადგილად აქციოს. ასე რომ, მომავალ ზაფხულს კუს ტბას კონკურენტი გაუჩნდება.

## გარემოსდაცვითი ლიცენზირების ახალი მოდელი

*პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ინიციატივით, სექტემბერში ცვლილებები შევა შვიდ მოქმედ კანონში. ამ გზით კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ბეზარაშვილი ინვესტორების მოზიდვას ვარაუდობს.*

ნანა ყაველაშვილი

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც შეიცვალა საქართველოს კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, რასაც მოჰყვა მთელი რიგი დეპარტამენტების თავმოყრა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ზოგიერთ კანონში ტექნიკური და კორექტული ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. **"წინათ ლიცენზიებს შესაბამისი დეპარტამენტები გასცემდნენ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მათი გაერთიანების შემდეგ, სპეციალური - გარემოს დაცვითი ნებართვებისა და ლიცენზირების სამსახური შეიქმნა. ამის შემდეგ გარემოს დაცვითი ნებართვები და ლიცენზიები მხოლოდ ამ სამსახურმა უნდა გასცეს. მისსავე ფუნქციებში შევა ეკოლოგიური ექსპერტიზაც. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ლიცენზიებს ერთი კონკრეტული სამსახური გასცემს,"** - ამბობს გიორგი ბეზარაშვილი.

მანამდე კი წყლის, წიაღის, ცხოველთა სამყაროს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, გეოლოგიური საქმიანობისთვის ნებართვებისა და ლიცენზიების, სამეწარმეო საქმიანობის ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის შესახებ კანონებსა და ტყის შესახებ კოდექსში ჩაიწერება, რომ ლიცენზიები დეპარტამენტებმა კი აღარ უნდა გასცენ, არამედ გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურმა. ამ სამინისტროშივე შეიქმნება უწყებათშორისი სალიცენზიო-საექსპერტო საბჭო. გამჭვირვალობის მიზნით, მასში შევლენ სხვადასხვა სამინისტროების, უწყებების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საბჭო გააერთიანებს მანამდე არსებულ ყველა დარგობრივ და უწყებრივ საბჭოს, შეითავსებს მათ ფუნქციებს და კონსულტაციებს გაუწევს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს. მინისტრის დადგენილებების საფუძველზე კი ნებართვებისა და ლიცენზირების სამსახური ლიცენზიებს გასცემს.

## რეგისტრაციის გავლის წესი პენსიონერთათვის

ნონა მაისურაძე

*ბოლო დღეებში პენსიის გასაცემ პუნქტებთან პენსიონერების განსაკუთრებული სიმრავლეა. რეგისტრაციის გასავლელად და პენსიის ასაღებად რიგში მდგარ პენსიონერებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც უკმაყოფილებას გამოხატავდა და ისეთებიც, ვინც გაგებით მოეკიდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ წარმართულ პროცესს.*



*რეგისტრაციის დაწყების პირველ დღეებში საპენსიო უბნებზე მისული, ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე განმარტებას აძლევდა იქ მყოფ პენსიონერებს.*

ვახო ბესელიას ფოტო

"ჩვენ თვიდან თვემდე პენსიას ველით და რეგისტრაციის გავლა სულაც არ გვაინტერესებს. ამისთვის რიგში დგომის დრო სად გვაქვს, გადასახადები მაქვს გადასახადი, პური მაქვს საყიდელი," - გვითხრა ქალბატონმა ნადეჟდამ. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ მეგობარ პენსიონერებთან საუბრით თავშექცეული კმაყოფილიც კი ჩანდა იმის გამო, რომ რიგში დგომისას საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობით გული იჯერა. ბევრი მათგანი კი ამბობდა, ოღონდ ქვეყანაში წინწაწეული საქმე ვნახოთ და რეგისტრაციის გავლა რა პრობლემააო. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ აუცილებელმა პროცედურამ, რომელიც 25 აგვისტოდან თბილისში, სამეგრელოს რეგიონსა და აჭარაში დაიწყო. პენსიონერთა რეგისტრაცია მთავრობის განკარგულების საფუძველზე ხორციელდება და მისი მიზანი ისევ პენსიონერთა საკეთილდღეოდაა მიმართული. თანხა, რომელიც რეგისტრაციის შედეგად დაიზოგება, ძველი დავალიანების გასტუმრებას, პენსიონერთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება.

ბევრი პენსიონერისთვის დღემდე უცნობია ის დეტალები, რაც რეგისტრაციის გავლას თან ახლავს. მათ კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ რეგისტრაციის პროცესი არანაირ სირთულეს არ უკავშირდება და ვისაც პირადობის დამადასტურებელი საბუთი და საპენსიო წიგნაკი ხელთ აქვს, დაბრკოლება არ შეექმნება. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, აგვისტოს პენსიისთვის საჭირო თანხა ფონდიდან სრულად არის გადარიცხული, ასე რომ, ფული ყველას შეხვდება. ამ ინფორმაციას რეგისტრაციის დაწყების პირველ დღეებში საპენსიო უბნებზე მისული, ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე აცხადებდა და განმარტებას აძლევდა იქ მყოფ პენსიონერებს.

შეშფოთებას გამოხატავდნენ ისინიც, ვინც რეგისტრაცია ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ გაიარა. მათ ვაცნობებთ, რომ რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 2004 წლის 25 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით, ან მომდევნო სარეგისტრაციო ეტაპებზე. პენსიონერებს, რომლებიც ვერ გაივლიან რეგისტრაციას პირველ ეტაპზე, შესაძლებლობა მიეცემათ, რეგისტრაცია გაიარონ 24 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით. რეგისტრაციის გავლის მესამე შესაძლებლობა პენსიონერებს ექნებათ 25 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩავლით.

ხოლო რეგისტრაციის გარეშე დარჩენილ პენსიონერებს შეწყვეტილი პენსია რეგისტრაციის გავლისთანავე მიეცემათ.

ყველა სხვა წესის შესახებ დამატებით გაცნობებთ ქვემოთ:

აგვისტოს პენსიის გაცემა მიმდინარეობს კანონში მითითებული წესით, რეგისტრაციის გავლა აუცილებელია მომდევნო თვის (თვეების) პენსიის მისაღებად.

პენსიონერმა რეგისტრაციაში მონაწილეობის მისაღებად თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პასპორტი; საქართველოს მოქალაქის მოწმობა) და საპენსიო წიგნაკი.

პიროვნების დამადასტურებელი საბუთის არქონის შემთხვევაში პენსიონერმა უნდა წარმოადგინოს ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ფოტოსურათიანი ოფიციალური ცნობა საპასპორტო რეკვიზიტებითა და ზუსტი მისამართით, არასრულწლოვანთა იდენტიფიცირება ხდება არასრულწლოვანის დაბადების მოწმობისა და მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

საპენსიო წიგნაკის არქონის შემთხვევაში პენსიონერმა უნდა მიმართოს ფონდის შესაბამის რაიონულ განყოფილებას, სადაც დაუყოვნებლივ აღუდგენენ დაკარგულ დოკუმენტს.

თუ პენსიას იღებს მინდობილობით აღჭურვილი პირი ან ოფიციალური მეურვე, მან წერილობით უნდა განუმარტოს ტექჯგუფს, თუ როგორ და სად შეიძლება პენსიონერის ნახვა. მოგვიანებით ტექჯგუფის წევრები ადგილზე გასვლით მოინახულებენ პენსიონერს და რეგისტრაციას ჩაუტარებენ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის მოწმობა, პასპორტი) საფუძველზე. თუ პენსიონერის ნახვა არ ხერხდება (პენსიონერი იმყოფება საზღვარგარეთ), მას რეგისტრაცია ჩაუტარდება ახალ მინდობილობაში დაფიქსირებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემის საფუძველზე.

სამეურვეო პენსიონერის რეგისტრაციის დროს საჭიროა მეურვეობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა.

თუ პლასტიკური ბარათის მფლობელი პენსიის მისაღებად გამოცხადდა სხვა რაიონში (არა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და მისი ანკეტა არ აღმოჩნდა სარეგისტრაციო ჯგუფს, მას ჩაწერენ N3 რეესტრში და შეავსებენ ანკეტის ცარიელ ფორმას. პენსიას ეს პენსიონერი მიიღებს ამ პროცედურის გავლის შემდეგ, პლასტიკური ბარათისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. ანკეტა გადაეცემა რეგისტრაციის ადგილზე მყოფ ფონდის წარმომადგენელს. პენსიონერს მისცემენ განმარტებას, რომ რეგისტრაციის პროცესის დასასრულებლად და პენსიის აღებაში შეფერხების თავიდან ასაცილებლად მიმართოს ფონდის რაიონულ საპენსიო განყოფილებას.

## რვა ოჯახი "ივერიიდან"

თამარ დვალი

*სასტუმრო "ივერია" თითქმის დაიცალა. დარჩა რამდენიმე ოჯახი, რომელიც უახლოეს დღეებში დატოვებს შენობას. ინვესტორის დახმარებით, მერიამ 325 ოთახის მეპატრონე ფულადი დახმარებით დააკმაყოფილა. დარჩენილია რვა ოჯახი, რომლებიც სასტუმროში ნათესავებთან იყვნენ შეკედლებულები. მათ თანხა არ ეკუთვნით, მაგრამ თუ მთავრობა ალტერნატივას არ შესთავაზებს, მაშინ ამ ხალხს ღია ცის ქვეშ დარჩენა მოუწევს.*

**"რამდენიმე დღეა, დევნილთა ერთი ჯგუფი თხოვნით მომართავს ჩვენს სამინისტროს. ეს ის კატეგორიაა, რომლებიც სასტუმრო "ივერიაში" ნათესავებთან იყვნენ შეკედლებულები და ახლა ღია ცის ქვეშ დარჩნენ. კანონით, მათ თანხა არ ეკუთვნით, თუმცა, ქალაქის მთავრობა დაგვპირდა, რომ რაიმე ფართს გამონახავს. სავარაუდოდ, ისინი სტუდქალაქში დასახლდებიან,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ.



*რვა ოჯახი, ჯერჯერობით, ღია ცის ქვეშ არის.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

თბილისის მერიაში შექმნილი დროებითი კომისიის თავჯდომარემ ზურაბ კიკნაველიძემ გვითხრა, რომ ამ ხალხისთვის ფართის მოძიება მათი პრეროგატივა არ არის, თუმცა, ამ ხალხის დახმარებას ისინი მაინც აპირებენ.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, სასტუმრო "ივერიის" მსგავსად, დევნილებს სხვა სასტუმროებიდანაც გამოიყვანენ, თუმცა, ეს უფრო შორეული პერსპექტივაა. საუბარია სასტუმრო "აჭარისა" და "აფხაზეთის" გამოთავისუფლებაზეც, მაგრამ ჯერ არც ინვესტორი გამოჩენილა და არც ოფიციალური პირები ადასტურებენ ამ ფაქტს. იყო წინადადება რამდენიმე სახლის აშენების შესახებ, სადაც დევნილებს შეასახლებდნენ, თუმცა, არც ამ პროექტის განხორციელებას უჩანს პირი. სანამ სახელმწიფო ამ ხალხს ბინის პრობლემას მოუგვარებს, ისინი სახელმწიფო დაწესებულებებს იკავებენ და შემდეგ მათ პრივატიზაციას ითხოვენ.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში წყნეთში მცხოვრები დევნილების 800-მდე განცხადება დევს. ისინი მათ მიერ დაკავებული შენობების პრივატიზაციას ითხოვენ. დევნილების სურვილია, პრივატიზება ნულოვანი აუქციონის პირობებში მოხდეს, რაც თითქმის წარმოუდგენელია. ასეთივე მოთხოვნა აქვთ წინამძღვრიშვილის №121-ში მცხოვრებ დევნილებსაც, თუმცა, მათ ეს შენობა თავად მოაწყვეს და პრეტენზიაც მეტი აქვთ.

არის შემთხვევები, როდესაც ლტოლვილები მათ მიერ დაკავებულ ფართს აქირავებენ, აგირავებენ და ყიდიან კიდეც. როგორც სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსმა ილია გოცირიძემ გვითხრა, წყნეთის აგარაკების შესახებ მათ ინფორმაცია აქვთ, თუმცა, ოფიციალურ დონეზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. **"ჩემთვის ცნობილია, რომ წყნეთში მცხოვრები დევნილები იმ აგარაკების პრივატიზებას ითხოვენ, რომელშიც ცხოვრობენ. ქვეყნის მთავრობას ამ ფაქტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია. რაც შეეხება დევნილთა მიერ გაყიდულ სახელმწიფო ქონებას, მინდა ვთქვა, რომ არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მას არ ეკუთვნის. თუ ვინმემ რომელიმე სასტუმროში ან სახელმწიფო დაწესებულებაში ფართი შეიძინა, ის, უბრალოდ, მოტყუებულია,"** - აღნიშნა ილია გოცირიძემ.

## ახალ ავტობუსებს ჩვენებურად გადააკეთებთ

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე თბილისელებს გვპირდება, რომ ახლო მომავალში ახლად შემოყვანილ ჰოლანდიურ ავტობუსებს ფანჯრებს გამოუცვლიან. ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ავტობუსში უბედური შემთხვევა არ მოხდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ავტობუსების არც ერთი ფანჯარა არ იღება და ამის გამო შიგნით ისე ცხელა, მგზავრებს სუნთქვა ეკვრით და ხვითქი გადასდით. ასეთი ბული ასვლისთანავე იგრძნობა, მაგრამ მგზავრს ჩვეულებრივ ჰგონია, რომ ავტობუსი დაიძვრება და გაგრილდება. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი ხდება, რადგან ირგვლივ ყველაფერი ჩარაზულია.

ამასთან დაკავშირებით ორი ვერსია გავრცელდა. ერთი მძღოლებისგან მოდის, მეორე - მგზავრებისგან. მძღოლები ამბობენ, მთავრობამ რაღაც "კამპიუტერები" ვერ წაიკითხა და ამიტომაც ვერ ჩართო კონდიციონერებიო. მძღოლებს სჯერათ, რომ ამ მიმართულებით მთავრობა თავდაუზოგავად მუშაობს და, დღეს თუ არა, ხვალ აამუშავებს კონდიციონერებს. მგზავრები უფრო ღრმად აზროვნებენ და სრული სერიოზულობით აცხადებენ, რომ საქმე გვაქვს საწვავის ეკონომიასთან (კონდინციონერი საწვავის ხარჯს ზრდის), რასაც ჩვენი ჯანმრთელობა ეწირება.



*ეს ფანჯრები მალე გაიხსნება.*

ვახო ბესელიას ფოტო

ოფიციალური ვერსია კი ასეთია. ზურაბ ჩიკვილაძე: **"ავტობუსებს კონდიციონერები საერთოდ არა აქვთ. აქვთ მხოლოდ გამაგრილებელი სისტემა, რომელიც ცივ ჰაერს იატაკიდან უშვებს, მაგრამ ჩვენებურ სიცხეებს არ ჰყოფნის. ამიტომ ვაპირებთ ავტობუსებზე გასახსნელი ფანჯრების დამონტაჟებას".**

*24 საათი*

# აფხაზები ქართველ მძევალს ორი წლის წინ მოკლულ ძმას ახსენებდნენ

ხათუნა ჯანგირაშვილი



*ერთი თვის განმავლობაში აფხაზების ხელში მყოფი ქართველი მძევლის გათავისუფლების დეტალები გასაიდუმლოებულია.*

ერთი თვის წინ, ზუგდიდის რაიონიდან უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიზნესმენი შალვა ფონია გუშინ საკუთარ სოფელს და ოჯახს დაუბრუნდა. შალვა ფონიას გაუჩინარების დღესვე, ეჭვი არავის შეჰპარვია იმაში, რომ ბიზნესმენი ნამდვილად გატაცებული იყო. ამ ეჭვის საფუძველს ის გარემოებაც იძლეოდა, რომ "მერსედესის" მარკის ავტომანქანა, რომელიც შალვა ფონიას ეკუთვნოდა, უკაცრიელ ადგილას შემთხვევითმა გამვლელებმა უპატრონოდ მიტოვებული ნახეს. ავტომანქანა გაძარცული არ იყო და გასაღებიც ადგილზე აღმოჩნდა. მანქანიდან ოდნავ მოშორებით, ბუჩქებში სამი ცალი საბრძოლო მჭიდი იპოვეს, რომელიც "აკაესის" სისტემის ავტომატს ეკუთვნის. იქვე იყო სისხლის კვალიც.

როგორ და რანაირად დაეხსნა გუშინ მძევალი გამტაცებლებს, სამართალდამცველები ოფიციალურ კომენტარებს ამის შესახებ არ აკეთებენ. გასაიდუმლოებულია როგორც გატაცების, ასევე მძევლის ოჯახში დაბრუნების დეტალები. **"სერიოზული საქმეა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერაფერს გეტყვით. სერიოზულ დამნაშავეებთან გვაქვს საქმე. ამ ეტაპზე არაფრის თქმის უფლება არ გაგვაჩნია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ ბაღათურიამ.

ოჯახში დაბრუნებული ყოფილი მძევალი სასტიკად არის ნაწამები. როგორც თავად აცხადებს, გამტაცებლები რუსულ და მეგრულ ენებზე საუბრობდნენ და მისი ძმის, ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის, აწ გარდაცვლილი ბეგლარ ფონიას სახელს ხშირად ახსენებდნენ.

შეგახსენებთ, შალვა ფონიას ძმა - ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ბეგლარ ფონია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, მდინარე ენგურთან, სოფელ შამგონასთან ორი წლის წინ მოკლეს. აფხაზებმა ყოფილი მძევლის ძმა მაშინ დაცხრილეს, როცა ის ოპერატიულ ჯგუფთან ერთად ავტომანქანის გამტაცებლებს დაედევნა. პოლიციელები გამტაცებლებს ენგურის მოსაზღვრე სოფელ შამგონას მახლობლად დაეწივნენ. მაგრამ დამნაშავეებმა მანქანა მდინარეში მიატოვეს და გაიქცნენ. სწორედ ამ დროს, აფხაზმა მებაჟეებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, კრიმინალურ სამყაროსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ქართველ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს. სროლა დაახლოებით საათნახევარი გრძელდებოდა. აფხაზები ისროდნენ ავტომატებიდან, ყუმბარმტყორცნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან. თავში დაჭრილი ბეგლარ ფონია ადგილზევე გარდაიცვალა.

სანდო წყაროს ცნობით, ზუგდიდის პოლიციის უფროსი ამ დროს ზუგდიდში განლაგებულ რუს სამშვიდობოებთან ყოფილა, ამიტომ ქართველ პოლიციელს დახმარება სწორედ მათთვის უთხოვია. ენგურს გამოღმა მდგომი რუსი სამხედროები გაღმა მყოფ რუს სამშვიდობოებს დაკავშირებიან, რომლებიც, თურმე, შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით ათ მეტრში მდგარან. მაგრამ, გაღმელ სამშვიდობოებს სროლაში ჩარევა არც მანამდე და არც მერე, რატომღაც, აზრად არ მოსვლიათ. სწორედ აფხაზეთის მხარეს მყოფი რუსი სამშვიდობოების ინერტულობის გამო, ზუგდიდში განლაგებული რუსი სამხედროები იძულებულნი გამხდარან, შემთხვევის ადგილას ჯავშანტრანსპორტიორით შესულიყვნენ და გარდაცვლილი ფონია და უვნებლად გადარჩენილი პოლიციელები გამოეყვანათ. ჩვენი ინფორმაციით, სროლა რომ შეეჩერებინათ, აფხაზებს სამშვიდობოებმაც ესროლეს, რის შემდეგაც მებაჟეები გაქცეულან.

რუსმა სამშვიდობოებმა თავდაპირველად არ დამალეს, რომ ქართველ პოლიციელებს სწორედ აფხაზმა მებაჟეებმა ესროლეს, მაგრამ მოგვიანებით, მშვიდობისმყოფელებმა ე.წ. აფხაზეთის ოფიციალური სტრუქტურის ინციდენტში მონაწილეობა უარყვეს და მომხდარი კრიმინალურ სამყაროს გადააბრალეს.

**"როგორც ჩანს, კრიმინალური პოლიციის უფროსის ალყაში მოქცევა წინასწარ იყო დაგეგმილი. ეს იყო კარგად მომზადებული ოპერაცია, რომელიც მიზნად ქართველი პოლიციელების განადგურებას ისახავდა,"** - მაშინ ასეთი შეფასება მისცეს ქართველმა სამართალდამცველებმა კოლეგის მკვლელობას. მათ აფხაზურ მხარეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება მოსთხოვეს, თუმცა აფხაზებმა ქართულ გამოძიებას ამის საშუალება არ მისცეს. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გამოძიებაში თანადგომისთვის, ქართველმა სამართალდამცველებმა გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებსა და რუს მშვიდობისმყოფელებსაც მიმართეს. **"ტერიტორია დანაღმულია და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ჩვენ ვერ ავიღებთ,"** - ასეთი იყო როგორც აფხაზური მხარის, ასევე რუსი სამშვიდობოებისგან და გაერო-ს მისიის წარმომადგენლებისგან მიღებული პასუხი. მოკლედ, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ორი წლის წინ მომხდარი გახმაურებული მძიმე დანაშაული დღემდე გაუხსნელია.

რატომ ახსენებდნენ გამტაცებლები მძევლის მოკლულ ძმას და არის თუ არა რაიმე კავშირი ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსის მკვლელობასა და მისი ძმის გატაცებას შორის, ჯერჯერობით, უცნობია. გავრცელებული ინფორმაციით, გამტაცებლებმა ბიზნესმენი გუშინ გარკვეული თანხის საფასურის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

**"სამი-ოთხი დღე გვაცადეთ და ყველაფერს ნათელი მოეფინება,"** - განგვიცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ ბაღათურიამ.

# წლების წინ დაწყებული სამართლებრივი დავა დასასრულს უახლოვდება

ნათია აბაშიძე

*გახმაურებული სასამართლო დავა, რომელიც წლების წინ საქართველოში კომპანია "ზმვ"-ს მთავარი იმპორტიორის, ფირმა "ასტრა-დილომის" დამფუძნებლებს შორის დაიწყო, დასასრულს უახლოვდება.*

საქმე ისაა, რომ "ასტრა-დილომის" ყოფილი ინვესტორი თამაზ შაფათავა (კონტროლის პალატამ ჩატარებული რევიზიისა და აღმოჩენილი საინვესტიციო დარღვევების შემდეგ, მას ინვესტორის სტატუსი ჩამოართვა), რომელიც წლების წინ კონტრაბანდის ბრალდებით უშიშროების სამინისტრომ დააკავა, თავის ყოფილ პარტნიორებს უჩივის და "ასტრა-დილომის" დიდი რაოდენობით ქონების დატაცებაში ადანაშაულებს. არადა, შაფათავას მიერ ბრალდებული გია კიკაბიძე, მით უმეტეს, მისი წარმომადგენელი სასამართლოში მარინე ჯინჭარაძე "ასტრა-დილომში" მატერიალური პასუხისმგებლები არასდროს ყოფილან.

"ასტრა-დილომის" საქმის განხილვა ამჟამად დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში მიმდინარეობს. რამდენიმე თვის წინ მარინე ჯინჭარაძის ადვოკატის ალეკო ალადაშვილის შუამდგომლობა, საქმეში არსებული ყველა აქტის ხელმეორედ გადამოწმებისა და მათთვის საბუღალტრო კომისიური ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების შესახებ, მოსამართლე ჯემალ გვაგვალიამ დააკმაყოფილა და მათი ექსპერტიზა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს დაევალა.

"ასტრა-დილომის" საბუღალტრო დოკუმენტაციის, უფრო კონკრეტულად, ფირმის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო აღწერების აქტების ექსპერტიზა დასრულდა და დასკვნაც დაიწერა. სხვათა შორის, შაფათავამ ყოფილ პარტნიორებს სწორედ ამ აქტების საფუძველზე უჩივლა და მათთვის ბრალის წაყენებაც ამ დოკუმენტებით მოხდა. არადა, როგორც ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, საქმეში არსებული "მტკიცებულებები", სადავო პერიოდის აქტები ორიგინალები არ გახლდათ - ისინი ქსეროასლები იყო. ამიტომაც იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიურომ მათ, როგორც დაუშვებელ მტკიცებულებას, ექსპერტიზა არ ჩაუტარა.

ამ დოკუმენტაციის თაობაზე ეჭვი ექსპერტიზის ჩატარებამდეც გამოითქვა და ის გამომძიებელმა დალაქიშვილმა მოსამართლე ჯემალ გვაგვალიასადმი გაგზავნილ წერილშიც დაადასტურა. უფროსი გამომძიებლის დალაქიშვილის შეტყობინებით, საბუთების დედნები საქმის მასალებში არ მოიპოვება. **"ექსპერტის დასკვნით, როცა დადგინდება, რომ არსებული მასალა ასლია, მაშინ მათი ფასი ნული აღმოჩნდება, რადგან ასლები დაუშვებელი მტკიცებულებაა. თუმცა, საკვირველი ისაა, რომ ამ ასლებს გამოძიების მიმდინარეობისას სამი ექსპერტიზა ჩაუტარდა. არადა, როგორც წესი, ექსპერტიზა ორიგინალებს უტარდებათ. მე მოსამართლე ვარ და კანონის სრული დამცველი. ვიცი, რომ ასლებისთვის, როგორც დაუშვებელი მტკიცებულებისთვის, ექსპერტიზის ჩატარება არ შეიძლება,"** - რამდენიმე თვის წინ ჩვენთან საუბრისას განაცხადა მოსამართლე ჯემალ გვაგვალიამ.

თვეების შემდეგ, ექსპერტიზამ დასკვნა დაწერა და როგორც გითხარით, დაასკვნა, რომ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო აღწერების აქტები ასლებია და არა ორიგინალები. საუბარია 1999 წლის 12 მარტსა და 14 აპრილს "ასტრა-დილომში" ჩატარებული აღწერის საფუძველზე შექმნილ დოკუმენტზე, რომლითაც "ასტრა-დილომის" ქონების გადაბარება მოხდა. ერთი სიტყვით, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ შაფათავას ბრალდების მამტკიცებელი დოკუმენტების დედანი არ არსებობს, ისინი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. ორიგინალების არარსებობის გამო ექსპერტიზამ ვერ დაადგინა დავის მთავარი საკითხი - ფირმის ქონება კონკრეტულად ვისი ხელმძღვანელობის დროს განიავდა.

**"იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიურომ მარტი-აპრილის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო აღწერების აქტებს არ ჩაუტარა ექსპერტიზა, რადგან დაადგინა, რომ ისინი ქსეროასლები იყო და არა ორიგინალები, ამიტომაც ექსპერტიზამ მათზე ვერ იმსჯელა. რაც შეეხება "ასტრა-დილომში" არსებულ დანაკლისს, რომელიც 25 ათას ლარს აჭარბებს, მართალია, ექსპერტიზამ დაადგინა პერიოდი, თუ როდის მიადგა ფირმას დანაკლისი - ეს არის პერიოდი 1999 წლის იანვრიდან 2001 წლის იანვრამდე - მაგრამ კონკრეტულად ვისი ხელმძღვანელობის დროს დაფიქსირდა ეს დანაკლისი, ექსპერტიზამ ვერ დაადგინა, რადგან სწორედ ამ პერიოდის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო აღწერების აქტების ორიგინალები არ არსებობს, ისინი ქსეროასლები აღმოჩნდა. დასახელებულ პერიოდში "ასტრა-დილომმა" სამი ხელმძღვანელი გამოიცვალა. ვის დროს მოხდა ფირმის ქონების დატაცება, ექსპერტიზის დასკვნით ვერ დადგინდა,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა მოსამართლე ჯემალ გვაგვალიამ.

"ასტრა-დილომის" საქმის განხილვა მხარეთა მოთხოვნით გადაიდო და პროცესი 24 სექტემბერს განახლდება.

## "აჭარპურის" დირექტორს გადასახადების დამალვაში ადანაშაულებენ

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დირექტორის ს/ს "აჭარპურის" საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოიღეს. გუშინვე "აჭარპურის" დირექტორის თამაზ ანანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გადასახადებისათვის თავის არიდების მუხლით აღიძრა.

"სააქციო საზოგადოებაში სპეციალური შემოწმებაც დაინიშნა, სადაც გაირკვა, რომ მათ ჩამოწერილი ჰქონდათ ქონება და, შესაბამისად, დაბალ ფასებში ჰქონდათ გაყიდული.

გარდა ამისა, სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადებს უმალავდნენ. ამის საფუძველზე, ფინანსურმა პოლიციამ "აჭარპურს" 0,5 მლნ. ლარზე მეტი დაარიცხა", - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. ფინანსური პოლიციის აჭარის ოპერატიულ განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმე მითვისებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისთვის თავის არიდების მუხლებით აღიძრა.

"აჭარპურს" ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯამში 3 მლნ. 781 ათას ლარზე მეტია აქვს გადასახდელი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცველებმა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცეული განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, 30 წლის ზურაბ გეთიაშვილი გურჯაანში დააკავეს. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, გეთიაშვილს მკვლელობისთვის, ყაჩაღობისთვის და სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის მისჯილი ჰქონდა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზურაბ გეთიაშვილი 2003 წლის 8 ივნისს რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვა შვიდ პატიმართან ერთად გვირაბის გათხრის საშუალებით გაიქცა. დაკავებისას გეთიაშვილს "ფ-1" ტიპის ორი ხელყუმბარა, ავტომატ "აკს"-ის ექვსი მჭიდი, 281 ვაზნა, ავტომატ "აკმ"-ის ორი მჭიდი, 54 ვაზნა, მისივე მაყუჩი, სამხედრო კარავი, საძილე ტომარა, ორი ნიღაბი და ორი წყვილი სამხედრო ფორმა აღმოაჩნდა. გეთიაშვილს, კანონის თანახმად, გაქცევისთვის ახალი სასჯელი დაემატება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი, 30 წლის გოგიტა ნიკურაძე დააკავეს. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, ნიკურაძე რამდენიმე წლის წინ სასჯელის მოხდის ადგილიდან გაიქცა. იგი სასჯელს სხვადასხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის იხდიდა. ამჟამად გოგიტა ნიკურაძის საქართველოში ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტაცია მზადდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში მკვლელობა მოხდა. 38 წლის ლია ფხაკაძემ თავის საცხოვრებელ სახლში ურთიერთშელაპარაკების დროს მეუღლეს მუცლის არეში დანა დაარტყა, რომელიც 44 წლის ზურაბ ნიკოლაძესათვის სასიკვდილო აღმოჩნდა. ლია ფხაკაძე სამართალდამცველებმა გუშინვე დააკავეს. იგი ახლა წინასწარი პატიმრობის საკანშია მოთავსებული. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა თბილისში, მეტროსადგურ "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს 30 წლის დავით მესხი, რომელმაც არაფხიზელ მდგომარეობაში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საშუალებას არ აძლევდა სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორს, პოლიციის უფროს ლეიტენანტს ზაზა ჯავახიშვილს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის აქტიური წევრი, 46 წლის სერგო კუნელაური, მეტსახელად "ციკლოპა", რომელიც 28 აგვისტოს, ღამის საათებში, თბილისში ყაჩაღურად თავს დაესხა სასურსათო მაღაზიას და მის მეპატრონეს ლამზირა მაჭარაშვილს გასტაცა ფული. იმავე ღამეს, ფულის გატაცების მიზნით, ყაჩაღურად თავს დაესხა 40 წლის თამაზ ავდალიანის ოჯახს. კუნელაურისგან ამოღებულია პისტოლეტი "ტტ" მჭიდით და 5 ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, იმავე სოფელში მცხოვრები აკაკი კორკოტაშვილი, მეტსახელად "ბომბორა", რომლის სახლიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს სანადირო თოფი "იჟ-58", გადაჭრილი სანადირო თოფი, ხელყუმბარა "ფ-1" ფალიით და ნიღაბი. ტარდება ღონისძიებები კორკოტაშვილის დანაშაულებრივი საქმიანობის, თანამონაწილე პირების და მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამოვლენის მიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციისა და წალკის პოლიციის თანამშრომლებმა წალკის რაიონის სოფელ გუნიაკალაში მცხოვრები ომარ ცინდელიანი დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ორი ცალი "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა, ერთი ცალი "აკს"-ის მჭიდი 30 ვაზნით და 7,8 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "მარიჰუანა" ამოიღეს. პოლიციამ ამავე დღეს, სოფელ გუნიაკალაში მცხოვრები, 29 წლის ზაქრო ჩხეტიანი დააკავა. მისი ბინიდან ასევე ამოღებული იქნა 3,7 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სტავროპოლი.** რუსეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე განთავსებულ დროებით სასაზღვრო საგუშაგოზე ახტინის (დაღესტანი) რაზმის წევრები ეძებენ რიგით ვიაჩესლავ უსტანოვს, რომელმაც 29 აგვისტოს სამი თანამოსამსახურე ჩაცხრილა. წინასწარი მონაცემებით, ჯარისკაცმა მათ მაშინ ესროლა, როცა ეძინათ. ორი მესაზღვრე - მაგომედ ალიბეკოვი და ედუარდ დიბესოვი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ერთი, ედუარდ გაინაშინი დაიჭრა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მკვლელმა ავტომატი დააგდო და მიიმალა. სავარაუდოდ, იგი აზერბაიჯანის მიმართულებით გაიქცა. მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. **მედია-ნიუსი**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N152

2004 წ. 27 აგვისტო, ქ. თბილისი

**განმარტება**

გაზეთ "24 საათის " მიმდინარე წლის 26 აგვისტოს ნომერში (№202, მე-6 გვ.) გამოქვეყნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №144 ბრძანება, რომელიც ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა ვაკანსიებს შეეხებოდა. ტექნიკური მიზეზების გამო, დაბეჭდილ ტექსტში გაჩნდა უზუსტობა, რომელიც კონკურსში მონაწილეობის უფლებას შეეხებოდა. მინისტრის №156 ბრძანებით ეს უზუსტობა გასწორებულია.

ამის გარდა, 26 აგვისტოს განცხადების №1 დანართს, რომელშიც ჩამოთვლილია ვაკანტური ადგილები სკოლების მიხედვით, ემატება 2 ვაკანსია:

საგარეჯოს რაიონის ლამბალოს საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

საგარეჯოს რაიონის იორმუღანლოს საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

**"ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შესარჩევი კონკურსის -**

**"მომავალი იწყება დღეს" გამოცხადების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 აგვისტოს N144 ბრძანებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

"ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შესარჩევი კონკურსის - "მომავალი იწყება დღეს" გამოცხადების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 აგვისტოს N144 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურკურსის დებულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამისი პედაგოგიური კვალიფიკაციით.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქმედ მასწავლებელს, რომლის მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი არის ქვემო ქართლისა ან სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში".

**მინისტრი**
**ალექსანდრე ლომაია**



**თუ შეამჩნევთ, რომ ქუჩასა თუ ავტომაგისტრალზე ვინმე არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, რითიც საფრთხე ექმნება ადამიანების უსაფრთხოებას, თუ შენიშნეთ რაიმე კანონდარღვევა, ან შეიქენით ექსტრემალური სიტუაციის მომსწრე, დარეკეთ:**

**80-02**

**ამ ნომერზე მობილური ტელეფონიდანაც კი უფასოდ დაუკავშირდებით საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილს. იგივე სახის ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ ტელეფონის ნომერზე:**

**53-11-50**

**თუ კანონდარღვევა დედაქალაქშია შემჩნეული, ამის შესახებ უნდა აცნობოთ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ტელეფონის ნომერზე:**

**77-50-61**

# 1924 წელი - დღევანდელი გადასახედიდან

დიმიტრი შველიძე
ნიკო ჯავახიშვილი
ბონდო კუპატაძე

*1924 წლის 4 სექტემბერს შიო მღვიმის მონასტრის ტყეში შეიპყრეს "დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრები. ამ დროისათვის ყველაფერი დამთავრებული იყო. აჯანყება დამარცხდა. ათასობით პატრიოტი დახვრიტეს ან დააპატიმრეს და მკაცრ სასჯელს უმზადებდნენ.*

მიუხედავად ამისა, რეპრესიები გრძელდებოდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დამკომის წევრებს და მის თავმჯდომარეს კონსტანტინე ანდრონიკაშვილს შესთავაზა, სპეციალური დეკლარაციით მიემართათ ქართველი ხალხისა და აჯანყებულებისათვის, რომელთა ცალკეული რაზმები ჯერ კიდევ აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. საქართველოს საგანგებო კომისიის - ჩეკას თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი ბერია დამკომის თავმჯდომარეს მიმართავდა: "თქვენ დამარცხდით, მაგრამ ნაწილობრივ, შიგა და შიგ, შებრძოლება გრძელდება. რა თქმა უნდა, ამ დანარჩენ რაზმებსაც ჩვენ მოვუღებთ ბოლოს, მხოლოდ უბრალო სისხლისღვრა იქნება აუცილებელი. ამ შეიარაღებული ჯგუფების შეჩერება შეგიძლიათ თქვენ, კომიტეტს. გააკეთეთ განცხადება და მიეცით (წინადადება) დაფანტულ რაზმებს, ჩაგვაბარონ იარაღი და მათ კი ჩვენ ხელს არ ვახლებთ და მასიურ დახვრეტასაც შევაჩერებთ".

დეკლარაცია იმავე ღამეს დაიწერა, მაგრამ დამოუკიდებლობის კომიტეტს კიდევ ორ მძიმე დათმობაზე მოუხდა დათანხმება. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დამკომი აიძულა, დეკლარაციაში, მომხდარი აჯანყება თავადვე შეეფასებინა, როგორც "ავანტიურა", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის "ზედა ფენები" - თავადაზნაურობა, სამღვდელოება, ბურჟუაზია...

დამკომის წევრები უმძიმესი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ სიტყვაში კოტე ანდრონიკაშვილი აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკების წინადადების მიღების შემთხვევაში, აჯანყების ორგანიზატორებს, ფაქტობრივად, თავადვე გამოჰქონდათ საკუთარი თავისთვის "პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი". მაგრამ მათ მიიღეს ბოლშევიკების ვერაგული წინადადება, რადგან ამით უნდა ეხსნათ და იხსნეს კიდეც ასობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლე. "ჩვენ ვარჩიეთ "ავანტიურა" და "ერის ზედაფენების" სიტყვების ფასად გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა," - დაასკვნიდა კოტე ანდრონიკაშვილი.

ის, რაც იძულებით მოახვიეს თავს 1924 წლის აჯანყების დაპატიმრებულ-რეპრესირებულ ორგანიზატორებს, ძალით დანერგეს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის პირველმა ქართველმა ბოლშევიკმა ბელადებმა - აგვისტოს აჯანყების "ავანტიურისტული" შეფასება. ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, მ. კახიანის, ლ. ბერიას და სხვათა "ავანტიურის" სქემა შემდგომში საფუძვლად დაედო 1929 წლის აჯანყების საბჭოთა ისტორიოგრაფიას. 1924-1980-იანი წლების მიწურულამდე გამოქვეყნებულ საისტორიო და იდეოლოგიური ხასიათის ასეულობით ნაშრომში, ბოლშევიკ ავტორთა რამდენიმე თაობა ამტკიცებდა, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ყოფილი ექსპლოატატორული კლასების კონტრრევოლუციური გამოსვლა, საქართველოს მუშურ-გლეხური მოსახლეობის, ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოწყობილი ავანტიურა და ა.შ.

აგვისტოს აჯანყების ავანტიურისტულ შეფასებას მხოლოდ უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ დააღწია საბოლოოდ თავი. მაგრამ სიტყვები: "საბოლოოდ" ან "ერთხელ და სამუდამოდ", საეჭვოდ მოგვეჩვენება, თუ ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს გადავხედავთ. ამ ნაშრომებში, რა თქმა უნდა, პირდაპირ არაა გაზიარებული ბოლშევიკური თვალსაზრისი. იგი უფრო მოდერნიზებულ, ნეობოლშევიკურ იერს ატარებს.

ე.წ. ნეობოლშევიკური კვალიფიკაციის მიხედვით, 1924 წლის "ანტისაბჭოთა აჯანყების ტრაგიკული შედეგების მთავარი მიზეზი იყო მათი პატრიოტი ორგანიზატორების ექსტრემიზმი და ავანტიურიზმი"; აჯანყების ორგანიზატორები "ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკის მიმდევრები" იყვნენ; "1923-1924 წლებში ანტისაბჭოთა ქართულ ბრძოლას გმირი ხელმძღვანელები ავანტიურისტული ტაქტიკის მეთოდებით მართავდნენ" და ა.შ.

1924 წლის აჯანყების შეფასების ნეობოლშევიკურ სქემას თუ მოვატყუებინებთ თავს, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეროვნული მოძრაობის თავგანწირული რაინდები: კონსტანტინე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, ნოე ხომერიკი, გოგიტა ფაღავა, ვალიკო ჯუღელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვანი - ერთდროულად იყვნენ "გმირებიც" და "ავანტიურისტ-ორგანიზატორებიც", "მამულიშვილებიც" და "ექსტრემისტებიც" ან "ავანტიურისტული ტაქტიკის ექსტრემისტებიც".

ისე, გააჩნია, საქმეს რა კუთხით მიუდგები. ზემოაღნიშნული ნეობოლშევიკური კლასიფიკაცია ყველაზე ახლოს დგას ისლამურ ფუნდამენტალიზმთან. შაჰიდი ექსტრემისტი, რომელიც ბავშვებით სავსე ავტობუსს ან ხალხმრავალ კაფე-რესტორანს აფეთქებს, ფუნდამენტალიზმის საკრალური კანონების თანახმად, გმირია, პატრიოტია. ამ "თეორიის" მიხედვით, 11 სექტემბრის ტერაქტის შემსრულებლები ან თალიბები თუ ოსამა ბენ ლადენის ექსტრემისტული ქსელის მებრძოლები, ნამდვილი გმირები არიან. შეგვიძლია ზოგიერთი მათგანი გავიხსენოთ კიდეც, მაგ., აიმან ალ-ზავაჰირი - ესაა ეგვიპტის ისლამური ჯიჰადის ფუძემდებელი და ბენ ლადენის პირადი მრჩეველი; აბდელ კარიმ ჰუსეინ მოჰამედ ალნასერი, რომელსაც ბრალი ედება ხობარის სამხედრო კომპლექსის დაბომბვაში, საუდის არაბეთში; ან ალი ატვა - ექსტრემისტული ორგანიზაციის ჰესბოლას აქტივისტი, რომელმაც 1985 წლის 14 ივნისს თვითმფრინავი გაიტაცა და მშვიდობიანი მგზავრები დახოცა.



"დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრები - 1924 წლის აჯანყების მონაწილენი.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, არსებობს სხვა, მეორე თვალსაზრისი - ადამიანური, ცივილიზებული კაცობრიობის მიერ დადგენილ-შემუშავებული და ევროპულ-დასავლურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში დაფიქსირებული განმარტებები, რომელთა მიხედვითაც, გმირებისა და მამულიშვილების, ხალხისა და ქვეყნისათვის თავგანწირული რაინდების გვერდით - ექსტრემისტებისა და ავანტიურისტების იდენტურად მოხსენიება და ამ ორი ანტიპოდური ცნების გაიგივება წარმოუდგენელია, ნონსენსია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შემთხვევაში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზატორები, ან თუნდაც მათი ერთი ნაწილი, არ შეიძლება ერთდროულად მოვიხსენიოთ გმირებად, მამულიშვილებად, პატრიოტებად და ავანტიურისტებად ან ექსტრემისტებად; არ შეიძლება კოტე აფხაზი, კოტე ანდრონიკაშვილი ან ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მათი თანამებრძოლები ერთდროულად გმირი-მამულიშვილებიც იყვნენ და ავანტიურისტ-ექსტრემისტებიც. ნეობოლშევიკმა ავტორებმა არჩევანი უნდა გააკეთონ და სოფისტური ფანტაზიები წარსულს ჩააბარონ.

"ავანტიურისტი არის პიროვნება, რომელიც მზადაა სარგებლობა ნახოს რისკის ან უპატიოსნო, არაკეთილსინდისიერი მეთოდებით" - გვაუწყებს ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული თანამედროვე ინგლისური ენის სახელმძღვანელო ლექსიკონი. მეორე ლექსიკონში უფრო დაზუსტებულია განმარტება: "ავანტიურისტი - თავგადასავლის მაძიებელი, უპრინციპო საქმოსანი, არამზადა". ზემოჩამოთვლილ თვისებებს ფრანგი მკვლევარი სუზანა როტი ამატებს ავანტიურისთვის დამახასიათებელ სხვა "ღირსებებს": იმპულსურობა, ეგოცენტრიზმი, ინტრიგების ხლართვა, პატივმოყვარეობა.

სწორედ ამ "სანიმუშო" მახასიათებლებით იყვნენ შემკობილნი მსოფლიო ავანტიურიზმის ისტორიის ყველაზე სახელგანთქმული პერსონაჟები: ბალთაზარ კოსა, ყოფილი პირატი, რომელიც რომის პაპი გახდა; ერნანდო კორტესისა და ფრანსისკო პისაროს მსგავსი ასეულობით მეკობრე, მძარცველი და თავზეხელაღებული კონკისტადორი; თვითმარქვია ცრუმეფეები და კონდოციერი მხედართმთავრები; ინტრიგების ოსტატი ჯარისკაცები; უნივერსალური იტალიელები - ჯაკომო კაზანოვა და გრაფი კალიოსტრო; საფრანგეთის იმპერატორი ლუი-ნაპოლეონ მესამე; რუსეთის იმპერიის საზღვარგარეთული დაზვერვის უფროსი პეტრე რაჩკოვსკი თუ ბორის სავინკოვისა და იაკობ ბლუმკინის მსგავსი რევოლუციური ტერორის მამები; გრიგოლ რასპუტინის მსგავსი წინასწარმეტყველები; მატა ხარისა და ევნო აზეყის ტიპის ორმაგი და სამმაგი აგენტები და სხვანი და სხვანი. მათ შეეძლოთ თავგანწირვა, ახასიათებდათ სიმამაცე, ათასგვარი ნიჭიერებითაც იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგრამ არ ჰქონდათ ზნეობრივი პრინციპები, ქვეყნისა და ხალხის სამსახურის იდეალი, ის, რაც გმირს თუ მამულიშვილს განასხვავებს ავანტიურისტისაგან.

ნეობოლშევიკური თვალსაზრისისგან განსხვავებით, გმირებსა და ავანტიურისტებს ერთმანეთში არ ურევდა მარკიზ დე სადი, რომელიც ანდერძში წერდა: "როდესაც დამმარხავენ, დაე ჩემს ზემოთ რკო მიმოაბნიონ, რათა ნორჩმა ამონაყარმა სრულიად დაფაროს ჩემი სამყოფელი და საფლავის კვალი სამარადისოდ გააქროს ისე, როგორც, ვიმედოვნებ, მეც გავქრები ადამიანთა მეხსიერებიდან". დე სადმა თავად გამოუტანა საკუთარ თავს და მის მსგავს ავანტიურისტებს კუთვნილი განაჩენი, ავანტიურისტებს, რომლებსაც ნეობოლშევიკური სქემა გმირ მამულიშვილებთან გვერდით უჩენს ადგილს.

1924 წლის აჯანყების მეთაური "ავანტიურისტული ტაქტიკის ექსტრემისტებისა" და "ავანტიურისტ-ორგანიზატორების" იმავდროულად "გმირებად" მოხსენიება და პირიქით - გმირებისა და ავანტიურისტ-ექსტრემისტებად - ჩვეულებრივი ტერმინოლოგიური აბრაკადაბრა იქნებოდა, რომ ტერმინოლოგიური დივერსია არ იყოს. ეს უკანასკნელი კი ბევრად საშიში მოვლენაა. ცნებითი და ტერმინოლოგიური დივერსია მიმართულია ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი გაგებისა და ქართველი საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების წინააღმდეგ. თუ ვაღიარებთ, რომ 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორები საღად ვერ აფასებდნენ რეალურ საერთაშორისო ვითარებას და წინასწარგანზრახულად მიერეკებოდნენ ქართველ ხალხს სასაკლაოსკენ; რომ ისინი პარტიული ინტერესებისთვის იყენებდნენ ხალხს და ერს კი გენოციდის საშიშროებას უმზადებდნენ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი ნამდვილად არ ყოფილან არც გმირები, არც მამულიშვილები.

რა თქმა უნდა, ასე არ იყო. 1924 წლის აჯანყების თავკაცებს უდავოდ ჰქონდათ შეცდომები; შესაძლოა, რიგ შემთხვევაში მათ რეალობის გრძნობაც ღალატობდათ, ან სათანადო ინფორმაციას არ ფლობდნენ რეალური საერთაშორისო ვითარების შესახებ; ისიც დასაშვებია, რომ აჯანყებულები გადაჭარბებით აფასებდნენ ქართველი ხალხის ანტირუსულ თუ ანტიბოლშევიკურ რესურსებს. ასეთ შემთხვევაში საისტორიო და პოლიტიკურ მეცნიერებებს გააჩნიათ მრავალი შესაფერისი ტერმინი, რომლის მიხედვითაც მსგავსი ნამოქმედარი შეიძლება შეფასდეს. მაგ., არსებობს ცნებები: პოლიტიკური რომანტიზმი; პოლიტიკური იდეალიზმი; პოლიტიკური ირაციონალიზმი...

მაგრამ ის, რასაც ნეობოლშევიკური კონცეფცია გვთავაზობს - ავანტიურისტებად და ექსტრემისტებად დავსახოთ 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორები - მკრეხელობაა. და მეცნიერებასთან, ობიექტურობასთან და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ჰეგელი წერდა: "რომელიმე ხალხის არსობაში სუბსტანტურ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოდ ყოფნა და ასეთად თავისთავის შენარჩუნება". 1924 წლის აჯანყება ქართველი ხალხის იმ მებრძოლმა ძალებმა მოაწყვეს, რომლებსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მესვეურობა ხვდათ წილად და მისი აუცილებლობა შეისისხლხორცეს.

ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის 70-წლიანი ბატონობის პირობებში სახელმწიფოებრიობის იდეა ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გაუცხოებული აღმოჩნდა. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე მომხდარმა კატაკლიზმებმა და ყოვლისმომცველმა დეპრესიამ კიდევ უფრო დააკნინა სახელმწიფოებრივი ცნობიერება. მხოლოდ 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ჩნდება სერიოზული წანამძღვრები იმისა, რომ ხელისუფლებასა და ხალხს ერთობლივი საზრუნავი გაუჩნდა - დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გაძლიერება-გამთლიანება და ამ გზით ეკონომიკურ-კულტურული აღორძინებისათვის საფუძვლების შექმნა.

სწორედ ამიტომაც, ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია იმათი ღვაწლი, ვინც 80 წლის წინ - ბოლშევიკი ექსტრემისტებისა და ავანტიურისტების მიერ შექმნილი წითელი "ბოროტების იმპერიის" ბატონობას შეებრძოლნენ და ქართული სახელმწიფოს ერთგულება უპირველეს ანდერძად დაგვიტოვეს.

24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

2004 წლის კლინტონები



B3

ჭეშმარიტი ჩოგბურთი დაიწყო



B5

ჩემი კრიალოსანი



B6

# ხუთი დღე ოცნების ქალაქში

## გაზეთ ˝12-მდეს˝ გამარჯვებულები თბილისში დაბრუნდნენ



ეკა და ქეთი გემზე

*ვიდრე "12-მდეს" მკითხველები საზაფხულო არდადეგებზე ისვენებენ, საბავშვო გაზეთის რედაქციაში ახალი სამუშაო სეზონისთვის ემზადებიან. მთელი წლის განმავლობაში აქტიურობით გამორჩეული მოთამაშეებისა და ერთგული მკითხველების - 7 წლის ქეთი ბარბაქაძისა და 11 წლის ეკა სანიკიძის პარიზის დისნეილენდში გასეირნებაც გაზეთ "12-მდეს" საზაფხულო სამუშაოს ნაწილი იყო. ორიოდე დღის წინათ პატარა მკითხველები ოცნების ქალაქიდან მძაფრი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. მოგვიანებით პარიზის დისნეილენდის ამბებს ისინი თანატოლებს "12-მდეს" ფურცლებიდანაც მოუთხრობენ.*

ვერა ნეფარიძე

გაზეთ "12-მდეს" მკითხველებმა კარგად იციან, რა იყო საჭირო იმისათვის, რომ ზაფხულის ხუთი დღე პარიზის დისნეილენდში გაეტარებინათ. მაგრამ, მაინც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ. პირობა მეტად მარტივი იყო: უბრალოდ უნდა ყოფილიყვნენ "12-მდეს" თავგადასავლების, მოთხრობებისა და ლექსების მკითხველები, აზარტული მოთამაშეები. პირველი ეტაპი "12-მდეს" სტუდიაში მოხვედრა იყო; მეორე ეტაპი - ათ გამარჯვებულთა შორის დაწინაურება; ბოლოს კი - ფინალი, სადაც პარიზის დისნეილენდის საგზურები თამაშდებოდა. ჩვენმა გმირებმა სამივე ეტაპი წარმატებულად გაიარეს და ახალ სასწავლო სემესტრსაც დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით იწყებენ.



მხიარული დალლა

### ˝მე წავალ დისნეილენდში˝

7 წლის ქეთი ბარბაქაძე, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს ატრაქციონები, დისნეილენდში წელს პირველად მოხვდა. უცნაური ამ ყველაფერში ისაა, რომ ქეთი, "12-მდეს" კონკურსებში მონაწილეობის დაწყებისთანავე დარწმუნებული იყო, რომ პარიზში წამსვლელთაგან ერთ-ერთი სწორედ თავად იქნებოდა. "მე წავალ დისნეილენდში", - ამბობდა ხშირად, რის გამოც, ახლობლები ქეთის მშობლებს ხუმრობით ეუბნებოდნენ: ისე სჯერა ქეთის, მართლა წავა დისნეილენდშიო. თუმცა, ვიდრე ზოოპარკში გამართულ ფინალზე მოხვდებოდა, მეექვსე საავტორო სკოლის (რამიშვილის სახელობის) პირველკლასელ გოგონას ორი ეტაპი უნდა გაევლო.

ყველაზე მთავარი ეტაპი "12-მდეს" კითხვა იყო. გაზეთი პირველად ბებიამ უყიდა. უყურებდა სატელევიზიო გათამაშებებს და უნდოდა, სტუდიაში მოხვედრილ ბავშვებს შორის ერთხელ თვითონაც ყოფილიყო. თებერვალში, როდესაც გაზეთის მეცამეტე ნომერი თამაშდებოდა, ქეთიმ გაიმარჯვა. 13 მისთვის იღბლიანი რიცხვი აღმოჩნდა: "იმდენჯერ გადავამოწმეთ ნოემრი, მართლა მოვიგეთ თუ არა, აღარც გვახსოვს", - იხსენებს ქეთის დედა. კიდევ უფრო დიდი იყო სიხარული პირველ ივნისს, როდესაც ზოოპარკში გამართულ ფინალზე გამარჯვებულ ქეთის სიხარულისგან ყვირილი უნდოდა, მაგრამ შერცხვა...

დისნეილენდის შთაბეჭდილებებიდან განსაკუთრებულის ამორჩევა უჭირს. ყველაფერი ძალიან მოეწონა, თუმცა მაინც ატრაქციონებს შორის "სულების ციხესიმაგრეს" ასახელებს. სულაც არ შეშინებია. პირიქით, უკვირდა კიდეც სხვა ბავშვების რეაქცია: რატომ ყვირიანო. დისნეილენდში ნანახი ზღაპრების თითქმის ყველა პერსონაჟიც ეცნო. სამახსოვროდ სახლში "მინი მაუსი" წამოიყვანა, რომელსაც ხელიდან არ უშვებს. განსაკუთრებით ეიფელთან მიახლოება მოსწონდა. ამის მიზეზი ბაღში ნასწავლი ლექსი ყოფილა, სადაც მელა ეიფელზე ასვლას ოცნებობს. თბილისში დაბრუნებულმა ქეთიმ დედას გაუმხილა: ეიფელს დავეტოლე და ძალიან პატარა ვიყავიო...



ჩვენს ბავშვებს ეს ატრაქციონი ყველაზე ძალიან მოეწონათ

### ˝შემთხვევით არაფერი ხდება˝

ქეთისგან განსხვავებით, 11 წლის ეკა სანიკიძეს არ ჰქონდა აჩემებული, რომ დისნეილენდში მოხვდებოდა. თუმცა, ბაბუის ნაჩუქარ საბავშვო გაზეთს აზარტულად კითხულობდა. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით კი ოჯახში აღმოაჩინეს, რომ გაზეთის მკითხველებისთვის გათამაშება მიმდინარეობდა. "როცა ვნახე, რომ ბავშვები პრიზებს იგებდნენ, მიხაროდა", - ამბობს მეექვსეკლასელი (151-ე საშუალო სკოლის მოსწავლე) ეკა სანიკიძე. მალე, სრულიად შემთხვევით, ეკაც სტუდიაში შეკრებილ პატარა მკითხველებს შორის აღმოჩნდა. "შემთხვევით კი არაფერი ხდება", - ამბობს ეკას მამა. დისნეილენდში წასვლა თანატოლების მსგავსად, ეკასაც ძალიან უნდოდა, მაგრამ ამაზე ნაკლებად ფიქრობდა. "უბრალოდ მაინტერესებდა რას მოვიგებდი", - ამბობს გამარჯვებული.

ეკას დისნეილენდში ყველაზე მეტად "ამერიკული მთების" ნაირსახეობები მოეწონა: "პირველივე დღეს, ჩავედით თუ არა, არც გვიჭამია, მაშინვე ატრაქციონებისკენ წავედით, ერთ-ერთი იყო დახურულ სივრცეში. ვითომ პლანეტებს შორის დავდიოდით. კიდევ, მატარებელი იყო, რომელმაც მთელი დისნეილენდი მოგვატარა. ძალიან მომეწონა "სულების ციხესიმაგრე" - რომ შევედით, არ ვიცოდით შიგნით რა ხდებოდა. მოვხვდით ოთახში, სადაც ჯარისკაცის ფორმიანი დაგვყვებოდა და რაღაცეებს ყვებოდა. უცებ ჩაბნელდა და მოვხვდით სხვა ოთახში, სადაც უცნაური სურათები ეკიდა. გვაჩვენებდნენ მკვდარ სულებს; ძაღლის ჩონჩხი ყეფდა. ბავშვები ტიროდნენ. ცოტა საშიში იყო მეკობრეების ატრაქციონი".

ქეთიც და ეკაც ახალი სასწავლო წლის დაწყებას ელოდებიან, რომ ეს შთაბეჭდილებები მეგობრებსაც გაუზიარონ. და კიდევ, ელოდებიან "12-მდეს" გამოსვლასაც. იქნებ, კიდევ ერთხელ მოიგონ.



ბავშვები და დისნეის გმირი - გუფი



ცხენების ატრაქციონზე



ამერიკულ მთებზე



პიტერ პენის გამოქვაბულთან



ეკა სანიკიძე და ქეთი ბარბაქაძე ˝დედა˝ მაიკოსთან ერთად პარიზში



სულების ციხესიმაგრეში

მაიკო ყიასაშვილის ფოტოები

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ხმამაღლა ფიქრი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

მოკლედ

## გამაგრებითი სამუშაოები ახალი მეთოდიკით

2003 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისა და ასოციაცია "ინჟინრული აზრის" (დამფუძნებელი მალხაზ ლეკვეიშვილი) მიერ მომზადდა პროექტი "თანამედროვე სამშენებლო-სარესტავრაციო ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში", რომელიც ითვალისწინებდა თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა რეაბილიტაციის საქმეში.

პროექტის მიზანია, საკულტო და საზოგადოებრივი შენობების კონსტრუქციული გამაგრებისათვის თანამედროვე მიდგომების შემუშავება და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა პრაქტიკაში, მათ შორის, როგორ შეიძლება მოხდეს ძეგლის გამაგრება და კონსტრუქციულად შენარჩუნება სტრუქტურის გადაწყობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდიკით განახლებული კონსტრუქციული გამაგრება თვალისათვის უხილავია. პროექტისათვის დაფინანსება გამოყო "იუნესკომ". პროექტში გათვალისწინებული იყო რამდენიმე შენობის სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოები. ასეთი სამუშაოები 66-საშუალო სკოლაში უკვე მიმდინარეობს.

*24 საათი*

## კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად

რამდენიმე თვეა მდინარე მტკვარმა ჩამოშალა უფლისციხისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს უფლისციხესთან მაკავშირებელი გზისა და ძეგლის ტერიტორიის მოსაწესრიგებელ საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. ამას გარდა, სამინისტროს ინიციატივით სექტემბერში ვარძიის მონასტრის დაცვისთვის აუცილებელი სამუშაოები დაიწყება. სამუშაოები გულისხმობს იმ პრევენციულ ღონისძიებებს, რომელიც კლდეში ნაკვეთ კომპლექსს მთიდან ჩამომავალი წყლების ნაკადსა და ქვათა ვარდნას აარიდებს. სამუშაოებს პროფესიონალებთან ერთად მთასვლელები და მუზეუმის თანამშრომლები განახორციელებენ.

*24 საათი*

## გარდაიცვალა ლორა ბრანიგანი



შეერთებულ შტატებში, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი მომღერალი ლორა ბრანიგანი. თუ ეს სახელი და გვარი ბევრს არაფერს გეუბნებათ, მაშინ უნდა გაიხსენოთ 80-იანების ჰიტი "გლორია".

ბრანიგანის მუსიკალური კარიერის დაწყება სახელგანთქმულ ლეონარდ კოენის სახელს უკავშირდება; კანადელ პოეტთან და მუსიკოსთან თანამშრომლობის შემდეგ კი გამოუშვა რვა სოლო ალბომი; ბრანიგანის მუსიკა ჟღერდა ტელესერიალში: "მალიბუს მაშველები", ასევე ფილმებში - "მოჩვენებებზე მონადირეები" და "ცეკვა-ბლიცი". შარშანწინ ლორა ბრანიგანმა წარმატებით შეასრულა ჯენის ჯოპლინის როლი მიუზიკლში "სიყვარულით, ჯენისი", რომელიც ნიუ იორკში დაიდგა.

როგორც მომღერლის ახლობლები იუწყებიან, ლორა ბრანიგანი წინა კვირას ნიუ იორკთან ახლოს მდებარე საკუთარ სახლში, ძილში გარდაიცვალა ტვინის ანევრიზმისგან. უკანასკნელი კვირების განმავლობაში ამერიკელ მუსიკოსს თავის ტკივილები ტანჯავდა და მკურნალობაზეც უარს ამბობდა.

## მუზეუმების ღამე



250 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ბერლინში "მუზეუმების გრძელ ღამეში". პარასკევს, საღამოს ექვსი საათიდან კვირა ღამის ორ საათამდე ქალაქში ასზე მეტი მუზეუმი და გალერეა იყო გახსნილი. ყველაზე პოპულარული კვლავაც ბერლინის საკათედრო ტაძარი აღმოჩნდა – ის 22 ათასმა ადამიანმა მოინახულა. ამას გარდა, ძველ ნაციონალურ გალერეას 19 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა, გერმანიის ისტორიულ მუზეუმს – 16, რესპუბლიკის სასახლეს, რომელიც ამ ღონისძიებაში წელს პირველად მონაწილეობდა – 17 ათასი მნახველი.

"მუზეუმების ღამეს" ფარგლებში წელს კარები პირველად გაუხსნეს დამთვალიერებლებს: ფოტოგრაფიის მუზეუმმა (სადაც 6 ათასი დამთვალიერებლი მივიდა) და გლინკეს სასახლემ (2 ათასი დამთვალირებელი). მთავარ ატრაქციონად დასახელებული იყო "ხელოვნების ქალაქი". მორიგი "მუზეუმების გრძელი ღამე" 2005 წლის 29 იანვარს გაიმართება ბერლინში.

რეცენზია

# ლიტერატურული კარნავალის ჯაზი

თათა ცოფურაშვილი




ყველა დამეთანხმებით, რომ რომანი ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. მაგრამ რას იტყოდით ანტირომანზე? ასე ვქვათ, რომანის - ტრადიციული, ისტორიული, ჰეროიკული თუ სასიყვარულო რომანის - უარყოფაზე?

პასუხის ძებნაში შეიძლება დაფიქრდეთ, შეიძლება თავგზა აგებნეთ, მაგრამ ნაჩქარევი დასკვნების გამოტანამდე, პირდაპირ გეტყვით, რომ მისი ნიმუში უკვე რახანია მოევლინა ქართული მრავალტომეულების ნუსხას ზაზა ბურჭულაძის "მინერალური ჯაზის" სახით. მართალია, ისე როგორც ნებისმიერმა ნოვაციამ, ამანაც დაიგვიანა ჩვენს ვიწრო ორღობეებში გზის კვლევისას, მაგრამ ფაქტია, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის ქართული ანტირომანიც ვიხილეთ.

თუმცა კი როგორ? აი, აქ კი, ძვირფასო მკითხველებო, ნუ მოელით შემფასებლურ მსჯელობებს, რადგან თუ ქართული ანტირომანი თქვენთვის სწორედ მხოლოდ შემფასებლური მსჯელობების კუთხითაა საინტერესო, მაშინ ისინი თავად რომანის გარეკანზევე შეგიძლიათ იხილოთ ქართველი ინტელექტულების კორიფეებისაგან: გოგი გვახარიამ, ლევან ბერძენიშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, ნოდარ ლადარიამ, მერაბ ღაღანიძემ თუ ლევან ბრეგაძემ იგი ხომ უკვე რახანია შეაფასეს და დააფასეს. ასე რომ, მე რაღა უნდა გითხრათ მეტად საყურადღებო? მით უმეტეს, ალბათ კარგადაც გახსოვთ, რომ დედათა ბუნებაი იწრო არსო.

და ამიტომაც დავუბრუნდეთ თავად ანტირომანს და პოსტ-მოდერნისტული ლიტერატურული თეორიებით შთაგონებულ ნაწარმოებში ვნახოთ, რას მეტყველებს და როგორ მეტყველებს ტექსტი თავად საკუთარ თავზე. თუმცა ეს არ გეგონოთ პოსტმოდერნიზმის კლიშედ ქცეულ როლან ბარტის "ავტორის სიკვდილის" გამოძახილად შექმნილი ტექსტი. აქ ყველგან ავტორია. იგი გველაპარაკება და ჭკუას გვეკითხება ტექსტზე რომელიც უნდა დაწეროს, და ამ ლაპარაკით ქმნის მეტა-ტექსტს. ამდენად, ქართული ანტირომანი ეს სიუჟეტური ტექსტისა და მასზე დაწერილი მეტა-ტექსტის ერთობლიობაა, ამ ერთობლიობისათვის ერთგავრი "ჰიპერ-ტექსტიც" კი შეიძლებოდა გვეწოდებინა. მოკლედ, აქ ისე ერთიანდება სიუჟეტი და მასზე ავტორისეული შენიშვნები თუ ალუზიები, როგორც წიგნის საყრდენ წერტილში "წარსული და მომავალი ერთად მოცემული ახლა, მარად აწმყოში". მოკლედ, რომანის კონცეფცია თუ დასავლური პოსტმოდერნიზმის ქართული (მართალია დაგვიანებული, მაგრამ მაინც) გამოძახილია, ავტორის ეს ფრაზა მარადიული აწმყოს მიღწევაზე ორიენტირებული ევროპული მისიტიკის ლიტერატურულ გამოძახილს წარმოადგენს.

ასე და ამგვარად, საქმე გვაქვს, როგორც ავტორი იტყოდა, "პლაჟგარეშე სახელმძღვანელოსთან", რომელიც ჯაზური მუსიკის აკომპანიმენტითაა შექმნილი. აქ წინადადებებს აქვთ თავისი იმპროვიზაციული რიტმი. და ამ იმპროვიზაციებს მკითხველის თვალწინ და მკითხველის თანამონაწილეობა-თანაშემოქმედებითობით გამოგონილი პერსონაჟების ყოფისგან უფრო შორს - უფრო მეტად წარმოსახვით და "მეტა-სამყაროში" მიყევხართ, რომელსაც ავტორის ცნობიერების ნაკადი და ამ ცნობიერების ნაკადში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესი ქვია.

თუმცა ამ ჯაზური იმპროვიზაციის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგად მოფიქრებული ნაწარმოებია, არა ნაკლებ კარგად მოფიქრებული სათქმელით, რომელიც იმპროვიზაციის სიმსუბუქის შირმითაა მოტანილი მკითხველამდე. არ არის გამორიცხული, ქართული ლიტერატურისთვის ზაზა ბურჭულაძის ეს ნოვაცია თქვენ მხოლოდ ხელებდაკაპიწებულ წყლის კოდვად მოგეჩვენოთ, მაგრამ აკი წყლის კოდვა არის კიდეც ერთადერთი საქმიანობა, რომელიც სამშობლოს მიერ დაფასებულ აქტივობად ესმის მას (და არა მარტო მას).

მოკლედ, სახეზეა იმპროვიზაციის პირმშო წიგნი და ჯაზი. ის კი, როგორც ავტორი ამბობს, იყო ჯაზი და დარჩა "ჯაზი", ანუ ბრჭყალებში ჩასმული და ჩომსკისა თუ ტარსკის ლინგვისტურ-ლოგიკური ძიებების შედეგად საგნობრიობას მოშორებული, მეტაენის კუთვნილება **სახელი.**

მაგრამ დავუბრუნდეთ თავად ტექსტს. ტექსტისგან კი იგებთ, რომ თუ მკითხველისთვის განკუთვნილი წიგნის სათაური "მინერალური ჯაზია", თავად ავტორისთვის იგი "შემოქმედებითი კლიმაქსი" ყოფილა. თუ რატომ, ამისათვის ავტორს არითმეტიკული ფორმულებითა და მეტობა-ნაკლებობის ნიშნებით გაჯერებული არგუმენტაცია მოეძებნება: "შემოქმედებითი" ერთობ მეცნიერულია წიგნის მყიდველისა (და არა მკითხველისათვის), მაშინ როცა "კლიმაქსიხ" თავისი ძველ-ბერძნული ეტიმოლოგიით თუ დააფრთხობს, თორემ არ დაათრობს მკითხველს. და სად მოვა ეს ყველაფერი მინერალურ (ბორჯომივით სასიამოვნო და მარგებელ) სასეირო ჯაზთან?

თუმცა დაწერილი თუ დაუწერელი სათაურების ამ ერთობლიობას მკითხველი მხოლოდ წიგნის მესამე კარში ეცნობა. მანამდე კი ჯაზური მუსიკით გაყრუებული ცირკის საგრიმიოროსა თუ ოჩიგავების ოჯახის თაობებს შორის იკვლევს გზას. ყველაფერი კი ცირკის არენაზე შეუმდგარი კლოუნადით იწყება... შეუმდგარით, რადგან ვირტუოზი ჯამბაზი პირველი კარის პირველივე თავში ამთავრებს სიცოცხლეს.

მთავარი გმირი მოკვდა, გაუმარჯოს მთავარ გმირს! და ამიტომაც წარმოდგენა გრძელდება და შეუმდგარი კლოუნადა ერთ დიდ კარნავალში გადაიზრდება. ეს კარნავალი კი, ავტორის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, "საამდღეო ლიტერატურის ახალი ეპოქის დაბადების სისხლიანი კარნავალია". კარნავალი და კარნავალური დრო კი, როგორც ბახტინი იტყოდა, დასცინის რეალობას, თავდაყირა აყენებს მას და რომანსაც ანტირომანად აქცევს. მოკლედ, აქ დიდი ყირამალებია, რის შედეგადაც არათუ მკითხველს, თავად ავტორსაც კი ველარ გაუკვევია, რა უფრო ნამდვილია, ეს მისი წიგნი თუ მის გარშემო დაკრისტალებული ფანტომები.

თავდაყირა დამდგარ რეალობაში კი გაიზიარეთ ლიტერატურული კარნავალის მხიარულება და სპრაიტს მინერალებით გაჯერებული ჯაზი არჩიეთ, რამეთუ აქ პეტოც შეიძლება პეპოდ გადაიქცეს და ჯაზის მოღუღუნე ნათელაც ორთოდოქს მორწმუნედ - ისე, როგორც ეს მკითხველის გემოვნებას მოეპრიანება, რადგან წიგნი მხოლოდ მკითხველისთვისაა და საბოლოოდ, ავტორისა და მკითხველის ერთი დიდი დიალოგია მხოლოდ.

მაგრამ კარნავალი, რომელიც რეალობას თავდაყირა აყენებს, სწორედ ამიტომაც არ არის მოწყვეტილი მას. და ამიტომაც ანტირომანში უხვადაა "გაჯაზებული" კუდის ყავარზე გადების მსურველ უკუდო (და უტრაკო) გურჯებზე; თაობების უცვლელ საქმიანობაზე - ნაცარქექიობასა თუ წყლის კოდვაზე - რომელიც წინაპართა ასაკის პატივისცემის ნიშნად შესისხლხორცებულა და ამ პატივისცემის გამოც უცვლელი რჩება (შეგვეძლო ეს თემა განგვევრცო და გვეთქვა, რომ ასე ქრება რიგითი ქართველი ინდივიდის განვითარებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების ისტორიაც, მაგრამ ეს საკითხი ერთობ შორს წაგვიყვანდა და ამიტომაც ჯობია, ანტირომანში მოხსენიებულ ქართული რეალობის მეორე დიდ სენსაც დავუთმოთ ყურადღება); ალბათ უკვე მიხვდით, რომ "გაჯაზებულია" რელიგიურ შიზოფრენიაზეც, რომელიც მოკვდავთა ხატად თუ კერპად ქცევაშია გამოხატული და კიდევ ვინ მოსთვლის რაზე. ერთი სიტყვით, ეს ევროპული ლიტერატურული ტრადიციით (ლიტერატურა არ არის მხოლოდ ამბის თხრობა, არამედ წერითი აზროვნება) და დისკურსით გარჩეული ქართული ტრადიციული პრობლემების ნუსხაა. ამ პრობლემების ორგანულობაზე მისანიშნებლად კი ავტორი კლასიკური ქართულისა და თანამედროვე ჟარგონის სინთეზს გვთავაზობს. შედეგად კი ვღებულობთ "ხმას მოღადავისა უდაბნოსა შინა".

ამაო იქნება თქვენი მოლოდინი, თუ ქართულ ლიტერატურაში ამ ნოვაციისგან თქვენ ან სიუჟეტის განვითარება-დასასრულს, ან დეტექტიური კვანძის გახსნას, ან კი საერთოდ ავტორის თავმდაბლობას დაელოდებით. ზაზა ბურჭულაძე თავადვე უწოდებს საკუთარ წიგნს ოცდამეერთე საუკუნის რომანს, თუმცა თავადვე არის ის, ვინ ლიტერატურის დარგის მიერ საკუთარი თავის სქოლასტიკის დარად ამოწურვაზე საუბრობს. მაშინ როგორ შეიძლება დაიწეროს ოცდამეერთე საუკუნის წიგნი, თუ კი ლიტერატურის ერთადერთ მაცოცხლებელ ძალად "ულვთო ბილწსიტყვაობა" ქცეულა? ამაზე ავტორს თავადვე მოეძებნება პასუხი: როგორ და, იგი "მაღალღირს მამათა საგულისკოვზე თქმულებად, აფოფინებულ სულთა საამო ამბად" უნდა ჩაიფიქრო. თუმცა ჩაფიქრება ერთია და განხორციელება მეორე. მაღალღირს მამათა გულისკენ გზის პოვნა და მათ სულთა ამება ხომ არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს თავად ავტორს ეგონა: ლიტერატურულ პრემია "საბაზე" წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში წარდგენილი წიგნი ნომინანტადვე დარჩა.

შეიძლება ეს თავად ავტორისთვისაც არ ყოფილა მოულოდნელობა. მისი რიხიანი განაცხადით, იგი ხომ შთამომავლობისთვის (რომლისთვისაც სულაც არ არის სულ ერთი, თუ რას ეტყვიან დღეს) სათქმელს წერს იმ მიზნით, რომ მარადისობას მიაწვდინოს ხმა. გაგაღიზიანათ თავდაჯერებულმა ტონმა? მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს რიხიც ლიტერატურული კარნავალის ნაწილია, რომლის ყირამალაშიც თავმდაბლობა თავდაჯერებად და თავად ამპარტავნობადაც კი შეიძლება გადაიზარდოს...

მოკლედ, მგონი მეც გავაჯაზე...

და ამიტომაც ჯობია მივხედოთ წერტილს, რომელისთვისაც ანტირომანში ზაზა ბურჭულაძეს ლამის მთელი მონოგრაფიაც კი აქვს მიძღვნილი. ამისთვის შეიძლებოდა პუნქტუაციური გამოკვლევაც კი გვეწოდებინა: "მაჩვენეთ როგორ წერტილს სვამს ავტორი და გეტყვით ვინ არის ის" (რა გასაკვირია, წერტილი ხომ მწერლის უახლოესი მეგობარია), "წერტილმა თუ არ იწერტილა, წერტილი კი არა, რაც გინდა ის არის წერტილის მეტი", "ერთ წერტილს ორჯერ ვერ დასვამო" (ისე როგორც ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო, გააგრძელებდა ჰერაკლიტეს რომელიმე ტრფიალი), "ამა თუ იმ წიგნის სიმაღლე თუ სიდაბლე, სიმძიმე თუ სიმსუბუქე სხვა არაფრით უნდა დგინდებოდეს, თუ არა მასში დასმული წერტილებით".

და ამიტომაც ვიდრე ქართულ ანტირომანში დასმული წერტილების რაობა-ნაირობის დადგენას დაიწყებდეთ, წიგნის დამამთავრებელი ზაზა ბურჭულაძისეული ფრაზაც გაიხსენეთ, რომ მან არ იცის, როგორ იწერება კარგი წიგნი, მაგრამ დანამდვილებით იცის, როგორ არ იწერება ის.

# ტანსაცმელი, რომელიც გიცავს

მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ დაჰნათის მზე



ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ ჩვეულებრივი ტანსაცმელი არ ატარებს ულტრაიისფერ სხივებს და მზის მავნე ზემოქმედებისგან თავდასაცავად საკმარისია მხოლოდ იმ ადგილებზე წაისვა დამცავი კრემი, რომელსაც ტანსაცმელი არ ფარავს. ეს მტკნარი სიცრუეა. ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება ულტრაიისფერი სხივების მიერ გამოწვეულ დაავადებებთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის თემა. დამწვრობა და კანის ადრეული დაბერება ულტრაიისფერი სხივების მიერ გამოწვეული მხოლოდ ზედაპირული ზიანია. ეფექტი უფრო მძიმეც შეიძლება იყოს: მაგალითად ონკოლოგიური დაავადებები – ხალხურად, კიბო.

გარდა მზისგან დამცავი ათასგვარი კრემისა და ლოსიონისა, სპეციალისტები სპეციალურ, მზისგან დამცავ ტანსაცმელსაც გვირჩევენ. მასზე მოთხოვნილება ევროპასა და ამერიკაში დღითი-დღე მატულობს. მასობრივ წარმოებაში ჩაშვებულია მზისგან დამცავი საბანაო კოსტიუმები, შარვლები, პერანგები, კაბები, ხელთათმანები, წინდები და ქუდები. მათი ფასი საკმაოდ მაღალია, თუმცა, სპეციალისტების თქმით, ეს აუცილებელია მათთვის, ვინც მზეზე ბევრ დროს ატარებს და ასევე ღია კანის ფერის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ჩვეულებრივი ტანსაცმელი ულტრაიისფერი სხივების მხოლოდ მცირე ნაწილს ბლოკავს, დანარჩენი კი ჩრდილშიც განაგრძობს ორგანიზმისთვის ზიანის მიყენებას.

ამ ტიპის ტანსაცმლის დამცავი ხარისხის აღსანიშნავად გამოიყენება ინდექსი UPF (ultraviolet protection factor, ანუ "ულტრაიისფერისგან დაცვის ფაქტორი"). იგი SPF (sun-protection factor, "ანუ მზისგან დაცვის ფაქტორი") ინდექსის მსგავსია, რომლითაც კრემების დამცავ ხარისხს განსაზღვრავენ. სპეციალისტების მიერ რეკომენდირებული UPF-ხარისხი სულ ცოტა 15 მაინც უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ტანსაცმელი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებას 15-ჯერ ამცირებს.

სამწუხაროდ, UPF-ის მაღალი ხარისხის მქონე ტანსაცმელიც არ წარმოადგენს დაცვის მუდმივ საშუალებას. ტანსაცმლის რეცხვასთან ერთადის UPF-ის ხარისხიც იკლებს. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (International Trade Comission), ტანსაცმელმა 40-ჯერ გარეცხვის შემდეგაც უნდა შეინარჩუნოს დამცავი თვისებები.

დაცვის ხარისხს ქსოვილის სიმკვრივე და სპეციალური ნივთიერება განსაზღვრავს, რომლითაც ქსოვილი მუშავდება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფერიც. საუკეთესოდ ულტრაიისფერი სხივებისგან თეთრი და ვარდისფერი იცავს. ჩვეულებრივი ტანსაცმლის დამცავი ხარისხის ასამაღლებლად შეიმუშავეს სპეციალური სარეცხი ფხვნილებიც. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი 30-ჯერ ამცირებენ ულტრაიისფერის მოქმედებას.

UPF-ის მაღალი ხარისხის მქონე ტანსაცმლის უპირატესობა სადავო აღარ არის. თანდათანობით, იგი წამყვანი ბრენდების სტანდარტების ნაწილი ხდება. სპეციალისტები იმედს გამოთქვამენ, რომ ასეთი ტანსაცმელი 30-40 პროცენტით მაინც შეამცირებს კანის კიბოს დაავადებებს. მაგალითად, ავსტრალიაში, რომელიც ამ მხრივ ყველაზე რთულ რეგიონად ითვლება, კანის კიბოს რისკი ყოველ მეორე მოქალაქეს ემუქრება. ამერიკაში კი ამ დაავადებით ყოველწლიურად მილიონი ადამიანი ავადდება. სამწუხაროდ, უცნობია ამ სფეროში საქართველოს სტატისტიკური მონაცემები, თუმცა ზღვაზე დასვენების მიმდინარე ბუმის ფონზე, თავის დაცვაზე ფიქრი ნამდვილად არ გვაწყენდა.

# 2004 წლის კლინტონები

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ



ჩელსით დავიწყოთ. ულამაზო იხვის ჭუკი მშვენიერ გედად იქცა. პირადმა მწვრთნელმა მას აღნაგობა გამოუსწორა, ის უწინდელივით მოუხეშავი აღარაა.



დედაც ცდილობს, ქალიშვილს არ ჩამორჩეს... და ბოლოს, თავად ბილი.



ეს ამერიკული ოჯახი, რომელმაც ექსტრაორდინალური ქარ-ცეცხლი გამოიარა, იმითაა საინტერესო, რომ არ ვიცოდით, რით დასრულდებოდა მისი ისტორია, როგორი იქნება მათი ტრიპტიხის მესამე, დამაგვირგვინებელი პანელი.

მინეაპოლისიდან ამსტერდამისკენ ფრენისას ჩემი სავარძლის ქვეშ ვილაცის მიერ დატოვებული "ნიუ იორკ ტაიმსის" ეგზემპლარი ვიპოვნე. დროის მოსაკლავად, რომელიც გადაადგილების ყველაზე სწრაფ საშუალებებშიც დიდხანს იწელება ხოლმე, რუბრიკას გადავაწყდი: Noticed - "შემჩნეულია". ამ რუბრიკის ქვეშ განლაგებულ მასალაში ავტორი ორი ფოტოგრაფიის ანალიზს ახდენდა.

ფოტო N1 1998 წლის 17 აგვისტოთია დათარიღებული. ის მას შემდეგ იყო გადაღებული, რაც კლინტონმა ბოლოსდაბოლოს ქვეყნის, დიდი ჟიურისა და მეუღლის წინაშე აღიარა, რომ პრაქტიკანტ მონიკა ლევინსკისთან თანაცხოვრობდა. ამ სამარცხვინო აღიარების მეორე დღეს ამერიკის პირველი ოჯახი "დასასვენებლად" კუნძულ მარტას ვენახებზე გაემართა. მაგარი "დასვენება" კი იყო (მეუღლეებს ცალ-ცალკე ოთახებში ეძინათ, და თუ რამე ურთიერთობა ჰქონდათ, მხოლოდ თავიანთი ასულის, ჩელსის მეშვეობით).

ფოტოგრაფმა კლინტონები იმ წამს გადაიღო, როცა ისინი თეთრი სახლის სამხრეთ მინდვრის გავლით ვერტმფრენისკენ მიემართებოდნენ. ამ "გადასვლის" გახსენებისას კლინტონი ცოტა ხნის წინათ მიცემულ ტელეინტერვიუში ჰყვებოდა: "მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ფეხები უნდა გადამედგა და არ წავქცეულიყავი. არ ვიცოდი, რა შეიძლება მომხდარიყო. წარმოდგენა არ მქონდა. მხოლოდ ვერტმფრენამდე მინდოდა მისვლა". კლინტონებს მხოლოდ ზურგიდან ვხედავთ, მაგრამ მათი ზურგები ნებისმიერ ფრონტალურ ფოტოსურათზე მრავლისმეტყველია. მეუღლეებს როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით მხოლოდ ჩელსი აერთიანებს, რომელსაც მათთვის ხელი აქვს ჩაკიდებული (ის მაშინ 18 წლისა იყო). მაგრამ მისთვის, გამაერთიანებლისთვის, ისინი მთლად თანასწორნი არა არიან. ჩელსი უფრო მეტად დედის მხარესაა, კვლავ როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით, ის მხარში უდგას მოტყუებულ და შერცხვენილ ჰილარის.

ფოტოსურათზე N2 იმავე სამეულს ვხედავთ, ოღონდ ამჯერად მათ კამერისთვის სახის არიდება აღარ სჭირდებათ. ფოტო N2 სულ ცოტა ხნის წინათ იყო გადაღებული – კლინტონები ნიუ იორკის ხელოვნების მუზეუმიდან, მეტროპოლიტენიდან გამოდიან, სადაც ბილის მემუარების, "ჩემი ცხოვრების" აღსანიშნავად საზეიმო მიღება იყო გამართული. ფოტოზე N2 სამეულის ცენტრში უკვე ჩელსი კი არა, თავად ბილ კლინტონი დგას. სწორედ ის გახდა კვლავ ოჯახის გამაერთიანებელი საწყისი, მისი ცენტრალური ფიგურა. მას წაქცევის აღარ ეშინია, მტკიცედ და თავდაჯერებულად დააბიჯებს, ჯიბეში მხოლოდ ავანსად 10 მილიონი დოლარი აქვს ჩადებული. სამივეს ბედნიერი და გამარჯვებული ღიმილი დასთამაშებს სახეზე. აღარც ჰილარია საწყალი, მოტყუებული ცოლი, ის მდიდარია – მემუარებისთვის 8 მილიონი დოლარი მისცეს – და გავლენიანი, ნიუ იორკის შტატის სენატორი ქალი ბრძანდება. ის დრო, როცა, კლინტონის თქმით, თეთრი სახლი საგიჟეთი იყო, წარსულს ჩაბარდა. წარსულს ჩაბარდა ის ღამეებიც, როცა ბილი იძულებული იყო, დივანზე დაეძინა, უფრო სწორედ, უძილობით დატანჯულიყო. ფოტო N2-ზე კლინტონები ერთად არიან და მტკიცედ დააბიჯებენ, როგორც ცხოვრების ბატონ-პატრონებს შეშვენით.

ამ ორი ფოტოგრაფიის შედარებისას სირაკუზის უნივერსიტეტის პოპ-კულტურის პროფესორი, რობერტ ტომპსონი ამბობს: "როცა ვიცით, რა ხდებოდა ფოტო N1-ის გადაღების დროს, ის ფაქტი, რომ ექვსი წლის შემდეგ ეს სამი მოქმედი პირი კვლავ ერთ ჩარჩოშია მოთავსებული, შეგვიძლია ოპტიმისტურ მოვლენად მივიჩნიოთ". ფოტო N2-ზე კლინტონები ბედნიერები, აყვავებულები და ნიუ იორკულად დახვეწილები, თითქოს გაპრიალებულები არიან. სხვათა შორის, თავად ჩელსიც, მშობლების მილიონების გარეშეც, კონკია არაა. ის წელიწადში 120 ათას დოლარს იღებს, პრესტიჟულ ნიუ იორკულ ფირმაში "მაკენზი და კომპანია" მენეჯმენტის კონსულტანტად მუშაობს.

არ ვიცი, არის თუ არა სახე ადამიანის სული სარკე, მაგრამ თუ კლინტონების ოჯახის კიდევ ერთი ფოტოსურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამეულის სახეები მასში მომხდარ მეტამორფოზას სავსებით ადეკვატურად ასახავს.

ჩელსით დავიწყოთ. ულამაზო იხვის ჭუკი მშვენიერ გედად იქცა. პირადმა მწვრთნელმა მას აღნაგობა გამოუსწორა, ის უწინდელივით მოუხეშავი აღარაა. ნიუ იორკში ყველაზე ფეშენებლურ სალონში "ფრედერიკ ფეკაი", სადაც ვარცხნილობაც კი 300 დოლარი ღირს, ჩელსის თმაც გამოუსწორეს. თინეიჯერული კუღულები აღარსად ეტყობა. ჩელსი ბრწყინვალე ქალი გახდა. ვარცხნილობის სტილისტი, ჯეისონ ბეიკი ამბობს: "ჩელსი გახდა, დაიხვეწა, სულ სხვა იერი დაედო. გასწორებული თმის ქერა ელფერმა და ნაზმა მაკიაჟმა ის პიკანტური და რბილი გახადა. ახალი ვარცხნილობა მისი პირისახის სიმრგვალეს ფარავს. მას კანის ფერიც შეეცვალა, რომელიც უწინ მოწითალო იყო. თვალები მოხდენილად აქვს შეღებული და პომადა ვნებიან იერს ანიჭებს". მეორე სტილისტი, ედვარდ ტიკომი, ბეიკის სავსებით ეთანხმება. მისგან შევიტყვეთ, რომ ჩელსიმ 8 კილოგრამი დაიკლო და "შესაძლოა, ყბის ქირურგიული ოპერაცია გაიკეთა". შესაბამისად, ჩელსის ტანსაცმელიც შეიცვალა. ის ელეგანტური გახდა: მკაცრი ბიზნეს-კოსტუმები და საკოქტეილო კაბები. ჩელსი ღამის კლუბებისა და მოდების დემონსტრაციების ხშირი სტუმარია. ის კინოვარსკვლავებთან და "თავად მადონასთან" მეგობრობს. მას დონატელა ვერსაჩე მფარველობს, რომელიც ჩელსის "სექსუალურად" აცმევს. ჩელსის შეყვარებული, აიან კლაუსიც გადასხვაფერდა. მას ხუჭუჭი თმის დათმობა მოუწია და ყელში ჰალსტუხი აქვს წაჭერილი.

დედაც ცდილობს, ქალიშვილს არ ჩამორჩეს. უხეში და ცოტა მამაკაცური ჰილარი (მისი ლესბოსური მიდრეკილებების შესახებაც კი ჭორაობენ) აშკარად "უფრო ქალური და ნაზი გახდა", ამბობს მისი პარიკმახერი სილვენ მელოული. მისი თქმით, ყოფილი პირველი ლედის გამოხედვაც მთელი იერიც და "ახლა უფრო კეთილმოსურნეა". ამას სამოსიც უწყობს ხელს – უწინ ის მამაკაცურ, მუქ კოსტიუმებს იცვამდა, ახლა კი ცისფერ და ყვითელ კაბებს ატარებს. ჰილარის გარეგნობაზე ზრუნავენ ოსტატი სალი ჰერსიბერგერი, რომელიც ვარცხნილობისთვის 600 დოლარს იღებს, და დიზაინერი ილსარ დე ლა რენტა. მას თმა უბზინავს, კაბები ტანზე აქვს მომდგარი.

დაბოლოს, თავად ბილი. იმის მერე, რაც ამჯერად ძალიან მოდური დიეტით, ეგრეთ წოდებული, "საუთ ბიჩით" (The South Beach diet) აწამეს და სადისციპლინო ვორკაუტებსაც ეზიარა, "მსუქანი ბილი" ტანადი ბილი გახდა. ის უწინდელზე უფრო მომხიბვლელია, ქარიზმატული და სექსუალური. ამას წინათ, ფილმ "პრეზიდენტის ნადირობის" პრემიერის დროს, მას კინოვარსკვლავები, უმა თურმანი და გლენ კლოუზი თავდავიწყებით ეპრანჭებოდნენ. იმიჯის კონსულტანტი ენ ვილდერმუტი ამბობს: "ბილი უფრო ტანადი და ელეგანტური გახდა. მას "საკაიფო" ტონების კოსტუმები აცვია, და ამის გამო უფრო ხელმისწვდომის შთაბეჭდილებას ახდენს". იმედია, მეტისმეტადაც არა!

საბოლოო დასკვნისთვის ჟურნალ "სტარიდან" ციტატას მოვიყვანთ. "განახლებული კლინტონები," – წერს ჟურნალი, "ვაშინგტონის ცხოვრებისეულ ძალად იქცნენ, მისი ქსოვილის ნაწილად. ისინი სალაპარაკო თემა არიან".

ახალა კი "ნიუ იორკ ტაიმსის" ფოტო N1 და ფოტო N2-ს დავუბრუნდეთ. ავტორი რუბრიკისა "შემჩნეულია" აღნიშნავს: "ეს ფოტოსურათები კითხვას ბადებს: რამდენად რეალურია ეს ახალი იმიჯი (კლინტონებისა – მ.ს.), თუ ის მომავალი ან სამუდამო კამპანიისთვისაა განკუთვნილი?" პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კლინტონი ამჟამად გულმოდგინედ აჩეჩებს მკითხველს თავის ძვირფას, აგურივით მძიმე ავტობიოგრაფიულ თხზულებას. როგორც სირაკუზელი სწავლული ტომპსონი ამბობს, "საქმე გაქვთ მაგარ ბიჭთან, თანამედროვე გასართობ-ინდუსტრიული კომპლექსის ყველაზე დახვეწილი გამოვლინების ცენტრში მდგომთან, უახლესი პაბლისიტითა და მარკეტინგით. შემდგომ, საქმე გაქვთ სენატორ ქალთან, რომლის მთელი არსიც ამბიციებითაა გამსჭვალული. დაბოლოს, საქმე გაქვთ ყოფილ თინეიჯერთან, რომელიც წამოიზარდა (ამჟამად ჩელსი 24 წლისაა – მ.ს.), რომელმაც ოჯახური კერა დატოვა და საკუთარ გადაწყვეტილებებს იღებს. რატომ არიან ერთად? რატომ, რამეზე შეთანხმდნენ? რატომ, ზავი დადეს? თუ უბრალოდ იმის გამო, რომ ამის ალტერნატივაზე ფიქრიც კი ზარავთ?"

პოპ-კულტურის სირაკუზელი ექსპერტი გონებამახვილურად აღნიშნავს, რომ ფოტო N1 და ფოტო N2 დაუმთავრებელი ტრიპტიხის ორი პანელია. "ეს ამერიკული ოჯახი, რომელმაც ექსტრაორდინალური ქარ-ცეცხლი გამოიარა, იმითაა საინტერესო, რომ არ ვიცოდით, რით დასრულდებოდა მისი ისტორია, როგორი იქნება მათი ტრიპტიხის მესამე, დამაგვირგვინებელი პანელი," – წერს ის.

ამის მიხვდერა საკმაოდ იოლია. ფოტო N1-ზე "პანელის" ცენტრში ჩელსი დგას, რომელიც დანგრევის პირას მყოფი შეერთებული შტატების პირველი ოჯახის შეკვრას ცდილობს. ფოტო N2-ზე გამაერთიანებელი ბილია. ბოლო ტრიპტიხის ჯერ არშექმნილ მესამე "პანელზე" ეს როლი ჰილარის დაეკისრება. ის ამ ადგილს დაიკავებს, როცა ქვეყნის პრეზიდენტი გახდება და ყოფილ პირველ ოჯახს კვლავ აქტუალურ პირველ ოჯახად აქცევს.

შეიქმნება თუ არა ეს ტრიპტიხი – ამას დრო გვაჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, 2004 წლის კლინტონები აშკარად მოულოდნელ სიურპრიზებს გვიმზადებენ. მათ საამისოდ ამუნიციაც საკმარისად აქვთ და ამბიციებიც.

მოკლედ

## ლენი კრავიცი - Gap-ის ახალი სახე



ცნობილი მუსიკოსი ლენი კრავიცი ამიერიდან კომპანია Gap-ის სახე იქნება. სარეკლამო კამპანიაში კრავიცს მსახიობი სარა ჯესიკა პარკერიც შეუერთდება.

საგანგებოდ სატელევიზიო რეკლამისთვის კრავიცმა მოამზადა რემიქსები საკუთარ სიმღერებზე: Lady და Are You Gonna Go My Way. ეკრანებზე ლენისთან ერთად გაბრწყინდება სარა ჯესიკაც. ორივე ვარსკვლავს, რასაკვირველია, შემოსავენ ყველაზე თანამედროვე სამოსითა და ძვირფასი საიუველირო ნაწარმით.

სარეკლამო კამპანიამ სტარტი აიღო 29 აგვისტოს MTV-ის მუსიკალური ვიდეოკლიპების დაჯილდოების ცერემონიალზე. კამპანია შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს მოიცავს. როგორც ცნობილია, შარშან დასავლეთის ვარსკვლავებთან ერთად, Gap-ის სახე ქართველი მსახიობი ნუცა კუხიანიძეც იყო.

## საუკეთესო ფანტასტიკა



ბრიტანეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, საუკეთესო სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმად რიდლი სკოტის მიერ 1982 წელს გადაღებული სურათი Blade Runner დასახელდა. მეორე ადგილზეა სტენლი კუბრიკის "2001 წლის კოსმოსური ოდისეა". მესამე ადგილზე კი გავიდა ტრილოგია "ვარსკვლავთა ომების" ორი ეპიზოდი – "ახალი იმედი" და "იმპერიის საპასუხო დარტყმა", რომლებიც რეჟისორმა ჯორჯ ლუკასმა 1977 და 1980 წლებში გადაიღო. ამას მოსდევს რიდლი სკოტის "უცხო" და ანდრეი ტარკოვსკის "სოლარისი".

რაც შეეხება ფანტასტიკის ჟანრის საუკეთესო მწერლებს, აქ პირველობა აიზეკ აზიმოვს ხვდა წილად. მეორე ადგილზეა ჯონ უინდემი, მესამე პოზიცია დაიკავა "შავი ღრუბლის" ავტორმა ფრედ ჰოილმა, მეოთხე და მეხუთე ადგილები კი ფილიპ დიკმა და ჰერბერტ ჯორჯ უელსმა გაინაწილეს.

## ბობ დილანი რეგის სტილში



იამაიკელმა პროდიუსერმა ჰარი ჰიმელფარბმა გადაწყვიტა დაამტკიცოს, რომ ბობ დილანი მის მშობლიურ კუნძულზე ყოველთვის პატივში იყო და რომ ამერიკელი მუსიკოსისა და პოეტის შემოქმედება ყველა ქვეყნის, მათ შორის, იამაიკის, ხალხზეც დიდ ზეგავლენას ახდენდა ყოველთვის. ამიტომაც, ჰიმელფარბმა გამოსცა ალბომი, სადაც რეგის სხვადასხვა მუსიკოსები ბობ დილანის სიმღერებს მღერიან.

ჩანაფიქრი არაა ურიგო, თუმცა, ნამუშევრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდეის შემსრულებლები სერიოზულად არ მოეკიდნენ საქმეს. კრებულისთვის შერჩეული სიმღერებით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იამაიკამდე დილანის მხოლოდ "საუკეთესო ჰიტებმა" ჩააღწიეს.

## ერთი სიყვარულის ამბავი

ხომ ლამაზი გოგოა ტაირა ბენქსი? რა გასაოცარია, რომ ნაომი კემპბელს არ უყვარს... ტაირა ახლა 30 წლისაა და 31 წლის კალათბურთელს, კრის ვებერს მიჰყვება ცოლად. San Francisco Chronicle წერს, რომ ეს ორი ადამიანი სამი წელი იყო ერთად, და იმედია, მათი ურთიერთობა ერთი სამი წელი კიდევ გასტანს.

აბა, რა ბოროტებაა! იქნება ტაირას მარადიული ერთგულებისა და დიდი სიყვარულის რწმენა ამოძრავებს?

ათენი-2004







# ზეიმი ჩვენს ქუჩაზე

გიგა გურასაშვილი

*ის, ვინც 17 დღის განმავლობაში ოლიმპიური თამაშებით ცხოვრობდა; ის, ვისაც ქართულ სპორტზე გული შესტკიოდა და მთელი არსებით ათენის ოლიმპიური თამაშებისკენ იყო; ის, ვინც ამ ხნის განმავლობაში ქართველ ოლიმპიელებთან შეხვედრას ელოდებოდა, გუშინ საკუთარ გმირებს შეეგება. "ახმეტა ესალმება ოლიმპიადის ქართველ გმირებს!" "გიორგი, საჩხერე ამაყობს შენით!" "გია, დღეს შენი დღეა - დაბადების დღე!" - რომელი ერთი გინდა ჩამოთვალო. ორად გაყოფილი ქართველი გულშემატკივარი თავისუფლების მოედანზე და აეროპორტის ტერიტორიაზე დაბანაკებულიყო. ბუნებრივია, თითოეული ოლიმპიური თამაშების ქართველი გმირების საკუთარი თვალით ხილვას ლამობდა.*

გუშინ აეროპორტისკენ მიმავალ გზატკეცილზე არაბუნებრივად ბევრი მანქანა მოძრაობდა. ჯერ იქით მიმავალ გზაზე და მერე აქეთ - თავისუფლების მოედნისკენ. გუშინ ყველა გზა აეროპორტისკენ, შემდეგ კი თავისუფლების მოედნისკენ მიდიოდა.

ის, ვინც გუშინდელი საღამო ასე აღმა-დაღმა ხეტიალში გაატარა, მხოლოდ იმიტომ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორებს შეგებებოდა.

რაც თავისუფლების მოედანზე ხდებოდა, უჩვეულო იყო. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ვნახე, როდესაც ნოემბრის რევოლუცია მწიფდებოდა. შესაძლოა, ვინმემ მითხრას - შენ, ეტყობა, თბილისის "დინამოს" დახვედრა არ გინახიაო. როგორ არ ვნახე, ვნახე, მაგრამ მაშინ ყველაფერი სხვანაირად იყო. 1981 წლის ზეიმი ამოხეთქილ ვულკანს ჰგავდა. აი, გუშინ კი, უფრო ორგანიზებულობის ხელი ერია. ამას იმად ვამბობ, რომ ის, ვინც აეროპორტში წასვლა ისურვა და ოლიმპიელთა შესაგებებლად წინა რიგებში "მოკალათება" მოინდომა, გაწბილებული დარჩა. არადა როგორ ელოდნენ საჩხერელები, ახმეტელები, მესტიელები.

საჩხერელებს გიორგი ასანიძის ხილვა სურდათ, ახმეტელებს ზურაბ ზვიადაურის, მესტიელებს ნესტორ ხერგიანის. თბილისელებს კი - ყველასი, რამაზ ნოზაძის თამადობით.

მაგრამ... მაგრამ ის, რომ ჩვენი ტრიუმფატორები თვითმფრინავის ტრაპიდანვე თავისუფლების მოედნისკენ კორტეჟით გააქანეს. ამის დანახვა იყო და აეროპორტის ტერიტორიაზე ავტომანქანების დაქოქვის ხმა გაისმა. ყველა ცდილობდა, ოლიმპიელებს წამოსწეოდა, თუმცაღა ერთი ნაწილი ფეხს არ იცვლიდა, რადგან ეგონათ, რომ კორტეჟით მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი თანმხლებნი წაიყვანეს. მერე, როდესაც ვითარებაში გაერკვნენ, მათაც თავისუფლების მოედნისკენ აიღეს გეზი.

მერიის პირდაპირ საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე ქართველ ტრიუმფატორებს და ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელობას ეგებებოდნენ.

"ჩვენ ვისწავლეთ გამარჯვება. აღარ გვჭირდება დამარცხება!" - თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

მერე და მერე კი... ზურაბ ზვიადაურმა - ეს ოქრო თქვენ გეკუთვნითო; გიორგი ასანიძემ - ყველა მიყვარხართო; რამაზ ნოზაძემ - ბრინჯაოს ხანას თავი დავაღწიეთო; ნესტორ ხერგიანმა კი - ყველას დიდი მადლობაო.

ქართველმა გულშემატკივარმა კი ქვემოდან შესძახა: თქვენი ჭირიმეო.

გუშინ ჩემპიონები დაგვიბრუნდნენ.









# ოლიმპიური ფული აქეთ და იქით

გიგა გურასაშვილი

*ბუნებრივია, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებისთვის ოლიმპიური ოჯახის წევრებმა საკუთარ სამწყსოს წამახალისებელი ფულადი ჯილდოები დაუწესეს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში თანხის ოდენობა წამახალისებლის ზღვარს ბევრად სცილდება და ექვსნიშნა, გამონაკლის შემთხვევაში კი შვიდნიშნას ზღვარს აღწევს. მთლიანობაში 202 ქვეყნის წარმომადგენელთაგან ათენის ოლიმპიური თამაშების მედალი 75 ქვეყანას დარჩა.*

თუ ოლიმპიური თამაშების ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ოლიმპიელთათვის ფულადი პრემიები არც გუშინ დაუწესებიათ და არც დღეს. მას უფრო დიდი ისტორია აქვს, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. ფულადი პრემიები ძველი საბერძნეთის ანუ ანტიკური ხანის თამაშებისთვისაც ჩვეული ამბავი გახლდათ. იცით, რამდენს გადასცემდნენ გამარჯვებულ ოლიმპიონიკს? - რამდენს და 500 დრაჰმას. დღევანდელი კონვერტირებით 500 დრაჰმა ასი ათას დოლარს უკაკუნებს! იმხანად ასეთი ჯილდო მთელ ქონებას უდრიდა, მაგრამ განა მარტო ეს? ათლეტებისთვის უფასო იყო კვება და რიგ თეატრებში წინა რიგებში მოსაკალათებელი ადგილები.

ეს, რაც შეეხება ისტორიას. უინტერესო არ უნდა იყოს ისიც, თუ რომელმა ქვეყანამ თანხის რა ოდენობა დაუწესა ათენში წარმატებისთვის საკუთარი ქვეყნის წარგზავნილებს. ჯერ იმათზე მოგახსენებთ, ვისთან ერთადაც ერთ დიდ ძმურ საბჭოთა ოლიმპიურ ოჯახს შევადგენდით.

მაგალითად, უკრაინელებმა საკუთარ ოლიმპელებს, სიდნეისთან შედარებით, გაუორმაგეს პრემიალურები. იანა კლოჩკოვა, რომელმაც 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჩემპიონი გახდა, 200 ათას დოლარს მიიღებს ჯილდოდ, რასაც თან დაურთავენ უკრაინის გმირის წოდებასაც. კიდევ შვიდი უკრაინელი სპორტსმენი გამდიდრდა 100 ათასი დოლარით.

საინტერესოა ბალტიისპირეთის მაგალითიც. ლატვია ფულადი პრემიებით აჯილდოებს არა მარტო პრიზიორებს, არამედ იმათაც, ვინც მეოთხე, მეხუთე და მეექვსე, ანუ ჩასათვლელი ადგილები დაიკავეს. ჩემპიონისთვის კი 100 ათასი ლატი (დაახლოებით 180 ათასი ევრო) ჰქონიათ დაწესებული. თუმცა, ისე მოხდა, რომ ვერც ერთი ბალტიისპირელი ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გახდა. ვიცე-ჩემპიონის ტიტული კი ერთბაშად ოთხმა რიგელმა მოიპოვა (შესაბამისად, მეორე ადგილისთვის დაწესებული 50-50 ათასი ლატიც).



რეზა ზადეს ჩემპიონობა ორმაგად დაუფასეს.

რუსებმა ჩემპიონებისა და მეორე-მესამე ადგილზე გასული ათლეტებისთვის, შესაბამისად, 50, 30, და 20 ათასი აშშ დოლარი გამოყვეს. თუმცა, გამონაკლისები აქაც გავრცელდა. თავის მხრივ, ჯიბეზე ხელი გაიკრა რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმაც, რომელმაც ჩემპიონებს 60 ათასი დოლარი დაუწესა. გამონაკლისია ისიც, რომ ათენში ჩემპიონობისთვის დამატებით 100 ათასი გადაეცემათ მოკრივეებსა და მოჭიდავეებს. ის მოჭიდავეები თუ მოკრივეები, ვინც თანხის ამ ოდენობას მიიღებენ, რუს მეწარმეებს უნდა უმადლოდნენ.

ამერიკამ საკუთარი ტრიუმფატორებისთვის შედარებით მოკრძალებული პრემიები დააწესა. აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრემიები შესაბამისი თანმიმდევრობითაა დაცული - 25, 15 და 10 ათასი. გამონაკლისის სახით 25-25 ათასს მიიღებენ ჩემპიონი მოცურავეები.

არიან ისეთი ქვეყნები, რომელთა მიერ დაწესებული პრემიები ხელუხლებელი დარჩა. ყველაზე დიდი ფულადი პრემია სინგაპურს ეკუთვნის. სინგაპურელები მზად იყვნენ, ჩემპიონისთვის მილიონი დოლარი გადაეცათ!

125-ათასიანი ეკონომია გააკეთეს ფილიპინელებმაც. არც სინგაპურელსა და არც ფილიპინელ ოლიმპიელს ჩემპიონობა არ მოუპოვებია ათენში, ისევე როგორც ალბანელ სპორტსმენებს, რომელთაგანაც ნავსის გატეხვას და, შესაბამისად, პირველ ოლიმპიურ ოქროს ითხოვდნენ. სანაცვლოდ კი ქვეყანა მზად იყო, 10 ათასი ევრო გაეცა პრემიად.

ამ მხრივ ყველაზე ორიგინალურნი აღმოჩნდნენ კენიელები, რომლებმაც საკუთარ ჩემპიონებსა და პრიზიორებს ფულის ნაცვლად გადასცეს დეფიციტური საქონელი: ტელევიზორი, ამასთან, ბრტყელეკრანიანი, მაცივრები და სარეცხი მანქანები.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დაფასება პატრიოტიზმისთვის. ამ მხრივ გამოსარჩევია ირანელი მძიმეწონოსანი ძალოსანი ჰუსეინ რეზა ზადე. ირანელი, რომელმაც ათენში მეორედ დაიდგა ჩემპიონის გვირგვინი, საბერძნეთის მოქალაქეცაა. ორმაგი მოქალაქეობა კი იმიტომ ვახსენეთ, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე ბერძნები ცდილობდნენ, რეზა ზადე გადაებირებინათ და ოლიმპიადაზე საბერძნეთის სახელით გამოსულიყო, სანაცვლოდ კი ყოველთვიურად, სტიპენდიის სახით, 20 ათას დოლარს ჰპირდებოდნენ. მაგრამ რეზა ზადემ ბერძნებს ცივი უარი სტკიცა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ირანის პრეზიდენტმა მოჰამედ ჰატამიმ ეროვნულ გმირს, დამატებითი ჯილდოს სახით, კიდევ 70 ათასი უფეშქაშა. პრეზიდენტის საჩუქრით ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სანუკვარი ოცნება აისრულა - თეირანის ცენტრში სახლი იყიდა.

ლამის თავში ხელის შემოსარტყმელად გაუხდათ საქმე ერაყელ ოლიმპიზმის მაღალჩინოსნებს. საქმე ისაა, რომ ერაყის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პრიზიორებს 25 ათასი დოლარი დაუწესა პრემიად. ჩანაფიქრშივე ცხადი იყო, რომ ერაყელებს ათენში წარმატებისთვის არ უნდა მიეღწიათ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ გასაკვირი არ იქნებოდა, თუ ოლიმპიზმის ერაყელი მესაჭეები გულის სიღრმეში თანამემამულეთა წაგებას ნატრობდნენ. ამ მხრივ ერაყელ ოლიმპიზმის მოხელეებს დიდი თავსატკივარი გაუჩინა ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც, ყველასთვის მოულოდნელად, ნახევარფინალში გავიდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გუნდში 18 მოთამაშე ირიცხება, ქვეყანას, რომელიც მსოფლიო საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობს, დიდი საფრთხის წინაშე დადგომა ელოდა. მიხვდებოდით, თუ რატომაც. თუმცა, ის, რომ ბაღდადელ მაღალჩინოსნებს ჯიბეზე ხელის გაკვრა აღარ დასჭირდათ, ამას ჯერ პარაგვაელებს უნდა უმადლოდნენ, რომლებმაც ერაყელები ნახევარფინალში დაამარცხეს და მერე იტალიელებს, რომლებმაც მესამე ადგილისთვის მატჩში ერაყს სძლიეს.

ფეხბურთი

# სენსაცია და სიურპრიზი

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-5 ტური, ერთი შეხედვით, გამორჩეული არ უნდა ყოფილიყო. ლიდერი გუნდები აუტსაიდერებს ხვდებოდნენ და, წესით, რიგითი ქულების დაგროვება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ტური სენსაციით დაიწყო და სიურპრიზით დასრულდა.

სენსაციის ავტორებად ბოლნისელები მოგვევლინენ, რომლებმაც ჩემპიონს, "ვიტ ჯორჯიას" სძლიეს. ეს თამაში რომ გასულ სეზონში გამართულიყო, "სიონის" გამარჯვებას ყველა კანონზომიერად ჩათვლიდა, რადგან თემურ მახარაძის გუნდი, მართლაც, ბრწყინვალე თამაშს აჩვენებდა და რეალურად აცხადებდა პრეტენზიას ჩემპიონის ტიტულზე. იმასაც შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" ეგრეთ წოდებულ "ოქროს საჩემპიონო მატჩში" სწორედ "სიონი" დაამარცხა 2:0 და ეროვნულ ჩემპიონატში თავისი პირველი სერიოზული ტიტული მოიგო. მაგრამ ბოლნისური საზომებით იმ დღის მერე ლამის საუკუნემ ჩაიარა. "სიონი" პრაქტიკულად დაიშალა: მთავარ მწვრთნელთან ერთად გუნდი უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა დატოვა და ახალმიწვეულ ვარლამ კილასონიას, პრაქტიკულად, ნულიდან მოუხდა გუნდის მშენებლობის დაწყება. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, რომ პირველ 4 ტურში "სიონმა" მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა, ხოლო დანარჩენ სამ მატჩში დამარცხდა. შესაბამისად, ბოლნისელთაგან "ვიტ ჯორჯიასთან" დაპირისპირებაში გამარჯვებას არავინ ელოდა, ალბათ, თუ არ ჩავთვლით ამ გუნდის, მართლაც, ერთგულ გულშემატკივრებს. მათდა საბედნიეროდ, "სიონმა" 3:2 გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ ხმები ამ გუნდის გარდაცვალების შესახებ აშკარად გადაჭარბებულია. ამ გამარჯვებით ისიც დადასტურდა, რომ "სიონი" ძალიან მალე მოიკრებს ძალებს და ეროვნულ დონეზე მაინც ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდება. ვულოცავთ ბოლნისელებს და მათ ახალგაზრდა მთავარ მწვრთნელს ვარლამ კილასონიას პირველ სერიოზულ წარმატებას.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ზესტაფონელებმა" "დინამოს" შეჩერება ვერ შეძლეს.

სიურპრიზის ავტორებად კი ბათუმელები მოგვევლინენ. ბათუმის "დინამო" მასპინძლობდა ჩემპიონობაზე პრეტენზიის მქონე "თბილისს", რომელსაც ამ მატჩამდე სამი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, ერთი მარცხი კი უშუალო კონკურენტთან, თბილისის "დინამოსთან" და სწორედ იმ დაკარგული ქულების ანაზღაურებას ბათუმში გეგმავდა. შეხვედრის დასაწყისში ამ მიზანმა რეალური ელფერი შეიძინა: მე-15 წუთზე თბილისელთა საუკეთესო თავდამსხმელმა ოდიკაძემ ანგარიში გახსნა. დევდარიანის გუნდი გატანილი გოლის შემდეგაც ბევრს უტევდა და არაერთხელ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ვერ მოახერხა. თავის მხრივ, მასპინძლებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი და ცდილობდნენ, მარცხისგან თავი დაეღწიათ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მოახერხეს კიდეც: 75-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოს სიახლოვიდან ბათუმელებმა სტანდარტული მდგომარეობა გაითამაშეს, ბურთი ექონიას დაუგორეს, რომლის დარტყმაც ზუსტი აღმოჩნდა და ტაბლოზე საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა. ბათუმელებმა ქულა მოიპოვეს, რითაც საკმაოდ კმაყოფილები დარჩნენ.

თბილისის "დინამო" გუშინ ჩემპიონატის გამოკვეთილ აუტსაიდერს, "ზესტაფონს" მასპინძლობდა, რომელსაც წინა ოთხ მატჩში ქულაც კი არ ჰქონდა მოპოვებული. ზესტაფონელები გუშინაც ბევრს ეცადნენ, მაგრამ ნავსი მაინც ვერ გატეხეს, მიუხედავად იმისა, რომ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ "სლავიასთან" ნაომარი შემადგენლობიდან ექვსი ფეხბურთელი დაასვენა და თითქმის მეორე შემადგენლობით ითამაშა. ზესტაფონელებმა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გაძლეს და მხოლოდ მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე დაყარეს ფარ-ხმალი: გონჩაროვის წაქცევისთვის დაინიშნა პენალტი, რომელიც თავად გონჩაროვმა ზუსტად შეასრულა და თავისი გუნდი დააწინაურა. მეორე ნახევარში "დინამომ" კაშიას მიერ შორეული დარტყმით, რომელსაც ზესტაფონელთა მეკარე ცინაძე აშკარად მოუმზადებელი შეხვდა, მეორე გოლი გაიტანა და ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანა მატჩი.

რადგან "დინამოზე" ჩამოვარდა საუბარი, იმასაც შეგახსენებთ, რომ მან წარმატებით დაძლია უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი და გავიდა ამ ტურნირის ძირითად სტადიაში, სადაც მეტოქედ ჩვენთვის კარგად ნაცნობი, "ვიტ ჯორჯიას" შემარცხვენელი პოლონეთის "ვისლა" ეყოლება. პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე ამ დღეებში სწორედ კრაკოვში მიემგზავრება და საფეხბურთო კლუბ "ვისლაში" სტაჟირებას გაივლის. იმედია, ბატონი ვლადიმერი ამ შანსს გამოიყენებს და, მართალია, "დინამო" ეროვნულ ჩემპიონატში მისი გუნდის კონკურენტია, მაგრამ ქართული ფეხბურთის ინტერესების გათვალისწინებით მოიქცევა - "დინამოსთვის" საყურადღებო ცნობებს შეკრებს ამ კლუბზე და ევროტურნირებს შემორჩენილ ჩვენს ერთადერთ გუნდს პოლონური ბარიერის დაძლევაში დაეხმარება.

**მე-5 ტური, 29 აგვისტო**

| | |
|---|---|
| კოლხეთი - ლოკომოტივი | 0:3 |
| დილა - ტორპედო | 0:1 |
| სიონი - ვიტ ჯორჯია | 3:2 |

**30 აგვისტო**

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) - ზესტაფონი | 2:0 |
| დინამო (ბთ) - თბილისი | 1:1 |

# რეკორდსმენი "არსენალი"



არსენ ვენგერი კვლავაც დაუმარცხებელია.

ორი ტურის წინ "ბლექბერნის" დამარცხებით ლონდონის "არსენალმა" პრემიერლიგის ახალი რეკორდი დაამყარა, კვირას კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გააუმჯობესა - უკვე ზედიზედ 44 მატჩია, "მეთოფეები" არ დამარცხებულან.

წინა რეკორდი - 42 მატჩი დაუმარცხებლად - "ნოტინგემ ფორესტმა" დაამყარა 1978 წელს. ამ შედეგის ფონზე გასაკვირია, თუ რამდენად წარუმატებლად ასპარეზობს ლონდონური კლუბი ევროთასებზე. უმეტესობისთვის წარმოუდგენელიც კია, ინგლისის ჩემპიონატი წაუგებლად ჩაამთავრო. კიდევ უფრო წარმოუდგენელია, მეორე სეზონიც ისევე დაიწყო. ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი ტურია ნათამაშები, მაგრამ "მეთოფეები" ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს არ დამარცხდებიან.

სად არის ამ გუნდის პოტენციალის მაქსიმუმი? სიმართლე რომ ითქვას, ამ კითხვას ვერავინ პასუხობს. ზოგიერთის აზრით, "დიდი" რომ დაერქვას, გუნდმა პრემიერლიგასთან ერთად ჩემპიონთა ლიგაც უნდა მოიგოს. კიდევ უფრო უკეთესი, თუ ამას ქვეყნის თასსაც დაუმატებს. თუმცა, ის, რომ აგერ უკვე წელიწადზე მეტია, გუნდი პრემიერლიგაში არ დამარცხებულა, იძლევა საფუძველს, რომ "არსენალი" ისევ დიდ გუნდად მოიხსენიებოდეს.

სხვა გუნდებისგან გამორჩეული ადრეც ყოფილა "არსენალი", მაგრამ არსენ ვენგერის მოსვლის შემდეგ ეს გუნდი სხვათაგან კიდევ უფრო მეტად გამოირჩა. ვენგერისთვის, უბრალოდ, მატჩის მოგება არ კმარა, გუნდმა, ამასთან ერთად, კარგი ფეხბურთიც უნდა აჩვენოს. ეს ვენგერის ოცნება იყო. მოახერხა კიდეც განხორციელება, ის "არსენალის" ისტორიის ნაწილია.

მსოფლიოში არც ისე მრავლად მოიძებნება გუნდი, რომელიც მაღალ შედეგსაც აღწევდა და ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობდა. თვით იოჰან კრუიფის დროინდელი ჰოლანდიაც კი ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მიუხედავად იმისა, რომ სხვებს მთელი თავით სჯობდა.

რამდენ ხანს შეძლებს "არსენალი" პრემიერლიგის სათავეში ყოფნას? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია, თანაც, ხომ იცით, ტრავმები, ამა თუ იმ მოთამაშის წასვლა გუნდიდან. ერთი სიტყვით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თავად ვენგერი კი ახლა უფრო დიდი ენთუზიაზმით მუშაობს. მწვრთნელის თქმით, მის მოთამაშეებს ჯერ კიდევ სრულად არ გამოუვლენიათ თავიანთი შესაძლებლობები. ესე იგი, წლეულს კიდევ უფრო ძლევამოსილი "არსენალი" უნდა ვიხილოთ.

რაგბი

# "დათვები" ისევ იდათვებენ

პაატა თოთაძე

რამდენიმე დღეც და, ჩვენში სარაგბო სეზონი განახლდება. ზაფხულში დასრულებულ საქართველოს თასის გათამაშებას ამჯერად ქვეყნის ჩემპიონატი ჩაენაცვლება.

უმთავრესი, რაც ჩემპიონატის დაწყებამდე იყო გასარკვევი, ბათუმის "დათვების" ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი იყო. უფრო სწორად, ეს საკითხი კლუბის ხელმძღვანელობისთვის არც დამდგარა დღის წესრიგში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ილია წულუკიძე დააკავეს, ქართული რაგბის მოყვარულებში ეს კითხვა გაჩნდა და არცთუ უსაფუძვლოდ. საქმე ისაა, რომ ბათუმში "დათვების" პარალელურად შეიქმნა მეორე კლუბი - "ბათუმი", რომელსაც რამაზ სანებლიძე ჩაუდგა სათავეში. ამის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს "დათვები" იშლებოდა, რამდენიმე მოთამაშე ახალ კლუბში გადავიდა და "ბათუმის" ხელმძღვანელობასაც პრეტენზია გაუჩნდა, ჩემპიონატში ჩვენ ვითამაშებთ "დათვების" მაგივრადო. თუმცა, შემდგომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

"დათვების" ხელმძღვანელობამ მოახერხა კლუბის შენარჩუნება, ის კი არადა, აჭარის ხელმძღვანელობამ სწორედ "დათვების" დაფინანსება გადაწყვიტა და არა "ბათუმის". ასე რომ, მომავალ ჩემპიონატში აჭარას კვლავაც "დათვები" წარმოადგენს და, გუნდის შემადგენლობიდან გამომდინარე, კვლავაც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. რაც შეეხება "ბათუმს", როგორც ჩვენთვის ცნობილია, კლუბი აღარ არსებობს. გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი "დათვების" ხელმძღვანელობაშიც. ჩვენი ინფორმაციით, არაა გამორიცხული, კლუბის რომელიმე ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსვლა "დათვების" ერთ-ერთმა დამფინანსებელმა მოინდომოს.

არაფერი დაემუქრება ბავშვთა რაგბისაც. ამ დღეებში ბათუმში გახლდათ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე, რომელიც რეგიონის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას შეხვდა და აჭარაში რაგბის განვითარების შესახებ ისაუბრეს. როგორც ამ შეხვედრაზე გადაწყდა, მთავრობა ბავშვთა რაგბისაც მიხედავს. ეს, ალბათ, არ იქნება იმ მოცულობის დაფინანსება, როგორც ადრე, მაგრამ იმდენი მაინც იქნება, რომ საქმე არ გაფუჭდეს. დასრულდება აგრეთვე სტადიონის მშენებლობა შუახევში. სწორედ ანთაძის ვიზიტის შემდეგ გადაწყდა საბოლოოდ "დათვების" დაფინანსების საკითხი. ამასთან დაკავშირებით საუბარი მანამდეც იყო, მაგრამ რაგბის კავშირის პრეზიდენტის ვიზიტმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

რაც შეეხება ბათუმელთა შემადგენლობას, კლუბში შარშანდელი შემადგენლობიდან თითქმის ყველა მოთამაშე დარჩა. გარდა ამისა, სეზონის მიწურულს ბათუმელებს დაემატებათ რუსეთიდან დაბრუნებული რამდენიმე მორაგბე, რომლებიც სწორედ "დათვებიდან" წავიდნენ რუსეთში სათამაშოდ.

ჩოგბურთი

# ჭეშმარიტი ჩოგბურთი დაიწყო



ამერიკის ღია პირველობაზე ირაკლი ლაბაძის იმედიც უნდა გვქონდეს.

სანდრო ნავერიანი

სალამი, ხალხო, სალამი! ოლიმპიური თამაშების გადამკიდე, წერილი ვერ დამიწერია. უფრო სწორად, ვერ კი არა, არ დამიწერია. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ რედაქციაში ოლიმპიზმის კორიფეები გვყავს, თანაც, ათენში საგანგებოდ წარგზავნილი კახა ფაჩუაშვილი არ გვასვენებდა - ყოველდღე იმდენ მასალას გვიგზავნიდა, ასარჩევად გვქონდა საქმე, რომელი გაგვეშვა. ჰოდა, მეც კუ ხომ არა ვარ, რომელმაც ფეხი გამოყო, პენალი დამარტყმევინეთო. ჩემი საქმე ჩოგბურთია, უფრო სწორად, ჩოგბურთზე წერა. თქვენ მეტყვით: მერე, ოლიმპადაზე ჩოგბურთი ხომ იყო, იმაზე რატომ არ წერდიო. მე გიპასუხებთ: იმიტომ არ ვწერდი, რომ ისიც ოლიმპიური თამაშები იყო. მოკლედ, არა აქვს მნიშვნელობა, რატომ არ ვწერდი ოლიმპიურ თამაშებზე. საერთოდაც, შვებულებაში ვიყავი, ვისვენებდი ხუდადოვის ტყეში.

ახლა რაშია საქმე, ისევ რატომ გამოვჩნდი. როგორც უკვე გითხარით, ჩოგბურთი მიყვარს და ჩემი საქმეც სწორედ ჩოგბურთზე წერაა-მეთქი. ჰოდა, ჩოგბურთი იწყება, უფრო სწორად, დაიწყო. იმ დროს დაიწყო, როდესაც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ეძინა. დიახ, ნიუ-იორკში მორიგი **US open**-ი დაიწყო.

ოლიმპიური თამაშების გამო ეს ტურნირი ორი კვირით გადაწიეს, თუმცა, ამის გამო არავის რქები არ ამოსვლია, მეტიც: დიდი სლემის გათამაშების დასკვნითი ტურნირის მოლოდინში მყოფთ უფრო მეტი ინტრიგა შესძინა.

სიმართლე თუ გინდათ, ის ჩოგბურთი, რომელიც ათენში ითამაშეს, არ იყო ჭეშმარიტი ჩოგბურთი. რატომ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია: არც ერთ ჩოგბურთელს თავისი ძალის მაქსიმუმი არ გამოუმჟღავნებია. ახლა კი, როდესაც დაიწყო **US open**-ი, ყველა ჩოგბურთელი, სარეიტინგო მდგომარეობის მიუხედავად, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოამჟღავნებს და შეეცდება ტურნირის მოგებას. რა თქმა უნდა, ყველას არ შესწევს ძალა, ეს უდიდესი პირველობა მოიგოს, მაგრამ ისტორიაში შესვლის შანსი ყველას აქვს, თუმცა, ისინი უკვე შევიდნენ ისტორიაში, როგორც 2004 წლის **US open**-ის მონაწილეები.

ყველა მონაწილეზე ლაპარაკი ახლა ნამდვილად ზედმეტია, თუმცა, ტურნირის მსვლელობისას შეიძლება სათითაოდ მომიწიოს მათ წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე წერა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთ ჩოგბურთელზე, ირაკლი ლაბაძეზე მინდა გითხრათ: ირაკლიმ ოლიმპიური თამაშები მაჯის ტრავმის გამო გამოტოვა, უფრო სწორად, ის ჩავიდა ათენში, კენჭისყრის შედეგად გერმანელი ნიკლას კიფერი გამოუჩნდა მოწინააღმდეგედ, თუმცა, ბოლო მომენტში კორტზე გასვლა ვერ შეძლო. ახლა კი ლაბაძეს ბოლომდე მოშუშებული აქვს ტრავმა და მისი პირველი მეტოქე ფრანგი ჟერომ გოლმარი იქნება. ძალიან მინდა და თან თითქმის დარწმუნებულიც ვარ, რომ ირაკლი ფრანგულ ბარიერს გადალახავს და მეორე წრეში ადვილად გაიკვლევს გზას. იქ კი ხორვატ ივო კარლოვიჩსა და ბრიტანელ ტიმ ჰენმანს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

TV-სპორტი

## სამშაბათი. 31 აგვისტო

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
07:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "DENVER NUGGETS" - "ORLANDO MAGIC"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკენდი
13:00 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "ჩერნომორეცი"
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ვილიარეალი"
17:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:45 შოტლანდიის ჩემპიონატი. "სელტიკი" - "გლაზგო რეინჯერსი". შესვენებისას (19:35) - თავისუფალი დარტყმა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:05 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. პერუ - ბოლივია
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1985. პირველი წრე. "DALLAS MAVERICKS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS". მე-2 მატჩი
05:30 NBA TV. NBA-ს ფინალების უდიდესი მომენტები

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20, 20:30 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ჩეხეთი - ფინეთი
13:35 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დახურვის საზეიმო ცერემონიალი. შესვენებისას (19:30) - პრესცენტრი
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. გერმანია - შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ტროფი-რეიდი "ლადოგა-2004"
00:15 ახალი ამბები
00:30 00:30-დან 02:45-მდე შესვენება
02:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. კანადა - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
11:15 ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
13:00 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
13:30 ხელბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
15:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
19:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

# ჩემი კრიალოსანი

სანდრო მამასახლისი

(დასასრული; დასაწყისი იხ. "24 საათი" N205)

1988 წელს გახლდით ვილნიუსში და დავესწარი ქალაქის ცენტრში მდებარე ვეებერთელა ტყე-პარკში (იქ ფულით გამოტუტუცებულები პარკებში სახლებს არ იშენებენ!) მოწყობილ ანტიკომუნისტურ მიტინგს, რომელშიც, როგორც თქვეს, 150 000 ადამიანი მონაწილეობდა... ისხდნენ პირდაპირ მოლზე, ტაშით, სიმღერებით ამხნევებდნენ გამომსვლელებს... თან წამოღებული ჰქონდათ საჭმელ-სასმელი...

... როცა მიტინგი დამთავრდა და პარკი ხალხისაგან დაიცალა, თვალი მოვკარი პირხმელ მოხუცს, რომელიც კაუჭიანი ჯოხით ბალახს ქექავდა - ქაღალდს, ან სიგარეტის კოლოფს თუ იპოვიდა, თავს აქეთ-იქით გაიქნევდა, თითქოს ვიღაცას უწყრებაო და ნაპოვნს პლასტმასის პატარა წითელ ვედროში ჩააგდებდა...

უნებლიეთ მის ვედროში ჩავიხედე და სახტად დავრჩი:

- სულ ესაა თქვენი "ნადავლი"?

- რუსების შემოსვლამდე ესეც არ იყო, ლიტველი აღმერთებდა თავის სამშობლოს, მიწაზე ნაგავს როგორ დააგდებდა, ეს ხომ ქვეყნის შეურაცხყოფაა?!

...ლიტვაში მოგზაურობიდან ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება 150 000-იანი მომიტინგეების "ნაგვისგან" მივიღე...

თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის პატარა, მაგრამ კოხტა ეზოში ნებისმიერი თავყრილობის შემდეგ ყვავილნარები, გაზონები ხელახლა დასარგავი და გასაშენებელია, ხოლო ნაგავი ურიკებით გაგვაქვს ხოლმე...

... მესმის... ორი საუკუნე გეოგრაფიულ და სულიერ ჩიხში ვიყავით მომწყვდეულები, ლიტველების სამეზობლო კი ცივილიზებული, ვეება ევროპა იყო, და მაინც...

■ ■ ■

მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი მგონი ღმერთის კაცია... განა წარმოვიდგენდი იმას, რაც მან უმოკლეს დროში სისრულეში მოიყვანა?! დღეიდან რომც აღარაფერი გააკეთოს, უკვდავებისათვის და ჩემი უკიდეგანო მადლიერებისათვის ესეც ეყოფა!

...ერთმა "დიდმა მშრომელმა" განმიცხადა - მიხეილ სააკაშვილი შევარდნაძის ნაშიერიაო... ოლო-ლო და გამოიცნო! ანდრეი სახაროვი, რომელმაც, დიახაც, დაანგრია წითელი იმპერია, სწორედ სტალინმა იპოვა, ხოლო გმირის ოქროს სამივე ვარსკვლავი ტირანის საყვარელმა მოწაფემ ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩამოჰკიდა... აბუეტი უნდა იყო, რომ სახაროვი სტალინისა და ხრუშჩოვის მოწაფედ ჩათვალო...

რას იზამ, პოსტსაბჭოეთში ნეომარქსიზმი, ანუ მუტრუკიზმი მძვინვარებს და ამ სახიფათო პროცესს ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს...

■ ■ ■

...ლუარსაბი, ყვარყვარე, ჯაყო, კვაჭი... ამათთან შედარებით სადა, მიამიტი ხალხი... მოვიდა პოსტსაბჭოეთის ახალი გენერაცია - სუნამომისხმული, ნაჭამნაქეიფარი, გამოძინებულ-დასვენებული, სასტიკნი და უძლებნი, რომლებმაც ქურდობას ბიზნესი დაარქვეს, გათახსირებას სიყვარული... მათ მუტრუკებს ვეძახი, უკეთესი სახელი თქვენ მოუძებნეთ...

როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალ-ფსიქოლოგიური მოვლენა, მუტრუკიზმი მარქსიზმ-ლენინიზმივით მარად განვითარებადია, გააჩნია ცხოვრებისეული სიტუაციისადმი ადაპტაციის უნარი - უცებ შეიძლება ვერც კი შენიშნო... თუ წაუყრუე, მით უმეტეს, თუ მისი კულტივირება დაიწყე, ქვეყანას კლანჯასავით მოედება და აუცილებლად გაგვანადგურებს. მისი გენერალური მიზანი უწესრიგობა და კანონის მოსპობაა...

ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ნუ გგონიათ. რეალურად მისი არსებობის დასადასტურებლად მოვიყვან თქვენთვის ფრიად ნაცნობ სამ ფაქტს:

შეგინიშნავთ უთუოდ - სავალი გზის მოკლე მონაკვეთზე გვერდიგვერდ, ერთმანეთის მიყოლებით, თითქოს გამოფენა იყოს, ჩამწკრივებულან ბენზინით გასამართი სადგურები... ამავდროულად, საქართველოში გზებია, სადაც საწვავს ვაი-ვაგლახით თუ იშოვი, აქ კი, როგორც თავადაც ხედავთ, გამყიდველები ერთმანეთს დომინოს ეთამაშებიან... ეს ნიშნავს - საქართველოში ბენზინით ვაჭრობს ერთი კაცი... თავად შემოაქვს, თავად აფასებს და თავადაც ასაღებს... თუ გაბედავ, დაუკითხავად შემოიტან და ნამუსიან ფასში გაყიდი - აგაფეთქებენ!

მაშინაც კი, როცა საწვავს სახელმწიფო განაგებდა, ბენზინით გასამართი სადგურების ადგილმდებარეობა გარკვეულ პრინციპს ექვემდებარებოდა - ითვალისწინებდნენ მანძილს, გზის დატვირთვას... დღეს ეს საქმე მუტრუკებმა ჩაიგდეს ხელში - სხვანაირად, ანუ საბაზრო დემოკრატიული ეკონომიკის პირობებში ბენზინით მოვაჭრენი ერთმანეთს გაექცეოდნენ, კონკურენტს დაემალებოდნენ, აკლდამასავით პომპეზურ სადგურებს აიშენებდნენ იქ, საიდანაც მეტოქეს ძლიერი დურბინდითაც ვერ დაინახავდი...

იგივე ითქმის თამარ მეფის ქუჩის ბოლოს მდებარე აფთიაქების "ფესტივალზე"... წამლების ასეთი კონცენტრაცია უნიკალურია - და წარმოადგენს მუტრუკიზმის კლასიკურ მაგალითს.

არამი ფულით გაზულუქებულმა და გამოტუტუცებულმა მუტრუკმა, თუ მუტრუკთა ჯგუფმა (ალბათ არაქალაქელმა!), თბილისის ცენტრში, არც მეტი და არც ნაკლები - კომუნარების ბაღში, ვეება შენობა ... წამოჭიმა...

ვთქვათ, დიდმა ფულმა, ან "ზემოდან" ტელეფონის ზარმა დააბრმავა, დაადამბლა პრესა, ტელევიზია... ჩვენ, რიგით ადამიანებს, რაღა დაგვემართა, რამ გაგვაჩუმა და დაგვადუმა?!

ასეთ ხელაღებულ ხულიგნობას ჰაიდ-პარკში (ჩვენთვის ეს პატარა წალკოტი ჰაიდ-პარკზე მეტია!) ვერავინ გაბედავდა - მიწას ბარს ვინც დასცხებდა, იმავე ბარის ტარით ზურგს დაულურჯებდნენ... და თუ ლონდონელი მუტრუკი (ვირის შვილი, ალბათ, იქაც მოიძებნება!) სასწაულს მოახდენდა და დილით მოსულ ინგლისელებს ერთ ღამეში ცათამბჯენს დაახვედრებდა, იმ იმედით, რომ აშენებულს რაღას უზამენო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქუდზე კაცი გარეთ გამოვიდოდა და შინისკენ არ შებრუნდებოდა, სანამ მშენებელი თავისივე ხელით არ დაანგრევდა, არ მოასუფთავებდა იქაურობას, არ აღადგენდა ნარგავებს, ყვავილნარებს, გაზონებსა თუ დეკორატიულ ბუჩქნარს...

დედაქალაქის ამ უმშვენიერეს ბაღში ეს სამარცხვინო შენობა რამდენიმე თვის განმავლობაში შენდებოდა, დაუნანებლად ჭრიდნენ სხვის მიერ დარგულ და გახარებულ ხეებს, უწყვეტ ნაკადად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოჰქონდათ საუკეთესო საშენი მასალა, დროდადრო მოდიოდნენ უძვირფასესი ავტომობილები, რომელთა პატრონები ალერსით შესცქეროდნენ დიდი ფულის მომლოდინე მშენებელთა ფაცი-ფუცს და ტკბებოდნენ თავიანთი მორიგი აფერისტობისა და თავხედობის გამარჯვების პროცესით და ამ დროს, არც შფოთავდნენ და არც ედარდებოდათ რამე... რამეთუ კარგად იციან - 37 წლის სტალინური ტერორის, მასობრივი კორუფციისა და უკანონობას გამოვლილ ადამიანს, ესოდენ "წვრილმანის" გამო, ხმის ამოღების თავი კარგა ხანს არ ექნება... ამიტომაც ასე "ამაყად" დგას კომუნარების ბაღში უნამუსობისა და თავხედობის გამარჯვების ძეგლი-შენობა!

... ვდუმვართ, იმიტომ ბედავენ... როდემდე...

ერთმა გერმანელმა გენერალმა ქართველ ობლებს დიდი ფული უანდერძა. ამ ფულით თბილისში, ფალიაშვილისა და ატენის ქუჩების კუთხეში, ბერლინიდან საგანგებოდ ჩამოსული არქიტექტორის პროექტით, მართლაც აშენდა პატარების თავშესაფარი... საქართველოში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბედით დაჩაგრულებისათვის საგანგებოდ აშენდა კომპლექსი - ორადგილიანი საძილე ოთახებით, ფართე აივნებიანი და ფანჯრებიანი სასადილო, საგანგებო დარბაზი სპორტისათვის და იმისათვის, რომ უამიდობისას პატარებმა ითამაშონ, შადრევნიანი აუზით, პატარა ზოოპარკით... გერმანიიდან ჩამოიტანეს მშვენიერი ავეჯი, ჩამოიტანეს მწვანე ფერის ცემენტი (იმ დროის საკვირველება!) და შენობები შეღებეს, ეზოკარში ნაძვი, ფიჭვი, კიპარისი და ცაცხვი დარგეს... ყველაფერმა გაიხარა, განსაკუთრებით - ბავშვებმა...


სანდრო მამასახლისი.

ბევრი ვეძიე, მაგრამ იმ დალოცვილი გერმანელი გენერლის ავან-ჩავანს ვერ მივაკვლიე - თქვენი იმედი მაქვს, ბატონო მკითხველო, თუ რაიმე იცით, არ დამზარდეთ, შემეხმიანეთ... არადა, საჭიროა მის შთამომავლობას მადლობა ვუთხრა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ავაჟღერო კარგი კაცის გვარსახელი, მისი სულის საამებლად ეკლესიაში სანთელი დავანთო - უცხოო, შორეულმა გულში რო ჩაიკრა ჩვენი საფიცარ-სათაყვანებელი...

...დრო კი მიდიოდა... ვაკის განაშენიანება აჩქარდა... აქ ცხოვრება "პრესტიჟული" გახდა... 1960-იან წლებში მუტრუკთა უმთავრეს შტაბში - კომპარტიის ცეკაში ერთ, სხვებთან შედარებით უფრო "პასუხისმგებელ ამხანაგს", ახალი, უფრო ფართე და, რაც მთავარია, ვაკეში, ბინა მოუნდა და დაუნანებლად დაანგრევინა ობლების თავშესაფარი... ბავშვები ზოგი მარტყოფის, ზოგიც კარდანახის საბჭოურ "ერიტში" გადაისროლეს...

ახლა იმ ადგილას "ცეკას" სახლია და მასში კვლავაც ცხოვრობენ ხალხისთვის "დამსახურეალ-დათანხმებულები"...

...ბენზინით გასამართი სადგურების, აფთიაქებისა და კომუნარების ბაღში შეჭრილი, ამ სამარცხვინო შენობის მეპატრონეებს გააჩნიათ ოფიციალური ნებართვა, რომელსაც ხელს აწერს კონკრეტული მოხელე... ჰოდა, ჩემო ბატონო ირაკლი (მხედველობაში მყავს ირაკლი ოქრუაშვილი), მოხუცს არ დამზარდე, მოაცუნცულე, ტელეეკრანიდან მაინც გვაჩვენე კორუფციის დინოზავრი, მუტრუკების აბსოლუტური ჩემპიონი! გთხოვ იჩქარო, თორემ ხომ იცი მათი ამბავი - ქურდობით, იცოცხლე, ვაჟკაცები არიან, თუ წაუსწარი, ქვეშ იფსამენ, კნუტებივით კნავიან, იწირპლებიან, ექიმს ეძახიან, საბნის ქვეშ იმალებიან...

■ ■ ■

...განათლების ახალი მინისტრი კახა ლომაია მგონი შეცდა, როცა განაცხადა - მეოთხე კლასელების ნახევარმა წერა-კითხვა არ იცისო... ეს "შეცდომა" თავისივე ბრალია - რბილი, თავაზიანი ხასიათისაა, აფასებს სხვის აზრს, ბუნებით უკონფლიქტოა - იგი ისეთი მშობლების შვილია, სხვანაირი არ შეიძლება ყოფილიყო...

... წერა-კითხვა მეოთხე კლასელებმა რომ არ იციან, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, მაგრამ საქმეს ალბათ ეშველება - წინ ხომ სწავლის ექვსი წელიწადია... თუ სწავლის სურვილი ექნებათ... საკითხავია, რა ეშველება იმას, უმაღლესი სასწავლებელი რომ დაამთავრა, მაგრამ მეოთხე კლასის პროგრამა მაინც არ იცის?!

...როცა ახალგაზრდას ჭამის მეტი არაფერი აინტერესებდა, მაგრამ "უმაღლესი", ვითარცა ჩუტყვავილისგან აცრა, მისთვის გარდუვალი იყო, პედაგოგიურ "პუშკინში" აბარებდა... ამ სასწავლებელში ადვილი იყო ჩარიცხვაც, სწავლაც და, რაც მთავარია, აბიტურიენტისაგან არ მოითხოვდნენ პედაგოგისთვის აუცილებელ, სპეციფიკურ ნიჭიერებას... ხელისუფლების თვალსაზრისით, მასწავლებლის პროფესია ყველას მოერგებოდა, ყველასთვის იოლი მისაწვდომი იყო... ამგვარ ახალგაზრდა მასწავლებელს თუ ნამუსი მაინც შეაწუხებდა - დიპლომი კი მაქვს, მაგრამ არაფერი გამეგებაო, - და თავად მოინდომებდა კვალიფიკაციის ამაღლებას, მაინც არაფერი გამოუვიდოდა. ბოლშევიკური ხელფასი ვაი-ვაგლახით ყოფნიდა და ფულის შოვნა (თუნდაც საღი სამოსის საყიდლად) მუდმივი სადარდებელი იყო... შემდგომი განათლებისთვის კი არა, ნეტავ გაკვეთილების ჩატარება და რვეულების გასწორება მოესწრო...

ყოველთვის მშიერმა და, ამდენად, დამცირებულმა მასწავლებელმა ველარ გაუძლო, გაბოროტდა, განრისხდა და "შური იძია" - წიგნი შეგვაძულა, შეგვაძულა ყველას! მთელს პოსტსაბჭოეთში - ჩუკოტკიდან კალინინგრადამდე, 500 ცალი(!) დიდი ტირაჟია. არადა, წიგნის მნიშვნელობა დღეს ძალიან დიდია. ცივილიზაცია გუტენბერგის მოძრავი ლიტერების აღმოჩენამდე ნელ-ნელა, ტაატით ვითარდებოდა, მხოლოდ წიგნის გაჩენის შემდეგ აჩქარა სვლა... ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში წიგნის ბუმია, ჩვენთან?

■ ■ ■

...მთავარი ის კი არ არის, თუ რა წერია გაზეთსა თუ წიგნში, თუმცა ესეც მნიშვნელოვანია, მთავარია თვით ტექსტის კითხვის პროცესი, სიმბოლოების, გრაფიკული ნიშნების - ასოების საშუალებით სიტყვების ამოცნობა და ამ ამოცნობილი სიტყვების სახეებითა და ცნებებით შევსება, რაც გონების ვარჯიშის ყველაზე ეფექტური, შედეგიანი და აუცილებელი პირობაა... ყოველმა ადამიანმა, საღი აზროვნების შესანარჩუნებლად, დღეში სულ ცოტა სამი გვერდი ნაბეჭდი ტექსტი მაინც უნდა წაიკითხოს, გონება რომ არ დაუჩლუნგდეს, არ დაეკარგოს მოვლენების შეფასებისა და ანალიზის უნარი. ეს აუცილებელია! მაგიდაზე ხელი უძრავად რომ დადოთ, რამდენიმე წუთში დაგიბუჟდებათ. მაშ ტვინს, ამ ბიოლოგიურ კოსმოსს, წლების განმავლობაში უძრავად მყოფს, რაღა მოუვა, იგი ხომ ხელზე წარმოუდგენლად უფრო რთულია?!

მასობრივი უწიგნურობა ქმნის საყოველთაო განათლების ილუზიას...

როცა მწერალი (ავტორი) და მკითხველი თანაბრად მწყრალად არიან მშობლიური ენის მიმართ, მათ შორის დავა გრამატიკული ნორმების თაობაზე შეუძლებელია. ამ საყოველთაო მდუმარებაში ტელევიზია, როგორც ინფორმაციის გავრცელების ლამის ერთადერთი საშუალება, უმოწყალოდ ანგრევს ქართულ ენას... ამრავლებს სიბეცეს, უნიჭობას... ძალიან უჭირს ტელევიზიის ბევრ კორესპონდენტს მარტივი აზრის ჩამოყალიბება. ერთ წინადადებაში რამდენჯერმე ცვლის არამცუ ინტონაციას, მოქმედების დროს და პირის ნიშნებს, უკვე თქმულს რამდენჯერმე იმეორებს. არაპროფესიული დიქციის გამო პროგრამის წამყვანები ლუღლუღებენ, ჩიფჩიფებენ, ვერაფერს გაუგებ. მათ წინ თუ მოკარნახე აპარატი არ არის, ლექსიკა უმალ უღარიბდებათ, დაურიდებლად ხმარობენ კალკსა და განსაკუთრებით - ბარბარიზმებს. დღემდე ქართული ჰგონიათ - პოსტი, პროდუქტი, ფორტუნა, ბასეინი, კურიერი, მეტალი, სკულპტურა, ბარიერი, პარადი, კორიდორი, ფიქსაცია (ამ ერთმა უცხო სიტყვამ გაგვინადგურა რამდენიმე ათეული ქართული ცნება!), რელსი, პუბლიკა, არენა, პროტოკოლი, შტურმი, ფეიერვერკი, კლიმატი... და უსირცხვოდ "უბერავენ"... რაღა ვთქვა ჩვეულებრივ მოქალაქეზე, რომელიც წლობით წიგნის გარეშე ცხოვრობს და მიკროფონთან ორი სიტყვის გადაბმაც კი უჭირს...

■ ■ ■

მითები სატკივარს მალავენ...

თითქოს გაქრა კომუნიზმის მითი და დავინახეთ ქვესკნელი...

თითქოს მტარვალიც გაგვეცალა, თითქოს ცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, მაგრამ მან იცის "ძმობა" დაპყრობილ საქართველოსთან და არ იცის დამოუკიდებელს როგორ ელაპარაკოს...

ჩვენ კი, რატომღაც, კვლავინდებურად ვაღმერთებთ იმას, რომელმაც არნახულად გააფართოვა მისი იმპერიის საზღვრები, შემოუერთა სხვა ქვეყნები (მათ შორის უდანაშაულო საქართველოც), მოძალადეს განსაკუთრებულობისა და მსოფლიოს მხსნელის აბსურდული შეგნება ჩაუნერგა და ამ "წმინდა" საქმისთვის ადამიანის ზღვა სისხლი არ დანანებია!

მტარვალის ხატზე მლოცველი, ადრე თუ გვიან, მისი მსხვერპლი გახდება...

■ ■ ■

... როგორი მდუმარებაა... ნუ გავაჩუმებთ წარსულს, სიჩუმე მას მოჰკლავს და მარტონი დავრჩებით!

... წარსული მოკრძალებულია... კალთები უნდა დაახიო, რომ გვესტუმროს, არადა, უმაგისოდ არც პური იჭმევა და არც ღვინო დაილევა... მისი წყენა სიკვდილს ნიშნავს, უკუნეთს, დროის გაქრობას...

ალბათ აწმყო არ არსებობს, ან თუ არსებობს, შეუცნობადია. ძნელია განჭვრიტო მომავალი, მხოლოდ წარსულია ცხადი და ნაღდი, რომელიც ჩვენს არსებაშია - ფიქრებში, განცდებში, საქციელში... მას ვერავინ წაგვართმევს, იგი ბოლო ამოსუნთქვამდე ჩვენია...

... როცა მჩაგრავდნენ, მცემდნენ და ძალიან მტკიოდა, წარსულის უმშვენიერეს ქვეყნისკენ გავრბოდი, იქ მეგულებოდა ჩემი ოაზისი, პატარა კუნძული, სადაც ჩემი დართუხუცესი გამუდმებით მელოდა... მხოლოდ მას ვებრალებოდი, მხოლოდ მან იცოდა ყველაფრის პატიება...

საბედნიეროდ, მამა მყავდა უჭკვიანესი (ისეთი, როგორიც ალბათ ყველასა ჰყავს), ციცქნა ბიჭს წარსული დამანახა, დამანახა ასასვლელი სიმაღლე...

აი, მისი, დღემდე დაუვიწყარი, ზოგიერთი ნათქვამი:

- საქართველოს წარსულის წარმოდგენა რომ შეგეძლოს, დანახვა - იმ, აწ სამარადჟამოდ წასული ვაჟკაცებისა, თავს მოიკლავდი და მხოლოდ ხუთებზე ისწავლიდი...

- სანამ პირში ლუკმას ჩაიდებ, მიმოიხედე, იქნებ შენზე მშიერი სხვაა და თუ ასეთს დაინახავ, დაუყოვნებლივ მიაწოდე... გახსოვდეს - სიკეთის ნამდვილი საზღაური მხოლოდ სიკეთის ჩადენის პროცესია და ამაზე ნეტარი განცდა ქვეყნიერებაზე არაფერია...

- კაცობრიობის ისტორიაში ქართველებმა პირველებმა განჭვრიტეს თავისუფლების არსი... სად იყვნენ ჰეგელი, ფეირბახი, შოპენჰაუერი, ნიცშე, კანტი, ვანინგერი, მარქსი, თუ ლენინი, როცა ქართველი ქართველს მიმართავდა - შენი ჭირი მეო... რაც თავისუფლების გარანტიის აუცილებელი პირობაა - თუ მე არ ვიზრუნე სხვის უფლებებზე, თუ არ ვუთანაგრძნე სხვას და მისი სატკივარი არ გავითავისე, თავად ვერასოდეს ვიქნები დაცული, ანუ თავისუფალი...


სანდრო მამასახლისის ფოტო

# 99 პრობლემა, ოთხი ჯილდო



პერის ჰილტონი



ჯენიფერ ლოპესი



ნაომი კემპბელი



მერილინ მენსონი

წელს MTV-ის ვიდეო-კლიპების დაჯილდოვებაზე ჰიპ-ჰოპი დომინირებდა: მაიამიში გამართული მუსიკალური არხის დიდ ზეიმზე ექვსი კატეგორიიდან ოთხი სასურველი ჯილდო რეპერმა ჯეი ზიმ და მისმა ვიდეოკლიპმა "99 პრობლემამ" მიიღეს – მათ შორის ჯილდო საუკეთესო რეპ-კლიპისთვის.

წლის საუკეთესო ვიდეოკლიპისთვის დაწესებული ჯილდო "აუტკასტს" გადაეცა. მათი კლიპი Hey Ya ასევე საუკეთესო ჰიპ-ჰოპის კლიპად იქნა აღიარებული და საუკეთესო შემოქმედებითი ხელმძღვანელობისა და საუკეთესო სპეცეფექტებისთვისაც დაჯილდოვდა. გარდა ამისა, ფერადი, მხიარული წარმოდგენის დროს ჯილდოები გადაეცათ ჯგუფებს No Doubt, Franz Ferdinand, Black Eyed Peas, Jet, Yellowcard და Maroon 5 და მომღერალ ალიშია კისს.

ჯეი ზი დღესასწაულზე ელეგანტურ, თეთრ, ტროპიკულად წოდებულ კოსტუმსა და ჩალის ქუდში გამოცხადდა. იქვე მისი მეგობარი, რიტმ-ენდ-ბლუზის შემსრულებელი ბიონს ნოულზიც იყო, რომელმაც შემსრულებელ ქალთა შორის საუკეთესო ვიდეოკლიპისთვის, Naughty Girl-ისთვის მიიღო ჯილდო. პოპ-კლიპი მოუწონეს ჯგუფს No Doubt-აც.

საზეიმო საღამო მშვენიერმა ლათინოამერიკელმა, ჯენიფერ ლოპესმა გახსნა. მის გარდა, სცენაზე წამყვანის სახით მოგვევლინენ P. Diddy, გვინეტ პელტროუ, ვილ სმიტი, პერის ჰილტონი, ლენი კრავიცი, შაკირა, ეშლი სიმპსონი. შესვენების დროს აშერმა თავისი სიმღერა Confessions Part II შეასრულა და სცენაზე ჩანჩქერი დაეშვა!

მომღერალ ნელის Tilt'cha Head Back-ის შესრულებისას ოქროსფერ კაბაში გამოწყობილი კრისტინა აგილერა აჰყვა, ალიშია კისს კი If I Ain't Got You-ს დროს, სრულიად სპონტანურად, ლენი კრავიცი და სტივ ვანდერი აჰყვნენ.

საზოგადოების დიდი ნაწილი წელსაც სკანალს ელოდა: ალბათ, გახსოვთ, რა ამბები დატრიალდა გასული წლის საღამოებზე – ჯერ იყო და, მადონამ, მისთვის ჩვეული პროვოკაციური სახით, ბრიტნი სპირსსა და კრისტინა აგილერას ერთობ ორაზროვნად აკოცა, მერე კი ჯასტინ ტიმბერლეიკმა მთელს მსოფლიოს დაანახვა ჯენეტ ჯექსონის მარჯვენა, შიშველი მკერდი. მაგრამ სკანდალის მოყვარულთა მოლოდინი ამაო იყო - ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, მეტისმეტად მშვიდადაც კი.

# ფესტივალის თემა - თავისუფლება

ლონდონის ნოთინგ-ჰილის ყოველწლიური ფესტივალი წელს უკვე მეორმოცედ ჩატარდა. როგორც ამბობენ, ამ ფესტივალს განსაკუთრებული პრობლემები არ ახლავს თან, თუმცა პირველივე დღეს უკვე 27 ადამიანი დააპატიმრეს, 84-ს კი დახმარება აღმოუჩინეს.

ლონდონის პოლიციისათვის ნოთინგ-ჰილის კარნავალი წლის ყველაზე დიდი მასობრივი ღონისძიებაა. ამ პერიოდში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე 10500 პოლიციელი ზრუნავს. პოლიციელებს წლეულს ჩვეულებრივზე მეტად დაძაბული მუშაობა მოუწიათ. მაყურებელთა რიცხვმა მილიონს მიაღწია, შარშან ფესტივალს 600 ათასი ადამიანი ესწრებოდა.

მართალია, ნოთინგ-ჰილის ფესტივალი 40 წლისაა, მაგრამ მისი ისტორია ბევრად უფრო ადრე დაიწყო, 1833 წელს, როდესაც მიღებულ იქნა კანონი მონობის გადავარდნის შესახებ. სწორედ ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით გაიმართა პირველი კარიბის ზღვის ქვეყნების ფესტივალი.



ნოთინგ-ჰილის ფესტივალი უკვე კარგა ხანია ბრიტანეთის დედაქალაქის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. წლევანდელი ფესტივალის მთავარი თემაა თავისუფლება და სამართლიანობა.

# ქალბატონი 50 ფენინგი

დღეს მას 90 წელი შეუსრულდებოდა. მაგრამ მხოლოდ გუშინ გაირკვა, რომ ქალი, რომელიც გერმანიაში ყველა იცნობდა, ორი კვირის წინ გარდაცვლილა. გერდა იოანა ვერნერი ყველა 50 ფენინგიან მონეტაზე იყო გამოსახული, მაგრამ არავინ იცოდა, ვინ იყო ეს ქალი.

კონრად ადენაუერი, ვილი ბრანდტი, არწივი – ევროს შემოღებამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხურდა ფულზე ერთობ ჭრელი და მეტწილად პოლიტიკური დატვირთვის მქონე საზოგადოება იყო გამოსახული. მათ შორის იყო ერთი ქალიც, რომელიც – თუ წინასწარ არ გეცოდინებოდათ, ამას არც შენიშნავდით – დაჩოქილი იყო და მუხას რგავდა.

სწორედ ეს იყო გერდა იოანა ვერნერი. მისი გამოსახულება, რომელიც მილიარდობით ცალად არსებობდა, გერდას მეუღლის, რიხარდ მარტინ ვერნერის მიერ იყო შექმნილი. მან ორმოციანი წლების ბოლოს გერმანიის მიწების ბანკის (მოგვიანებით – გერმანიის ფედერაცული ბანკის) მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. კონკურსის პირობების თანახმად, 50 ფენინგიანისთვის ისეთი მოტივი უნდა ყოფილიყო შერჩეული, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის აღორძინების სიმბოლო გახდებოდა. ვერნერმა ჩათვალა, რომ ქალი, რომელიც მუხას რგავს, საუკეთესო სიმბოლო იქნებოდა, და მისი შექმნისას ნატურად თავისი მეუღლე გამოიყენა.

მხატვარმა გაიმარჯვა, მაგრამ გერმანული მარკის შემოღების შემდეგ სულ მალე გარდაიცვალა. მისი მეუღლე, გერდა იოანა, ამ ამბავს დიდხანს არავის უყვებოდა, მხოლოდ 80-იან წლებში გაამხილა 50 ფენინგიანის შექმნის ამბავი.

ეს მონეტა 1949 წლიდან 2002-ის 1 იანვრამდე, ანუ ევროს შემოღებამდე ოფიციალური გადახდის საშუალება იყო, და უნდა ითქვას, რომ გერმანელებს დაჩოქილი ქალის გამოსახულებით დამშვენებული ფული ყველაზე მეტად მოსწონდათ, და ამიტომაც დაენანათ უცნობი, მაგრამ ძალიან ახლობელი გერდა იოანა ვერნერი.

## TV პროგრამა

30 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "ქრისტეფორე კოლუმბი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "მოახლე" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "სიკვდილი მას შვენის". მთ. რ-ში: გოლდი ჰოუნი, მერილ სტრიპი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დ დიზაინი. ჟან-პოლ გოტიე. გაზაფხული-ზაფხული. 2004. **08.00** ტაძრები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **14.05** საოცარი მოგზაურობა. ტიპი და სპილოები. **15.30** ჩემპიონები. დოკ. ფილმი. (გაგრძელება) **16.30** გადაცემა: ისინი მოგვითხრობენ თავიანთ თავგადასავალს. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **20.25** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ. **23.00** რეპორტაჟი: au pair შვეიცარია. **02.55** ათენის ოლიმპიადა. მიმოხილვა.

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** დოკ. ფილმი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.05** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.30** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ქიმერიონი" **00.00** მუს. არჩევნები **00.35** მხ. ფილმი "რემბო-პირველი სისხლი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მათეს სახარება" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ეს შეშლილი შეშლილი სამყარო" **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "შესანიშნავი შვიდეული" **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი ტანგო პარიზში"

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "დეზერტირები" (გ) (დინ მარტინი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "თოვლის დედოფალი" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "წამალზე" (18) (ი. მაკ გრეგორი)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** "მულამები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30, 01.00** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ფორტი საგანი" **15.15** სერიალი "დანაშაულებათა საიდუმლოებანი" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.45** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ფორტი საგანი" **21.30** ლარის მახე **23.00** მხ. ფილმი "აბეზარი" (გ) (ჟ. ლანვენი) **01.00** ტვ-მარკეტი

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Мультсериал "Кошки-мышки". **11.40** Дисней-клуб: "Приключения Винни Пуха". **12.10** Василий Лановой в фильме **"СИЛЬНЕЕ УРАГАНА" 13.40** Док. фильм "Невеста для адмирала". **14.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Комедийный сериал **"АНГЕЛ НА ДОРОГАХ". 16.30** Док. детектив. "Осколки "Красного фонаря". Дело 2001г. 1-я с. **17.00** "Слабое звено" **18.20** "Кумиры". Александр Гомельский. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 23.30** Время. **22.40** Тайны века. "Приговор для Европы" **23.50** "Большой хоккей. СССР - Канада". 1-я серия. **00.20** Большой взрыв. "Детское сердце". **00.50** Неизвестная планета. "Расшифрованные Майя". **01.20** Крис Фарли в комедии **"УВАЛЕНЬ ТОМ" 03.05** Морган Фримен в остросюжетном фильме **"СИЛА ЕДИНСТВА"**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** "Преступление в стиле "Модерн". "Королева бриллиантов". **10.55** Совершенно секретно: отступление победителей. **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". 13.35** Александр Носик в сериале **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА". 1-я серия. 14.30** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ОСНОВНАЯ ВЕРСИЯ". 20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 22.00** "Страна и мир" **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.15** Николас Кейдж в остросюжетном фильме **"8 МИЛЛИМЕТРОВ" 00.55** Окончание фильма **"8 МИЛЛИМЕТРОВ". 02.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ".**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# გამოსათხოვარი

**გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობი**

## ვალენტინა სიომინა



ვალენტინა სიომინას შემოქმედებითი ცხოვრების გზა ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თეატრთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ თეატრის სცენაზე მოხდა ვ.სიომინას შემოქმედებითი დაბადებაც და ზრდა-დაოსტატებაც. მან მოსკოვის ე. ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებული ბ.შჩუკინის სხელობის სასწავლებლის დამთავრებისთანავე (1956 წ.) მოაშურა საქართველოს, გრიბოედოვის თეატრს, სადაც ასამდე მხატვრული სახის შექმნა მოასწრო. ნიჭიერების წყალობით მან იმთავითვე მიიპყრო რეჟისორთა და კოლეგების ყურადღება და სულ მალე იქცა ამ თეატრის სახელგანთქმული თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლად. მისი შემოქმდებითი დიაპაზონი მეტად ფართო იყო, რეპერტუარი მრავალფეროვანი, მას ერთნაირად ხელეწიფებოდა ნებისმიერ ჟანრში მუშაობა. მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება მის მიერ შექმნილი კლეოპატრა (ბ. შოუ "ცეზარი და კლეოპატრა"), როზა ("შოლომ ალეიხემის ქუჩა 40")... მაყურებელმა მხურვალედ მიიღო მისი ბოლო ნამუშევრებიც სპექტაკლებში "ტერეზა რაკენი", "ცხოვრება მშვენიერია", "რაშენ ბლუზი".

ვ. სიომინა ჩინებული პარტნიორი, მეგობარი, დედა და მოქალაქე გახლდათ. ბრწყინვალე იუმორის, კულტურის და მდიდარი სულიერი სამყაროს ადამიანი. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სცენაზე. მას იცნობდა მაყურებელი, იგი უყვარდათ. ვ. სიომინა იმდენად სიცოცხლის მოყვარული ადამიანი გახლდათ, რომ ძნელია მის პიროვნებასთან გარდაცვალების შეთავსება. მან სახელოვნად განვლო თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გზა და შეიტანა თავისი წვლილი თეატრის ისტორიაში, რისთვისაც ქართული თეატრის მოღვაწენი, კოლეგები, მაყურებლები, ალ.გრიბოედოვის სახელობის თეატრის მემატიანენი ყოველთვის მადლიერებით, პატივისცემით და სიყვარულით მოიხსენიებენ.

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**შემოქმედებითი კავშირი – "საქართველოს თეატრალური საზოგადოება"**

**თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

# დენი გლოვერის პროტესტი

ჰოლივუდის ვარსკვლავი დენი გლოვერი ვაშინგტონში საპროტესო მიტინგში მონაწილეობისათვის დააკავეს. მიტინგი სუდანის საელჩოს წინ იმართებოდა. გლოვერი, რომელსაც მაყურებელი კარგად იცნობს მთავარი როლით ბლოკბასტერში "სასიკვდილო იარაღი", სუდანის მთავრობას მოუწოდებდა, შეწყვიტოს ძალადობა დარფურის პროვინციაში. გლოვერს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და არასანქცირებულ გამოსვლაში მონაწილეობის ბრალდება წაუყენეს. მსახიობმა დაპატიმრების წინ კიდევ ერთხელ წამოაყენა ამ პროვინციაში სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა.

გაეროს შეფასებით, სუდანის პროვინცია დარფურში ურთულესი სიტუაციაა შექმნილი. ორგანიზაციის მონაცემებით, რეგიონში 50 ათასი ადამიანია დაღუპული, მილიონზე მეტი უსახლკაროდ დარჩა. ვაშინგტონში, სუდანის საელჩოს წინ, არასანქცირებული საპროტესტო მიტინგები არ წყდება.

დენი გლოვერი სამოქალაქო აქტივობით ყოველთვის გამოირჩეოდა. მისი სახელი იყო იმ 160 ხელმომწერთა შორის, რომლებიც შეუერთდნენ მოძრაობას "მსოფლიო სინდისი" და აკრიტიკებდნენ ამერიკის პოლიტიკას ერაყსა და კუბასთან მიმართებით. ეს მოწოდება გასულ წელს კუბის გაზეთ "გრანმაში" გამოქვეყნდა.



# დილემა

პოპის დედოფალ მადონას საბერძნეთში გამგზავრება და ხმელთაშუა ზღვაში პატარა კუნძულის, სკორპიონის ყიდვა აქვს გადაწყვეტილი. "პატარა" ონასისის სახელგანთქმული კუნძულია, და 335 მილიონი დოლარი ღირს. მის მფლობელს, 18 წლის ათინა ონასისს კუნძულის გაყიდვა იმის გამო აქვს გადაწყვეტილი, რომ ის მეტისმეტად ბევრ ცუდ მოგონებას აღუძრავს. სკორპიონზე მამამისს, არისტოტელესს, მარია კალასი და ჟაკლინ კენედიც უყვარდა. კუნძულზე სამი ვილა დგას და პატარა საყდარიც. "მატერიალური გოგო", მადონა, ჯერჯერობით ფიქრობს: ღირს კი, ერთი საწყალი კუნძული ამხელა ფულად? მაგრამ, მეორეს მხრივ, ძალიან რომ უნდა?






საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.